



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

აკაკი ნიკოლაიშვილი

აგროდაზღვევის განვითარების თავისებურებები და
მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები
საქართველოში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა – „აგრარული ეკონომიკა“

შიფრი –0311

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0160, საქართველო

2024

საავტორო უფლება © 2024 წელი აკაკი ნიკოლაიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით აკაკი ნიკოლაიშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „აგროდაზღვევის განვითარების თავისებურებები და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ სოციალურ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელები

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი პაატა კოლუაშვილი

პროფესორი არჩილ ცერცვაძე

რეცენზენტი-----

რეცენზენტი-----

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2024 წ

ავტორი: აკაკი ნიკოლაიშვილი

დასახელება: „აგროდაზღვევის განვითარების თავისებურებები და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში“

სადოქტორო პროგრამა: აგრარული ეკონომიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის დოქტორი

სხდომა ჩატარდა _____

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

თემის აქტუალობა. დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას მის მონაწილეებს შორის. იგი არის რისკის მართვის ფინანსური ინსტრუმენტი. ის გულისხმობს რისკის გადაცემას მთლიანად ან ნაწილობრივ სადაზღვევო საზოგადოებისათვის, სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ. სადაზღვევო კომპანია დაზღვეულებს, ხელშეკრულების პირობებისა და სადაზღვევო ლიმიტის შესაბამისად უნაზღაურებს სადაზღვევო ხდომილებით გამოწვეულ ზიანს.

სტიქიურმა უბედურებებმა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას აფერხებდა ხელი შეუწყო აგროდაზღვევის წარმოშობას. აგროდაზღვევა წარმოადგენს დაზღვევის სპეციალიზებულ კომპლექსურ ნაწილს, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, პირუტყვის, აკვა კულტურის, სათბურების და ტყეების დაზღვევას და აშ.

აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები. მოახდინოს მათი დებიტების სტაბილიზაცია. ფინანსური ზიანის ანაზღაურების გზით, ისე რომ მათი წარმოებები სულ გრძელდებოდეს წლის განმავლობაში.

სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია აგროდაზღვევის განვითარების გარეშე. იგი მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ფერმერის საფინანსო სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს. აგროდაზღვევა იცავს ფერმერთა მოსავალს და შემოსავალს სხვადასხვა დაზღვევადი რისკებისაგან, იგი ზრდის აგრო კრედიტებზე ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის ზრდას. ამცირებს ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულებას და ასტიმულირებს ექსპორტს.

სწორად წარმართული სოფლის მეურნეობის სფეროს რეფორმა და აგროდაზღვევის განვითარება, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და სექტორში დასაქმებული მოსახლეობის კეთილდღეობას, შეარბილებს მოსავლის ზარალით გამოწვეულ შოკს, შესაძლებლობას მისცემს დაზღვეულ ფერმერებს აინაზღაურონ ფინანსური დანაკარგები, სადაზღვევო რისკის დადგომის შემთხვევაში.

ამ სფეროში არსებული პრობლემების მეცნიერულმა გააზრებამ წარმოშვა თემის არჩევის იდეა, მისი აქტუალურობა და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის პირველი თავი „**სოფლიო გამოცდილების ანალიზი აგროდაზღვევის სფეროში**“, შედგება სამი პარაგრაფისაგან

პარაგრაფი 1.1, „**სადაზღვევო საქმის სპეციფიკა აგრარულ სექტორში**“, ავტორი განიხილავს თუ რა არის დაზღვევა, მათ შორის სოფლის მეურნეობის დაზღვევა. რამდენად მნიშვნელოვანია მისი განვითარება და სრულყოფა სახელმწიფოსთვის. ავტორი ასევე განიხილავს თუ რაოდენ დადებითად იმოქმედებს ფერმერებზე აგროდაზღვევის პროგრამის სწორად წარმართვა და განხორციელება.

პარაგრაფი 1.2, „**აგროდაზღვევის მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის**“, ავტორი განიხილავს აგროდაზღვევის თავისებურებებს, თუ როგორ მჭიდროდაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობა წარმოების ბუნებრივ გარემო პირობებზე; ბუნებრივი კატაკლიზმების ინტენსიურობასა და ხარისხზე; მავნებელ დაავადებათა გავრცელებაზე. ავტორი

ასევე განიხილავს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ რისკებს, მათ ხასიათს და სიმძაფრეს. განხილული აქვს თუ როგორ შეუძლიათ სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს რისკების მართვა.

პარაგრაფი 1.3, „სახელმწიფოს როლი აგროდაზღვევაში“, ავტორი განიხილავს სხვადასხვა ქვეყნის სოფლის მეურნეობის დაზღვევის თავისებურებებს, რომლებიც მეტად საყურადღებოა და გასათვალისწინებელი. ასევე ავტორი საუბრობს საქართველოს სოფლის მეურნეობის დაზღვევის თავისებურებებზე.

ნაშრომის მეორე თავი, „რისკების ანალიზი და აგრო ზარალების ანაზღაურების მეთოდოლოგიის სრულყოფა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში“, შედგება სამი პარაგრაფისაგან.

პარაგრაფი 2.1, „სასოფლო სამეურნეო რისკების ანალიზი“, ავტორი განიხილავს დაზღვეულ რისკებს, რომელიც განაპირობებს მოსავლის შემცირებას და დანაკარგს. ამ რისკების შემსუბუქების და აღმოფხვრის გზებს.

პარაგრაფი 2.2, „ანდერაიტინგი აგროდაზღვევაში“, ავტორი განიხილავს ანდერაიტინგის მნიშვნელობას როგორც მთლიანად დაზღვევაში, ასევე კონკრეტულად აგროდაზღვევაში. ანდერაიტინგი წარმოადგენს რისკის მიღების და შეფასების პროცესს. ავტორი საუბრობს, თუ რა ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული რისკის შეფასებისა და მიღებისას.

პარაგრაფი 2.3, „აგრო ზარალების შეფასების სპეციფიკა სოფლის მეურნეობის კულტურების მიხედვით“, ავტორი განიხილავს სტიქიური მოვლენის შემდგომ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლის შემცირების ან დაკარგვის ზიანის შეფასების მეთოდოლოგიას კულტურების მიხედვით.

ნაშრომის მესამე თავი, „აგროდაზღვევის განვითარების პრობლემები და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში“, შედგება სამი პარაგრაფისაგან.

პარაგრაფი 3.1, „აგროდაზღვევის ბაზრის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“, ავტორი განიხილავს საქართველოში აგროდაზღვევის განვითარების ეტაპებს, სამეცნიერო სიახლეებს, კერძოდ: კოოპერაციული აგროდაზღვევის მექანიზმს, ვაზის ადრეული ფაზების და სიმინდის მოსავლის დანაკარგის შეფასების მეთოდოლოგიას.

პარაგრაფი 3.2, „სახელმწიფოს მონაწილეობის შეფასება აგროდაზღვევაში“, ავტორი განიხილავს სახელმწიფოს როლს აგროდაზღვევის განვითარებაში, თუ რა სტრატეგიები, მიზნები და გეგმები აქვს სახელმწიფოს ამ სფეროს პოპულარიზაციისთვის. ასევე რა ხელის შემშლელი პრობლემებია აგროდაზღვევის განვითარებისთვის.

პარაგრაფი 3.3, „აგროდაზღვევის პოპულარიზაცია და აკვიზიციის პროცესი აგროდაზღვევაში“, ავტორი განიხილავს აგროდაზღვევის პოპულარიზაციის გზებს, სამეცნიერო სიახლეს, სოფლის აგენტის ინსტიტუტის შემოღებას და მის როლს აგროდაზღვევის წინსვლაში. აკვიზიციის პროცესის განვითარება ხელ შეუწყობს სადაზღვევო პოლისების გაყიდვას.

ბოლოს ავტორი ასკვნის, რომ სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. იგი მომავლის გამოძვევებიდან გამომდინარე უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს. მას ახლავს რისკები, რომლის მინიმუზაცია არის საჭირო. აგროდაზღვევა არბილებს მოსავლის ზიანით გამოწვეულ დანაკარგს.

აგროდაზღვევა სტაბილურს ხდის მეწარმეების ფინანსურ შემოსავალს გრძელვადიან პროცესში. სტაბილური შემოსავალი ფინანსური ინსტიტუტების ინტერესს გამოიწვევს. რაც ფერმერებს მისცემს შესაძლებლობას ისარგებლონ ფინანსური რესურსით. გაიმყარონ სამომავლო განვითარების პერსპექტივები.

Summary

The relevance of **the topic** lies in the following, insurance is a set of economic relations between its participants. Insurance is a risk management financial instrument that involves the transfer of risk in whole or in part to the insurance company. Insurance is an agreement according to which, in exchange for the payment of a predetermined insurance premium, the insurance organization reimburses the insured persons in accordance with the terms of the contract and the insurance limit for the damage caused by the accident, A specially created reserve fund designed at the expense of individuals and juridical individuals.

Natural disasters that hindered agricultural activities contributed to the emergence of agro insurance. Agro insurance is a specialized and complex part of insurance, which includes the insurance of crops, livestock, aqua crops and greenhouses.

The main goal of agro insurance is to protect farmers and stabilize their income, so that the activities of farmers continue uninterrupted for years by reimbursing their financial losses, in case the event that the event insured by the farmer became the cause of crop loss or malaise.

The development of agriculture is impossible without the development of agro insurance. The implementation of the agricultural insurance program is very relevant and vital for the farmer. Agri insurance, based on its functions, is a guarantor of the financial stability of the farmer. It not only protects the crop of farmers, if income from various risks, but also increases access to agro credits, contributes to an increase in the volume of agricultural production, which reduces the dependence on the country's imports and stimulates exports. Which will have a positive impact on the economic development of the country and the well-being of the rural population.

Properly managed agriculture reform and the development of agro insurance will contribute to economic growth and the well-being of the population employed in the sector, mitigate the shock caused by crop damage, and enable insured farmers to compensate for financial losses.

The scientific understanding of the problems in this field gave rise to the idea of choosing a topic, its relevance and practical importance.

The first chapter of the paper "**Analysis of world experience in the field of agro insurance**", consists of three paragraphs

Article 1.1, "**The specifics of the insurance case in the agrarian sector**", the author discusses what insurance is, including agricultural insurance. How important it is to develop and improve it for the state. The author discusses how positively the proper implementation and implementation of the agro insurance program will affect farmers.

Article 1.2, "**Importance of agro insurance for the development of agricultural production**", the author discusses the peculiarities of agro insurance, how agriculture is dependent on the natural environmental conditions of production; the intensity and quality of natural cataclysms; On the spread of harmful diseases. The author also discusses the risks associated with agriculture, their character and intensity. Has discussed how agricultural producers can take risks. management.

Article 1.3, "**The Role of the State in Agro Insurance**", the author discusses agricultural insurance of other countries that are more noteworthy and worth considering. He also talks about the structure of agricultural insurance of Georgia.

The second chapter of the paper, "**Risk Analysis Improving the Methodology for Agro Loss Compensation in the Agricultural Sector of Georgia**", consists of three paragraphs.

Article 2.1, "**Analysis of agricultural risks**", the author discusses the insured risks that lead to crop reduction and loss. Ways to mitigate and eliminate these risks.

Article 2.2, "**Underwriting in agro insurance**", the author discusses the importance of underwriting, its functions in insurance and in particular agro insurance. Underwriting is a risk-taking and evaluation process. The author talks about what factors should be taken into account when taking risk.

Article 2.3, "**Specifics of Agro Loss Assessment by Agricultural Crops**," the author discusses the methodology for reducing the yield of agricultural crops after a natural disaster, or the methodology for assessing the damage of lost damage.

The third chapter of the paper, "**Problems of Agro Insurance Development and the Main Directions of Excellence in Georgia**", consists of three paragraphs.

Article 3.1, "**Agro Insurance Market Condition and Development Prospects**", the author discusses the stages of the development of Agro Insurance of Georgia. Scientific innovations in particular, co-operative agro insurance mechanism; Methodology for evaluating crop loss in the early phases of the vine; Methodology for evaluating corn crop loss.

Article 3.2, "**Assessing the State's Participation in Agro Insurance**," the author discusses the role of the state in the development of agro insurance. What strategies, goals and plans he has to promote this field. What are the problems hindering the development of agro insurance.

Article 3.3, "**Promotion of agro insurance and the process of acquisition in agro insurance**", the author explains ways to promote agro insurance, scientific news the introduction of the **Village Agent** Institute on how to develop agro insurance. The development of the aviation process will help to sell insurance policies. In the end, the author concludes that agriculture is one of the most important sectors and will acquire more relevance due to the challenges of the future. This field is accompanied by significant risks, which need to be minimized. AGRO INSURANCE softens the loss caused by crop losses.

The development of agro insurance will have a positive impact on world economic indicators. Agro insurance stabilizes the incomes of farmers in the long term. Stable income will lead to the interest of financial institutions, which will give farmers the opportunity to take advantage of financial resources and strengthen their future development prospects.

შინაარსი

რეზიუმე.....	4
Summary	7
ცხრილების ნუსხა	10
დიაგრამების ნუსხა.....	11
სურათების ნუსხა	12
შესავალი	13
ლიტერატურის მიმოხილვა	19
თავი 1. მსოფლიო გამოცდილების ანალიზი აგროდაზღვევის სფეროში	30
1.1 სადაზღვევო საქმის სპეციფიკა აგრარულ სექტორში	30
1.2. აგრო დაზღვევის მნიშვნელობა სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის.	35
1.3. სახელმწიფოს როლი აგრო დაზღვევაში.....	40
თავი 2. რისკების ანალიზი და აგრო ზარალის ანაზღაურების მეთოდოლოგიის სრულყოფა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში	56
2.1. სასოფლო - სამეურნეო რისკების ანალიზი	56
2.2. ანდერაიტინგი აგროდაზღვევაში	59
2.3. აგრო ზარალების შეფასების სპეციფიკა სოფლის მეურნეობის კულტურების მიხედვით	62
თავი 3. აგროდაზღვევის განვითარების პრობლემები და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში.....	75
3.1. აგროდაზღვევის ბაზრის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები	75
3.2. სახელმწიფოს მონაწილეობის შეფასება აგროდაზღვევაში.....	86
3.3 აგროდაზღვევის პოპულარიზაცია და აკვიზიციის პროცესი აგროდაზღვევაში .	90
დასკვნა.....	98
ციტირებულ წყაროთა ნუსხა	101

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. დანართი N1.....	49
ცხრილი 2. მოსავლის აღების სავარაუდო თარიღი დანართი N8.....	52
ცხრილი 3. დაზღვეული კულტურების ნაკვეთების რაოდენობა წლების მიხედვით 2014 წლიდან 2023 წლის ჩათვლით.....	58
ცხრილი 4. ფოთლოვანი მასის დაზიანების გათვალისწინებით ხახვის მოსავლის რაოდენობრივი დანაკარგების შეფასება.....	69
ცხრილი 5. ბოლქვზე მიყენებული ზიანის განსაზღვრა დაზიანების სიმკტომების გათვალისწინებით.....	69
ცხრილი 6. სადაზღვევო პრემიები და სახელმწიფო თანადაფინანსება წლების მიხედვით 2014 წლიდან 2023 წლის ჩათვლით.....	75
ცხრილი 7. დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა, მოზიდული პრემია ლარში, დაზღვეული ფართობი 2014 წლიდან 2023 წლის ჩათვლით.....	76
ცხრილი 8. კოოპერაციული დაზღვევით დაზღვეული ნაკვეთების, სადაზღვევო რისკით დაზიანებული ნაკვეთების შეფასების სამუშაო დღეები.....	79
ცხრილი 9. წლების მიხედვით რეგიონებში დაზღვეული მიწის ნაკვეთების რაოდენობა 2014 წლიდან 2023 წლის ჩათვლით.....	80
ცხრილი 10. კულტურების მიხედვით წლების ჭრილში დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა რეგიონში 2014 წლიდან 2023 წლის ჩათვლით.....	82
ცხრილი 11. სეტყვისგან გამოწვეული მწვანე მასის განადგურების სიმინდის მოსავლიანობის პროცენტული შემცირების შეფასება.....	83
ცხრილი 12. წლების მიხედვით სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობა და ანაზღაურებული ზარალები 2014 წლიდან 2023 წლის ჩათვლით.....	85
ცხრილი 13. SWOT- ანალიზი.....	89

დიაგრამების ნუსხა

დიაგრამა 1. სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალი ლარში 1995-2017 წლებში.....	56
დიაგრამა 2. ფერმერთა გაუთვითცნობიერებლობის ხვედრითი წილი აგროდაზღვევაში 2021 წ.....	93
დიაგრამა 3. სოფლის აგენტი.....	94

სურათების ნუსხა

სურათი 1. ჭრახისგან დაზიანებული მარცვლები.....	71
სურათი 2. სეტყვისგან დაზიანებული მარცვლები.....	71
სურათი 3. სეტყვისგან დაზიანებული მარცვლები.....	72
სურათი 4. ნაცრისგან დაზიანებული მარცვლები.....	72
სურათი 5. სეტყვისგან დაზიანებული მარცვლები.....	73
სურათი 6. ანთრაქნოზით დაავადებული მარცვლები.....	73
სურათი 7. კვირტის ჭიისგან დაზიანებული კვირტები.....	73

შესავალი

თემის აქტუალობა. დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას მის მონაწილეებს შორის. იგი არის რისკის მართვის ფინანსური ინსტრუმენტი. ის გულისხმობს რისკის გადაცემას მთლიანად ან ნაწილობრივ სადაზღვევო საზოგადოებისთვის, სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ. სადაზღვევო კომპანია დაზღვეულ პირებს ხელშეკრულების პირობებისა და სადაზღვევო ლიმიტის შესაბამისად უნაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ ზიანს.

სტიქიურმა უბედურებებმა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას აფერხებდა ხელი შეუწყო აგროდაზღვევის წარმოშობას. იგი წარმოადგენს დაზღვევის სპეციალიზებულ კომპლექსურ ნაწილს. აგროდაზღვევა მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკვა კულტურის, სათბურების და ტყეების დაზღვევას.

აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები. მოახდინოს მათი დებიტების სტაბილიზაცია. ფინანსური ზიანის ანაზღაურების გზით, ისე რომ მათი წარმოებები სულ გრძელდებოდეს წლის ჭრილში.

სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია აგროდაზღვევის განვითარების გარეშე. მისი ფუნქციებიდან გამომდინარე ის მწარმოებლის ფინანსური სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს. იგი იცავს ფერმერთა მოსავალსა და შემოსავალს სხვადასხვა რისკებისაგან. ზრდის აგრო კრედიტებზე ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის ზრდას. ამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას და ასტიმულირებს ექსპორტს.

სწორად წარმართული სოფლის მეურნეობის სფეროს რეფორმა და აგროდაზღვევის განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და სექტორში დასაქმებული მოსახლეობის კეთილდღეობას, შეარბილებს მოსავლის ზარალით გამოწვეულ შოკს, შესაძლებლობას მისცემს დაზღვეულ ფერმერებს აინაზღაურონ ფინანსური დანაკარგები.

კვლევის მიზანი, ამოცანები და საგანი.

კვლევის მიზანს წარმოადგენს აგროდაზღვევის განვითარების პრობლემების შესწავლა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის ამოცანებია აგროდაზღვევის მსოფლიო გამოცდილების შესწავლა, სასოფლო-სამეურნეო რისკების ანალიზი, აგროდაზღვევის ანდერაიტინგის პროცესის განხილვა, აგრო ზარალების შეფასების სპეციფიკის შესწავლა, ზარალების ანაზღაურების მეთოდოლოგიის სრულყოფა, სახელმწიფოს როლის განსაზღვრა და მისი მონაწილეობის შეფასება აგროდაზღვევაში.

კვლევის საგანია აგროდაზღვევის თავისებურებები და აგროდაზღვევის ბაზრის არსებული მდგომარეობა.

კვლევის მეთოდები.

კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, ინფორმაციულ მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზის, გამოკითხვის, დაკვირვების და ექსპერიმენტის მეთოდები. კვლევა ეფუძნება აგროდაზღვევის ფორმირების ძირითად ასპექტებს, მის თეორიულ საფუძვლებსა და მოდელებს. აგრეთვე კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია აგროდაზღვევის საკითხებზე არსებული სამეცნიერო ნაშრომები, კვლევები, პუბლიკაციები და საკანონმდებლო აქტები.

აგროდაზღვევის საკითხებზე არსებული სამეცნიერო ნაშრომების, კვლევების და პუბლიკაციების მიმოხილვის საფუძველზე მოხდა აგროდაზღვევის საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება, საქართველოში არსებული აგროდაზღვევის მექანიზმებთან მიმართებით.

კვლევის მეცნიერული სიახლეები მდგომარეობს შემდეგში:

1. შემოთავაზებულია **კოოპერაციული აგროდაზღვევის** მექანიზმის შემოღება, რაც თავის მხრივ მეტად განავითარებს სოფლის მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ დარგებს. აგრეთვე გააუმჯობესებს ფერმერთა სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობას.

კოოპერაციული აგროდაზღვევის დანერგვით გაიზრდება დაზღვეულ ფერმერთა, აგრეთვე დარეგისტრირებული და დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა

(რადგან თუ ნაკვეთი დარეგისტრირებული არ არის და საკადასტრო კოდი არ გააჩნია ფერმერი ვერ სარგებლობს აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით).

მოსავლის მოვლის, მოყვანის და რეალიზაციის ხარჯებს დააფინანსებს კოოპერატივი, რაც ერთი ფერმერისთვის დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

სადაზღვევო რისკის დადგომის შემთხვევაში, ზიანის დადგენის პროცესში მზღვეველთან ერთად ჩართული იქნება კოოპერატივის კომპეტენტური წარმომადგენელი, რომელიც სრულ მონიტორინგს გაუწევს ზიანის შეფასების პროცესს.

ზიანის შეფასების პროცესის ხარჯები შემცირდება. თუ კერძო პირის ზიანის შეფასების შემთხვევაში მზღვეველს ურთიერთობა აქვს თითოეულ დამზღვევთან ინდივიდუალურად, კოოპერატივის შემთხვევაში მხოლოდ მის წარმომადგენელთან მოუწევს ურთიერთობა.

ზიანის დადგენის შემდეგ, საკომპენსაციო თანხა ჩაირიცხება კოოპერატივის ანუ დამზღვევის ანგარიშზე. საკომპენსაციო თანხას კოოპერატივი ჩაურიცხავს იმ მეპაიეებს, რომელთაც დაუდგათ სადაზღვევო რისკი. ასევე შიდა განაწესით კოოპერატივის მეპაიეები მიიღებენ სუბსიდირებას კოოპერატივის სარეზერვო ან სხვა შიდა ფონდიდან, ისეთი მიმართულებებისათვის რასაც ცალკე ფერმერი ვერ აფინანსებს. მაგალითად სეტყვის საწინააღმდეგო ზედების შექმნა - დამონტაჟებისათვის, რაც შეამცირებს ზიანის ოდენობას.

მზღვეველს შეეძლება არასახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე დამზღვევეს (კოოპერატივს) გაუწიოს შეღავათები და გაუკეთოს ფასდაკლება იმის გათვალისწინებით, რომ შეუმცირდება ადმინისტრაციული და აკვიზიციური ხარჯები.

კოოპერატივის შემთხვევაში ყველა ორგანიზაციულ საკითხს, მათ შორის დაზღვევის საკითხებსაც მოაგვარებს კოოპერატივის გამგეობა. კოოპერატივის სამართლებრივი გამტარების კუთხით და ფერმერის სოციალურ - ეკონომიკური დაცულობის კუთხით ხელშეკრულების მხარე არის კოოპერატივი ანუ დამზღვევი. კოოპერატივს ყავს თავისი კვალიფიციური კადრები, მაგალითად იურიდიული კუთხით, რომლებიც იქნებიან კოოპერატივის წევრების წარმომადგენლები სამართლებრივი დავების დროს.

აგროდაზღვევის კუთხით ეფექტიანი იქნება კოოპერატივის შექმნა ლოკაციურ - დარგობრივი ნიშნით. მაგალითად გურჯაანის რაიონში ატმის მწარმოებელთა კოოპერატივი, დედოფლისწყაროს რაიონში ხორბლის მწარმოებელთა კოოპერატივი, ლაგოდეხის რაიონში სიმინდის და თხილის მწარმოებელთა კოოპერატივი, ზუგდიდში თხილის მწარმოებელთა კოოპერატივი, ყვარელში ყურძნის მწარმოებელთა კოოპერატივი და ა. შ.

2. შემუშავებულია და შემოთავაზებულია აგროდაზღვევის „სოფლის აგენტის“ ინსტიტუტი, რომლის შემოღება დადებით შედეგს მოგვცემს აკვიზიციის და აგროდაზღვევის პოპულარიზაციის პროცესში. აგრო სადაზღვევო აგენტებს ექნებათ მუდმივი კომუნიკაცია ფერმერებთან, მიაწვდიან მათ სწორ, საჭირო და ამომწურავ ინფორმაციას აგროდაზღვევის მნიშვნელობაზე და დადებით მხარეებზე.

3. ავტორი პრაქტიკული კვლევებიდან ასკვნის, რომ აგროდაზღვევის განვითარებისთვის და სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია **სავალდებულო აგროდაზღვევის შემოღება სპეციალიზებულ ზონებში მაპროფილებელი კულტურებისთვის**, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებულ დარგების განვითარებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ის კულტურები რომელთა სავალდებულო დაზღვევა იქნება შემოღებული უფრო მეტად განვითარდება, რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. კერძოდ კახეთში ვაზის, შიდა ქართლში ვაშლის, ქვემო ქართლში ხახვის, სამცხე - ჯავახეთში კარტოფილის, სამეგრელოში თხილის და სიმინდის, აჭარაში ციტრუსის მოსავლის სავალდებულო დაზღვევა და ა. შ.

სავალდებულო აგროდაზღვევის შემოღება მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფოსათვის. სადაზღვევო რისკის დადგომის შემდგომ სახელმწიფოს არ მოუწევს კომპენსაციის გადახდა დაზარალებული ფერმერებისთვის. ზარალს აანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში მაღალი უნდა იყოს სახელმწიფო სუბსიდირება არსებულთან შედარებით, რათა მოსახლეობის ინტერესი აგროდაზღვევის განხორციელების მიმართ გაიზარდოს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომში ჩამოყალიბებული აგროდაზღვევის განვითარების ხელის შეწყობი დასკვნები და წინადადებები პრაქტიკულ მნიშვნელობას სძენს აგროდაზღვევის ბაზრის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. ამ სფეროში დასაქმებულებს შეუმცირდებათ რისკები და შეუნარჩუნდებათ შემოსავალი. აგროზარალების სწორად და ობიექტურად შეფასება სოფლის მეურნეობის და აგროდაზღვევის ინსტიტუტის განვითარებას შეუწყობს ხელს, რაც დადებითად იმოქმედებს ფერმერის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ზიანის შეფასების ახალი მეთოდის დანერგვა გაამარტივებს ურთიერთობას დამზღვევსა და მზღვეველს შორის, აღმოიფხვრება უთანხმოება ზიანის შეფასების პროცესში და შემცირდება დავების რაოდენობა.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია:

კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი 1 თემაზე: „მსოფლიო გამოცდილების ანალიზი აგროდაზღვევის სფეროში.“ 2022 წ.
2. კოლოკვიუმი 2. „რისკების ანალიზი და აგროზარალის ანაზღაურების მეთოდოლოგიის სრულყოფა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში.“ 2023 წ.
3. კოლოკვიუმი 3. „აგროდაზღვევის განვითარების პრობლემები და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში“ 2023 წ.

სამეცნიერო კონფერენციები:

1. ნიკოლაიშვილი აკაკი. „ვაზის სოკოვანი და არა სოკოვანი დაავადებების გამიჯვნა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისგან,“ აგრარული მეცნიერებებისა და ბიო სისტემების ფაკულტეტი, ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი, მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი, იტერ ვიტის საქართველო, მევენახეობა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. (სტუ) მონოგრაფიების სერიიდან „მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობა: ისტორია, თანამედროვეობა და მდგრადი განვითარების პერსპექტივები.“ თბილისი 2022. <https://doi.org/10.36073/978-9941-28-946-0> გვ. 160.

2. ნიკოლაიშვილი აკაკი. „სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაში ფერმერთა გაუთვითცნობიერებლობის პრობლემები საქართველოში“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი, მონოგრაფიების სერიიდან „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, <https://doi.org/10.36073/978-9941-28-893-7>, გვ. 126.

სამეცნიერო სტატიები:

1. ლაფაჩი ა., ნიკოლაიშვილი ა. „ აგროდაზღვევის განვითარების SWOT-ანალიზი საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომიკა“ ტომი 105,3. 2022. გვ. 165, DOI:10.36962/ECS105/3/2022;
2. ცერცვაძე ა., ნიკოლაიშვილი ა. „აგრო ზარალების შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები“, ჟურნალი „ეკონომიკა“ ტომი 105, 3-4. 2023. გვ. 134, DOI:10.36962/ECS105/3-4/2023;
3. კოლუაშვილი პ., ცერცვაძე ა., ნიკოლაიშვილი ა. „აგროდაზღვევის თავისებურებები ავსტრიასა და საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომიკა“ ტომი 106, 1-2. 2024. გვ. 80, DOI:10.36962/ECS106/1-2/2024;
4. Nikolaishvili A. „Underwriting in agro insurance“. №127/2024 Norwegian Journal of development of the International Science ISSN 3453-9875 <mailto:publish@nor-ijournal.com>, 11.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 109 ნაბეჭდ გვერდს, რეზიუმეს ქართულ და ინგლისურ ენაზე, ლიტერატურის მიმოხილვას, შესავალს, სამ თავს, ცხრა პარაგრაფს, დასკვნასა და ბიბლიოგრაფიას. ასევე ნაშრომში გამოყენებულია ავტორის მიერ შედგენილი ცხრილები, დიაგრამები და მის მიერ გადაღებული სურათები.

ლიტერატურის მიმოხილვა

დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას მის მონაწილეებს შორის. იგი არის რისკის მართვის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს რისკის გადაცემას მთლიანად ან ნაწილობრივ სადაზღვევო საზოგადოებისთვის. ის არის შეთანხმება, რომლის თანახმადაც წინასწარ განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ, სადაზღვევო ორგანიზაცია დაზღვეულ პირებს ხელშეკრულების პირობებისა და სადაზღვევო ლიმიტის შესაბამისად აძლევს კომპენსაციას სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის გამო.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარება. ამ მხრივ სასიკეთო წინ სვლა შეიმჩნევა საქართველოში. ეს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს. აგროდაზღვევა მოსახლეობას დაეხმარება სტიქიური შემთხვევებით მიყენებული ზარალის შემცირებაში და სტაბილურს გახდის მათ შემოსავალს.

აგროდაზღვევა მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკვაკულტურების, სათბურების და ტყეების დაზღვევას. სოფლის მეურნეობის დაზღვევის წარმოშობას ხელი შეუწყო არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა, რაც საკმაოდ აფერხებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

აგროდაზღვევის უპირობო მიზანია დაიცვას სოფლის მეურნეობის მწარმოებლები. მოახდინოს მათი შემოსავლის სტაბილიზაცია, ისე რომ მათი სამუშაო პროცესი გრძელდებოდეს წლების განმავლობაში.

სოფლის მეურნეობაში მოსავლის დაზღვევას უპირობო მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და აქტუალური სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისთვის. სწორად წარმართული სოფლის მეურნეობის სფეროს რეფორმა და აგროდაზღვევის განვითარება, ხელს შეუწყობს ფერმერების სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას, ქვეყნის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობას.

სასოფლო-სამეურნეო რისკების ანალიზს და აგრო ზარალების შეფასების თავისებურებების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართველ თუ უცხოელ

მეცნიერებს ამ საკითხზე გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო სტატიები, კვლევები და მონოგრაფიები. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ მეცნიერების კვლევები და მოსაზრებები, რომელთა ნაშრომები ჩვენ განვიხილეთ.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი კოლუაშვილი პაატას და თეთრაძე გ. ნაშრომში „აგრარული რისკები, აგროდაზღვევისა და აგრო დაკრედიტების პრობლემები“ განხილული აქვთ აგრო რისკები და ქვეყანაში არსებული პრობლემატიკა აგროდაზღვევასთან და აგრო დაკრედიტებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ აგრარული სექტორი, ეკონომიკის და სხვა დარგებთან მიმართებაში მაღალი რისკიანობით გამოირჩევა, მრავალმხრივი ანალიზისა და უცხოური გამოცდილების ფონზე შემოთავაზებულია რეკომენდაციები, მათი განხორციელების გზები, რაც გასათვალისწინებელია სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებისთვის. ავტორები ხსნიან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს საკითხები სოფლის-მეურნეობის განვითარებისთვის. (კოლუაშვილი პ., 2017) [153-160]

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი კოლუაშვილი პ. და ზიზიბაძე გ. სახელმძღვანელოში „აგრარული საწარმოს ეკონომიკა“ ადგილს უთმობენ აგრარულ საწარმოში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების განვითარების ეკონომიკურ პრობლემებს. წარმოების დანახარჯების, ეკონომიკურ ანალიზს, ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების, აგრარულ ბაზარზე ფასწარმოქმნის, კონკურენციისა და აგრარული ეკონომიკის სხვა აქტუალურ საკითხებს. (კოლუაშვილი პ., 2010) [49-52]

ნაშრომი „სადაზღვევო საქმე“ რომელიც წარმოდგენილია სადაზღვევო საქმის მკვლევარების მიერ ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ. გვამლევს შესაძლებლობას გავერკვეთ სადაზღვევო რისკის კონცეფციაში, შვეისწავლოთ დაზღვევის ფუნქციები და პრინციპები. ნაშრომში ავტორების მიერ განხილულია დაზღვევის ძირითადი მიზანი, სახეობები, სოფლის მეურნეობის ძირითადი საფრთხეები და რისკები, დაზღვევის პროდუქტები, დაზღვევის მართვა და ადმინისტრირება. ამ ნაშრომის გაანალიზება საშუალებას გვამლევს, ღრმად ჩავწვდეთ სადაზღვევო საქმის სპეციფიკას მის სიკეთებს და მნიშვნელობას. (ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ. "სადაზღვევო საქმე", 2015)

პროფესორ არჩილ ცერცვაძეს ნაშრომში „მოსავლის დაზღვევის საკვანძო საკითხები“ განხილული აქვს, რომ მოსავლის დაზღვევა არის აგროდაზღვევის დარგი, რომელიც უზრუნველყოფს მზარდი კულტურების ცალკეულ, ან მრავალი რისკებისაგან დაზღვევას. რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მოსავლის დაზღვევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი მთავარი ფუნქციაა შემოსავლის სტაბილიზაცია, რაც აძლევს დამზღვევს შესაძლებლობას აინაზღაუროს დაზღვეული რისკით გამოწვეული ფინანსური ზარალი.

არსებობს მოსავლის დაზღვევის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც კვლევაშია განხილული. მზღვეველი რომელსაც სურს განავითაროს მოსავლის დაზღვევის ბიზნესი, საჭიროებს პროფესიულ, ტექნიკურ და ექსპერტულ დახმარებას აგრონომის, აგრო კულტურების სპეციალისტის და აქტუალის მხრიდან.

ნაშრომში ავტორს ასევე განხილული აქვს აგრო გეგმის რაობა, ინდექსური დაზღვევა, მოსავლის დაზღვევის დროს დამზღვევის და მზღვეველის ვალდებულებები, სადაზღვევო დაფარვა და გამონაკლისები. (საკითხები", თ. გ.) გვ. [119-122]

„აგროდაზღვევის მნიშვნელობა სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის“ ნაშრომში მკვლევარებს, ცერცვაძე ა., ლაშხია შ. განხილული აქვთ აგროდაზღვევის ძირითადი ფუნქციები, წარმოების ხელშეწყობა და აგრო რისკების დადგომის შედეგად დამდგარი ზიანის კომპენსაცია. აგროდაზღვევა წარმოადგენს ქონების დაზღვევის ერთერთ სახეობას. იგი ამცირებს რისკს ფერმერული წარმოებისთვის და არეგულირებს სასოფლო სამეურნეო წარმოების წინსვლას. ამდენად აგროდაზღვევის განხორციელება ფერმერისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ნაშრომის მიზანია აგროდაზღვევის თავისებურებების შესწავლა და განვითარების პერსპექტივების შემუშავება საქართველოში. კვლევის ამოცანებია საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ანალიზი და აგროდაზღვევის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. (ცერცვაძე ა., 2021) გვ. [106-112]

ნიკოლაიშვილი ა., ცერცვაძე ა. „აგრო ზარალების შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები“ ნაშრომში განხილულია აგროდაზღვევის სახელმწიფო

პროგრამის ასპექტები, აგრო ზარალების შეფასების მეთოდოლოგია და სრულყოფის საკითხები. განხილულია, თუ რას წარმოადგენს დაზღვევა, მათ შორის აგროდაზღვევა, რომ ის არის დაზღვევის სპეციალიზებული და კომპლექსური ჯგუფი, რომელიც მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკვაკულტურების და სათბურების დაზღვევას.

აგროდაზღვევის წარმოშობას ხელი შეუწყო არასასურველი კლიმატური პირობების მიერ სოფლის მეურნეობის საქმიანობის შეფერხებამ.

განხილულია, რომ აგროდაზღვევის ძირითადი მიზანი. დაიცვას ფერმერები და მოახდინოს მათი შემოსავლების სტაბილიზაცია, ისე რომ მათ ეკონომიკურ აქტივობებს საფრთხე არ შეექმნათ წლების განმავლობაში. განხილულია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობაში მოსავლის დაზღვევას. თუ რამდენად აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფერმერისთვის აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელება. სწორად წარმართული სოფლის მეურნეობის სფეროს რეფორმა და აგროდაზღვევის განვითარება ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობას და აამაღლებს მათ სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას. (ნიკოლაიშვილი ა., 2023) [134-141]

მკვლევარებს მიერ ლაფაჩი ა., ნიკოლაიშვილი ა. ნაშრომში „აგროდაზღვევის განვითარების SWOT- ანალიზი საქართველოში“, სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებსა და სტატისტიკურ წყაროებზე დაყრდნობით განხილულია აგროდაზღვევის საკითხები საქართველოში. შესწავლილია ფერმერთა ჩართულობების პრობლემები და შემოთავაზებულია მათი დაძლევის ღონისძიებები. შესწავლილია აგროდაზღვევის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი შესაძლებლობები და საფრთხეები ანუ გაკეთებულია SWOT-ანალიზი.

რომლის მიხედვითაც აგროდაზღვევის მთავარი ნაკლი არის მისი გაუთვითცნობიერება, რაც იმას ნიშნავს რომ აუცილებელია სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მზღვეველთა ერთობლივი აქტიური მონაწილეობით ცნობადობის ამაღლება. (საქართველოში, 2022) [165-173]

დამხმარე სახელმძღვანელოში „აგროდაზღვევის საფუძვლები“ ასოცირებული პროფესორის ავთანდილ ლაფაჩის განმარტებით, დღესდღეობით საბაზრო ურთიერთობები საკმაოდ დინამიურად ვითარდება და როგორც

საზოგადოება, ისე საბაზრო ეკონომიკის აგენტები თანდათანობით რწმუნდებიან, რომ დაზღვევა საბაზრო ეკონომიკის განვითარების განუყოფელი ნაწილია და მხოლოდ დაზღვევის მექანიზმის გამოყენებით შეიძლება დანაკარგის ანაზღაურება, მიღწეულის შენარჩუნება და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. მხოლოდ დაზღვევის საფუძველზეა შესაძლებელი მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესების შეუფერხებელი ფუნქციონირება. დაზღვევაზე უფრო საიმედო და მყარი დამცავი მექანიზმი ჯერჯერობით საზოგადოებაში არ არსებობს.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში სადაზღვევო ბიზნესი არსებობს და მეტ-ნაკლებად ვითარდება კიდევ. აღმასრულებელი ხელისუფლება უფრო დიდ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა სადაზღვევო პროგრამებს, რაც ხელს უწყობს სადაზღვევო ბიზნესის განვითარებას.

ავტორი ხსნის, რომ ეს დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელშიც წარმოდგენილია იმ ძირითადი კულტურების ზიანის შეფასების მეთოდიკა და ზარალის დათვლის მეთოდები, რომლებიც უფრო აქტიურადაა გავრცელებული საქართველოში, და რომლებსაც უფრო ხშირად აზღვევენ ბენეფიციარები. დამხმარე პრაქტიკული სახელმძღვანელო განკუთვნილია აგრობიზნესის მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინისტრირების მსმენელებისათვის. (საფუძვლები", 2021)

მკვლევარები შონია ნ., ნოზამე მ., მუშკუდიანი ზ. ნაშრომში „საქართველოს სადაზღვევო ბაზარი: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“ განიხილავენ, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე საქართველოს სადაზღვევო ბაზრის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი პერსპექტივების გამოვლენას. განხილულია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ისტორია და სადაზღვევო ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქტები. იკვლევენ და აფასებენ ზედამხედველობის სამსახურის მიზნებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს; მარეგულირებელი კაპიტალის ოდენობას; სადაზღვევო ლიცენზიის გაცემისა და გაუქმების პროცედურას; მზღვეველის სავალდებულო ადმინისტრირების, ლიკვიდაციისა და გაკოტრების პროცედურას. განიხილავენ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას,

პრიორიტეტებისა და პერსპექტივების განსაზღვრას. საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარება და შესაბამის საკანონმდებლო და მეთოდოლოგიურ დებულებებთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადება. (შონია ნ., თ. გ.)

მკვლევარები შონია ნ., ნოზაძე მ., მუშკუდიანი ზ. ნაშრომში „სოფლის მეურნეობის დაზღვევა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ განიხილავენ სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარების პერსპექტივებს საქართველოში, თუ რა ღონისძიებები გაატარა სახელმწიფომ ბუნებრივი კატასტროფებისგან დაზიანებული ფერმერების მიმართ. (საქართველოში", თ. გ.)

საქართველოს მთავრობის №236 10/04/2020 წლის დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა არეგულირებს ურთიერთობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევასთან დაკავშირებით (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა მხოლოდ ციტრუსზე) მზღვეველს და დამზღვევეს, მოსარგებლეს და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს შორის.

მისი მიზანია:

- ა) დაზღვევის ბაზრის განვითარება სოფლის მეურნეობაში
- ბ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება;
- გ) სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შეზღუდვა.

დადგენილებას თან ერთვის ზიანის დარეგულირების მეთოდიკა სასოფლო - სამეურნეო კულტურების მიხედვით. (საქართველოს მთავრობის 2020წ. 10 აპრილის დადგენილება N236 "აგრო დაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თბ, 2020, თ. გ.)

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის დადგენილება №137 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ.,

2024. მიღებულ დადგენილებაში ცვლილებები შევიდა დანართ N1-ში განისაზღვრა ტარიფები; განისაზღვრა დასაზღვევი ფართობების მაქსიმალური ოდენობა; ასევე განისაზღვრა ხეხილოვან კულტურებზე ქარიშხლის რისკით მიყენებულია ზიანის ფრანშიზის ოდენობა; ქარიშხლის სიძლიერის სიჩქარის მ/წმ;

დამზღვევის მიერ ზიანის შეტყობინების ვადა გაიზარდა და შემცირდა შეფასების ვადები. (საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის დადგენილება №137 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2024)

საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ განმარტავს, რომ კოოპერატივი არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით შექმნილი კოოპერატივის სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიულ პირსი. რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის თანახმად. ამ კანონის მიზანია სასოფლო-სამეურნეო სექტორის გაუმჯობესება და მისი წარმოების გაზრდა. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების გაზრდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეშვეობით. (შესახებ", 2013)

უცხოელ მკვლევარს იტურიოზი რ-ს თავის ნაშრომში „სასოფლო სამეურნეო დაზღვევა“ განხილული აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების რისკები. მისი აზრით სოფლის მეურნეობის სექტორს ორი ძირითადი რისკი აწუხებს-ფასების რისკი, რომელიც გამოწვეულია ფასების პოტენციური ცვალებადობით და წარმოების რისკი, რომელიც გამოწვეულია წარმოების დონის გაურკვევლობით. ვარაუდობს რომ ეს ძირითადი რისკები მომავალში გაიზარდება ფასების რისკი ვაჭრობის ლიბერალიზაციის გამო და წარმოების რისკი, რომელიც გამოწვეულია კლიმატური ცვლილებების გამო.

მისი თქმით სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ტენდენცია გაგრძელდება რაც გაზრდის ამ რისკებს, რადგანაც მწარმოებლები ეყრდნობიან კულტურების უფრო მცირე ასორტიმენტს და შესაბამისად არ შეუძლიათ რისკების დივერსიფიკაცია ეფექტურად.

იტურიოზი რ-ს განმარტებით, სასოფლო-სამეურნეო რისკები არა მარტო ფერმერებს ეხება, არამედ მთლიანად აგრობიზნესის ღირებულ ჯაჭვს. თითოეული ამ ჯაჭვის მონაწილეს დაწყებული საქონლის მწარმოებლიდან, დამთავრებული საბოლოო მომხმარებლამდე ექვემდებარება ამ რისკებს. (დაზღვევა", თ. გ.)

რობერტსი რ. თავის კვლევაში „კულტურების დაზღვევა განვითარებად ქვეყნებში“ განხილული აქვს რისკის მართვის ძირითადი და გადამწყვეტი ღონისძიებები სოფლის მეურნეობაში, რაც მოიცავს მცენარეთა ჯიშების არჩევას,

ცხოველთა ჯიშების არჩევას. აგრეთვე პრევენციული ზომების მიღება არასასურველი ბუნებრივი მოვლენების წინააღმდეგ.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე მზარდი დარგია და მის მენეჯმენტს შეუძლია შეასრულოს დიდი როლი რისკების მართვაში, დაზღვევის გამოყენებადობა ნებისმიერ სიტუაციაში არის გასათვალისწინებელი. განხილული აქვს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის რისკ მენეჯმენტის მთელი კომპლექტი.

ხსნის რომ სოფლის მეურნეობის დაზღვევა მზარდი ბიზნესია, რომლის ზრდასაც განაპირობებს სოფლის მეურნეობის კომერციალიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობა, საგარეო ინვესტიციები და ახალი სადაზღვევო პროდუქტების განვითარება. მოცემულია რეკომენდაციები განვითარებადი ქვეყნებისთვის აგროდაზღვევის ბაზრის განვითარების შესახებ. (countries)

მკვლევარ ერიკ ჯ. ო' დონოჟიუს ნაშრომში „მოსავლის დაზღვევაზე მოთხოვნით, პრემიუმ სუბსიდირების შედეგები“ განხილული აქვს მოსავლის დაზღვევისათვის სადაზღვევო პრემიის სუბსიდირების საკითხები.

განხილული აქვს სუბსიდირების ეფექტი, მისი მნიშვნელობა და აუცილებლობა, რომ სუბსიდირება იწვევს მიწის ნაკვეთების უფრო მეტ დარეგისტრირებას. პოტენციურად ცვლის ფერმერების დამოკიდებულებას მოსავლის დაზღვევაზე. ეხმარებათ მათ რისკების მართვასა და შემცირებაში. (Subsidies, თ. გ.)

ჯონ ბოსკო ბ. სუმანს ნაშრომში „პოტენციალის აღქმის შესწავლა სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა მოსავლის რისკების მართვისთვის მცირე ფერმერთა შორის ჩრდილოეთ გაანაში“ წარმოდგენილი აქვს კვლევა, მოსავლის რისკების მართვისთვის სოფლის მეურნეობის დაზღვევის პოტენციალი მცირე ფერმერებისათვის ჩრდილოეთ გაანაში. ავტორი ხსნის რომ სოფლის-მეურნეობის რისკები მარტო ამინდთან და კლიმატთან არაა დაკავშირებული. უარყოფითად მოქმედებს მიგრაციისა და ტექნოლოგიების ხელმიუწვდომლობა. აუცილებელია სწორი და გამიზნული სოფლის-მეურნეობის სუბსიდირება მთავრობის მიერ. მის მიერ ჩატარებული კვლევები ზოგადად გასათვალისწინებელია აგროდაზღვევის განვითარებისთვის.

ავტორს განხილული აქვს გეოგრაფიულ ადგილებისთვის მეტად საჭირო სოფლის-მეურნეობის დაზღვევა, სადაც მცირე ფერმერები იბრძვიან გადარჩენისთვის. (Risks)

ჰეზელი პ., სბერო-კესლერი რ., ვარანგისი პ. ნაშრომში „როგორ უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სუბსიდირება და როდის უნდა დასრულდეს პრობლემები და პრაქტიკა“ გადმოცემული აქვთ, თუ როგორ ხდება სოფლის მეურნეობის დაზღვევის სუბსიდირება სხვადასხვა ქვეყანაში. განხილული აქვთ სუბსიდირების მიზეზები, ეფექტურობა და სარგებელი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. მკვლევარები ხსნიან რომ სუბსიდირებას ფერმერებისთვის სოციალური მიზნები აქვს. დაეხმარებათ მათ დაზღვევის წვდომაზე. მკვლევარები ასევე საუბრობენ ცუდად შექმნილ სუბსიდირების მიერ გამოწვეულ საფრთხეებზე. ხსნიან რომ სუბსიდია უნდა იყოს (ჭკვიანი), ანუ კარგად და სწორად შემუშავებული. (ჰეზელი პ., თ. გ.)

მაჰული ო., შტუტლი ჯ. ნაშრომში „მთავრობის მხარდაჭერა განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებაში“ განხილული აქვთ სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის და აგროდაზღვევის როლი ფერმერისთვის, უარყოფითი ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ფინანსური ზიანის კომპენსაციისათვის.

მკვლევარებს ახსნილი აქვთ, სოფლის მეურნეობის დაზღვევაში საჯარო ჩარევის საფუძველი, თუ როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობის დაზღვევამ ხელი შეუწყოს მოდერნიზაციას, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და ტექნოლოგიური ინოვაციების მიღებას. ნაშრომი აანალიზებს დაზღვევის ღირებულებებს, პრემიუმ სუბსიდირების როლს, სავალდებულო აგროდაზღვევის საფუძველებს. (Countries, თ. გ.)

დუონგი, ტ.ტ., ბრევერი ტ., ლუკ ჯო. ზანდერ კ. ნაშრომში „სოფლის მეურნეობის რისკებისა და რისკების მართვის სტრატეგიების ფერმერთა აღქმის გლობალური მიმოხილვა“, ხსნიან, რომ ფერმერები მთელ მსოფლიოში აწყდებიან წარმოებასთან დაკავშირებული რისკების ფართო სპექტრს. ეს რისკები იზრდება სხვადასხვა ფაქტორების გამო, მათ შორის გლობალიზაციის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის გაზრდისა და კლიმატის ცვლილების. რომელიც

საფრთხეს უქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და ფერმერები იძულებულნი არიან შეცვალონ თავიანთი წარმოებისა და მართვის სტრატეგიები. მკვლევარებმა მონაცემთა შემცირების მეთოდის (ფაქტორული ანალიზი) და აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით, გაანალიზეს 197 კვლევა და აღმოაჩინეს, რომ ამინდთან დაკავშირებული რისკი (55%), ბიოუსაფრთხოების საფრთხეები (48%) და ადამიანის რისკი (35%) არის ფერმერების მიერ აღქმული, როგორც მნიშვნელოვანი რისკები მათი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის. კულტურებისა და ცხოველების წარმოების დივერსიფიკაცია (28%) და მავნებლებისა და დაავადებების მონიტორინგი და პრევენცია (20%) იყო.

რამდენიმე კვლევით გამოიკვლიეს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ხსნიან რისკის აღქმას (18%) ან ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ მართავენ ფერმერები სასოფლო-სამეურნეო რისკებს (11%). სოფლის მეურნეობის რისკების წარმატებით მართვის ძირითადი ბარიერები იყო ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ფორმალური დაბალპროცენტული სესხების სისტემები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. მათ კვლევის შედეგად გამოავლინეს შეუსაბამო ადქმული რისკის წყაროებსა და რისკების მართვის სტრატეგიებს შორის. იძლევიან რეკომენდაციას, რომ გაუმჯობესდეს იმის გაგება, თუ რატომ გამოიყენება კონკრეტული მართვის პასუხები სხვადასხვა რისკების მოსაგვარებლად. მათი მიმოხილვა გვთავაზობს სამომავლო კვლევების სფეროებს, რათა გაუმჯობესდეს ფერმერების მიერ არსებული რისკების აღქმის გაგება და ხელი შეუწყოს მათი რისკების მართვას და შემცირების ძალისხმევას. (დუონგი, 2019)

კადმანცევა მ. ე., კოროსტელევი ვ.გ. " სასოფლო-სამეურნეო რისკის დაზღვევის ინსტიტუციური ფაქტორები EAEU ქვეყნებში“, სტატიაში განხილულია სოფლის მეურნეობის რისკების დაზღვევის ეროვნული სისტემების ჩამოყალიბებისა და განვითარების ინსტიტუციური ასპექტები ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EAEU) წევრი ქვეყნების. კვლევის მიზანია ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დაზღვევის არსებული მდგომარეობის შესწავლა Eaeu და ინტეგრაციის თანამშრომლობის ფარგლებში მისი განვითარების პოტენციალის შეფასების ახალი მიდგომების შემუშავება. განიხილავენ, როგორ ხორციელდება eaeu-ს ქვეყნებში სოფლის

მეურნეობის რისკის დაზღვევის რეალური მდგომარეობის ანალიზი, განიხილავენ მისი განვითარების ძირითად ტენდენციებს და შეისწავლიან სახელმწიფო მხარდაჭერის გამოცდილებას.

მათ კვლევამ შესაძლებელი გახადა სოფლის მეურნეობის დაზღვევის მოდელების მსგავსებისა და განსხვავებების, მათი უპირატესობებისა და უარყოფითი მხარეების დადგენა. გამოკვეთენ ინსტიტუციურ ფაქტორებს სოფლის მეურნეობის რისკების დაზღვევის ეროვნული სისტემების ჩამოყალიბებისა და განვითარებაზე. წარმოების სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის განვითარების შესწავლის მიზანშეწონილობა საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელების კონტექსტში გამართლებულია თანამშრომლობა თითოეული ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის. მათ მიერ შემოთავაზებული მიდგომა უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის დაზღვევის მოდელების ორგანიზაციის სპეციფიკის გაგებას, რომლებიც შემუშავებულია EAEU-ს ქვეყნებში და საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარების პოტენციური შესაძლებლობები და შეზღუდვები ერთ ეკონომიკურ სივრცეში. (M. E. Kadomtseva, 2020)

თავი 1. მსოფლიო გამოცდილების ანალიზი აგროდაზღვევის სფეროში

1.1 სადაზღვევო საქმის სპეციფიკა აგრარულ სექტორში

დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას მის მონაწილეებს შორის. იგი არის რისკის მართვის ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს რისკის გადაცემას მთლიანად ან ნაწილობრივ სადაზღვევო საზოგადოებისთვის. დაზღვევა არის შეთანხმება, რომლის თანახმადაც წინასწარ დადგენილ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ, მზღვეველი ორგანიზაცია დაზღვეულებს ხელშეკრულების პირობებისა და სადაზღვევო თამასის შესაბამისად უნაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ ზიანს.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარება. ამ მხრივ სასიკეთო წინ სვლა შეიმჩნევა საქართველოში. ეს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს. აგროდაზღვევა მოსახლეობას დაეხმარება სტიქიური შემთხვევებით მიყენებული ზარალის შემცირებაში და სტაბილურს გახდის მათ შემოსავალს.

აგროდაზღვევა მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკვაკულტურების, სათბურების და ტყეების დაზღვევას. სოფლის მეურნეობის დაზღვევის წარმოშობას ხელი შეუწყო არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა, რაც საკმაოდ აფერხებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

აგროდაზღვევის უპირობო მიზანია დაიცვას სოფლის მეურნეობის მწარმოებლები. მოახდინოს მათი შემოსავლის სტაბილიზაცია, ისე რომ მათი სამუშაო პროცესი გრძელდებოდეს წლების განმავლობაში.

სოფლის მეურნეობაში მოსავლის დაზღვევას უპირობო მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და აქტუალური მწარმოებლებისთვის. სწორად წარმართული სოფლის მეურნეობის სფეროს რეფორმა და აგროდაზღვევის განვითარება, ხელს შეუწყობს ფერმერების სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას, ქვეყნის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობას.

აგროდაზღვევის პროდუქტის განვითარებით საფინანსო ინსტიტუტებს ინტერესი უჩნდებათ. ფერმერებს წვდომა უჩნდებათ მეტ ფინანსურ რესურსზე, რაც

დარგის სტაბილურ განვითარებას უწყობს ხელს. აგროდაზღვევის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ყველა ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად ფერმერები, სხვადასხვა სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზარალის გამო, მთელი წლის საარსებოს კარგავენ. ეს სტიქიური მოვლენები არა მხოლოდ ძლიერ აფერხებს ფერმერების შემოსავალს, არამედ დროთა განმავლობაში აფერხებს ფერმერების ეკონომიკურ წინსვლას.

სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა მზარდი ბიზნეს პროდუქტია, რომლის ზრდასაც განაპირობებს სოფლის მეურნეობის კომერციალიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობა, ახალი სადაზღვევო პროდუქტები. ფერმერული სექტორის გარემოზე დადებითად აისახება ახალი სადაზღვევო პროდუქტების შექმნა და რეალიზება. პროდუქტიულობისა და შემოსავლის გასაზრდელად, ფერმერებმა ასევე საჭიროა ინვესტიცია განახორციელონ ფერმის პროფესიონალიზაციაში და თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებში, ასევე გაუმჯობესებული თესლისთვის, მექანიზაციისთვის, სარწყავი სისტემისთვის და ა. შ. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იზრუნოს მათი განათლების ამაღლებისთვის.

სოფლის მეურნეობის დაზღვევის სწორად წარმართვისთვის აუცილებელია მისი კარგი ადმინისტრირება, დაზღვევის მენეჯმენტს რამდენიმე ეტაპი აქვს, კერძოდ:

- ბაზრის იდენტიფიკაცია;
- პროდუქტის განვითარება;
- მარკეტინგი;
- კომპენსაციის დაწესება;
- პრემიის დონეები;
- პრემიების შეგროვება;
- პრეტენზიების დამუშავება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დაზღვევა არის მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებული ბიზნესი, იგი ძირითადად ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემთა ბაზას. აუცილებელია მონაცემთა სწრაფად დამუშავება და გადაცემა, რომ შეუფერხებლად წარიმართოს ადმინისტრირება, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

უაღრესად მნიშვნელოვანი, მთელს სადაზღვევო პროცესში გადაზღვევის ინსტიტუტია. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა საერთაშორისო გადაზღვევაზე, როგორც ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ისე რისკების მართვის გამოცდილი სპეციალისტების მოზიდვის მიზნით. რაც სადაზღვევო ბაზრის მეტად განვითარებას უწყობს ხელს.

გადაზღვევა წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიების ფარს, რომლის მიზანიცაა დაიცვას ისინი კატასტროფული ზარალებისგან. იგი არის სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობის გარანტი. გადაზღვევა არის ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა, რა დროსაც მზღვეველი რისკებს და ვალდებულებებს დროებით გადასცემს მეორე სადაზღვევო კომპანიას.

არსებობს გადაზღვევის სხვადასხვა სახეები: ფაკულტატური გადაზღვევა, ობლიგატორული გადაზღვევა და ფაკულტატურ - ობლიგატური გადაზღვევა.

ფაკულტატური გადაზღვევის დროს, მზღვეველს არ აქვს რისკების გადაზღვევაზე გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები გადამზღვეველთან მიმართებაში. აქვს თავისუფალი არჩევანი, თუ რომელი ცალკეული რისკის გადაზღვევა შესთავაზოს და რა პირობებით. არც გადამზღვეველს აქვს მზღვეველის მიმართ ვალდებულება გადასაზღვევად რისკის მისაღებად, მას სრული თავისუფლება აქვს რისკის გადაზღვევაზე.

ფაკულტატური გადაზღვევა, მცირე სადაზღვევო კომპანიას საშუალებას აძლევს დააზღვიოს ისეთი რისკები, რომლებიც აღემატება მათ ფინანსურ შესაძლებლობებს. იგი დაბალანსებული და მდგრადი სადაზღვევო პორტფელის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ფაკულტატური გადაზღვევის მეშვეობით მზღვეველს შეუძლია თავიდან აიცილოს სარისკო პასუხისმგებლობა, ასევე აირჩიოს ყველაზე შესაფერისი გადამზღვეველი. ფაკულტატურ გადაზღვევას პირდაპირი მზღვეველი მაშინ მიმართავს, როდესაც მზღვეველს არ აქვს დიდი სადაზღვევო საქმიანობის უფლება, აგრეთვე არ აქვს გადამზღვეველთან ურთიერთობების დიდი გამოცდილება.

ობლიგატორული გადაზღვევის დროს, ხდება მთელი პორტფელის გადაზღვევა დაზღვევის კონკრეტულ სახეობაში. ამ დროს პირდაპირი მზღვეველი ვალდებულია გადასცეს, ხოლო გადამზღვეველი ვალდებულია მიიღოს

გადაზღვევაზე ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა რისკი. მხარეებს არ აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის მიღებაზე. აქედან გამომდინარე, ობლიგატორულ გადაზღვევას ავტომატურ, სავალდებულო გადაზღვევასაც უწოდებენ. (მეცნიერება, 2013)

ობლიგატორული გადაზღვევა უფრო პოპულარული ფორმაა ვიდრე ფაკულტატური. წინასწარაა განსაზღვრული გადასაზღვევი რისკების მახასიათებლები, პირდაპირი მზღვეველისათვის გარანტირებული გადაზღვევაა.

ფაკულტატურ–ობლიგატორული გადაზღვევისას პირდაპირ მზღვეველს შეუძლია გადასცეს გადაზღვევაზე გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკები. გადამზღვეველი კი ვალდებულია ყველა ეს რისკი მიიღოს გადაზღვევაზე.

გადაზღვევის ამ ფორმით განხორციელება, პირდაპირ მზღვეველს საშუალებას აძლევს დაიტოვოს „კარგი“ რისკები, „ცუდი“ რისკები კი გადასცეს გადამზღვეველს. ასეთი შეთანხმება სადაზღვევო კომპანიას აძლევს მეტ თავისუფლებას, თუმცა აკისრებს კეთილსინდისიერად მოქმედების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და გადამზღვეველის ინტერესების გათვალისწინებას. გადამზღვეველი ასეთ ხელშეკრულებებს აფორმებს იმ მზღვეველებთან, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი სანდოობით და რეპუტაციით.

გადამზღვევსა და გადამზღვეველს შორის პასუხისმგებლობის განაწილების თვალსაზრისით განასხვავებენ პროპორციულ და არაპროპორციულ გადაზღვევას. ეს გადაზღვევები გამოიყენება როგორც ობლიგატორული, ისე ფაკულტატური გადაზღვევის დროს. პროპორციული გადაზღვევისას გადამზღვევი და გადამზღვეველი, პასუხისმგებლობას და სადაზღვევო პრემიას ინაწილებენ მათი წილების პროპორციულად. პროპორციული გადაზღვევის ორი ძირითადი სახე არსებობს: ქვოტური (Quota Share Reinsurance), ანუ წილობრივი, თანხის ექსცედენტის გადაზღვევა (Surplus Treaty), ანუ ლიმიტის მიხედვით და ქვოტურ-ექსცედენტური, ანუ შერეული.

ქვოტური გადაზღვევა არის პროპორციული გადაზღვევის ერთ-ერთი ქვესახეობა, რომლის მიხედვითაც მზღვეველი და გადამზღვეველი

პროპორციულად ინაწილებენ რისკს, შეთანხმებული ფიქსირებული წილების მიხედვით თითოეული სადაზღვევო პოლისისთვის.

თანხის ექსცედენტის გადაზღვევის დროს ყველა პოლისი, რომელთა სადაზღვევო თანხა არ აღემატება გადამზღვევის (პირდაპირი მზღვეველის) პასუხისმგებლობის ლიმიტს, რჩება გადამზღვევის პასუხისმგებლობაში. გადამზღვეველი კომპანია პასუხისმგებელია რისკის იმ ნაწილზე, რაც აჭარბებს მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტს. გადამზღვეველი ასევე არ არის პასუხისმგებელი გადაზღვევის ხელშეკრულების ლიმიტის მაღლა არსებულ თანხაზე.

ქვოტურ-ექსცედენტის გადაზღვევა წარმოადგენს ქვოტური თანხის ექსცედენტის კომბინაციას. გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრულ სიდიდემდე სადაზღვევო თანხებისათვის მოქმედებს ქვოტური გადაზღვევა. სადაზღვევო თანხის სიდიდეზე გადაჭარბების შემთხვევაში მოქმედებს თანხის ექსცედენტის გადაზღვევა. ძირითადად გადაზღვევის ეს ფორმა გამოიყენება მზღვეველის საქმიანობის დასაწყისში პატარა სადაზღვევო პორტფელის შესაძლო რისკების გამორიცხვისათვის.

არაპროპორციული გადაზღვევის შემთხვევაში, წინასწარ არ ხდება დადგენა, თუ ზარალის რა ნაწილს ანაზღაურებს გადამზღვეველი. თითოეული მხარის წილობრივი მონაწილეობა ზარალებში განისაზღვრება ფაქტობრივად მომხდარი ზარალების სიდიდის მიხედვით. გადამზღვეველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მომხდარი ზარალის სიდიდის მიხედვით. არაპროპორციული გადაზღვევის ხელშეკრულებით განისაზღვრება კონკრეტული თანხა. (გადაზღვევის_საკითხები_საქართველოს_სადაზღვევო_ორგანიზაციებში, 2015)

საქართველოს სადაზღვევო კომპანიები ზოგადად აგროდაზღვევაში მიმართავენ არაპროპორციულ გადაზღვევას, გადამზღვეველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მომხდარი ზარალის სიდიდის მიხედვით.

„ფერმერებისთვის ბიზნესის მდგრადობა გადამწყვეტია დაზღვევის გრძელვადიან ათვისებისთვის.“, თქვა პიტერ ველმა. მას მიჩნია, რომ დაზღვევა სასიცოცხლოდ აუცილებელია, განსაკუთრებულად მცირე მეურნეობებისთვის.

ასევე, მას მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის 85-90% კეთილსინდისიერი ფერმერია და მათ ესაჭიროებათ თანამედროვე ტექნოლოგიები.

სოფლის მეურნეობის დაზღვევა არა მხოლოდ ღირებული ინსტრუმენტია ფერმერების დასახმარებლად დიდი ფინანსური ზარალის არიდებაში, არამედ იგი მოქმედებს, როგორც პროგრესის მთავარი პოტენციური ხელშემწყობი ფერმერებისთვის რისკის შეზღუდვით.

1.2. აგრო დაზღვევის მნიშვნელობა სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის.

სოფლის მეურნეობის დაზღვევის დარგისთვის დამახასიათებელია თავისებური დინამიკა. მისი წარმოების ეკონომიკური პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული წარმოების ბუნებრივ პროცესებთან.

სოფლის მეურნეობა მჭიდროდაა დამოკიდებული:

- ა) ბუნებრივ გარემო-პირობებზე, ნიადაგზე, ჰიდრორესურსებზე, კლიმატური პირობებზე, ეკოსისტემაზე;
- ბ) ბუნებრივი სტიქიური მოვლენების სიხშირესა და ხარისხზე;
- გ) მავნებლების და სოკოვან დაავადებათა გავრცელებაზე.

სტაბილური კლიმატური პირობების შემთხვევაში სწორი მეურნეობის წარმოებით, ნიადაგის ნაყოფიერება და ეკოსისტემების მდგრადობა შენარჩუნდება და გაუმჯობესდება. რაც შეეხება ბუნებრივ კატაკლიზმებსა, მავნებელ დაავადებებს, მათი კონტროლი შესაძლებელია სწორი მეურნეობის მეშვეობით. თუმცა მავნე შედეგების თავიდან აცილება ყოველთვის არაა შესაძლებელი. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ენიჭება სოფლის მეურნეობის დაზღვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა, სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება, განსაკუთრებით კი მემცენარეობა, სეზონურია. მემცენარეობაში პროდუქციას იღებენ წელიწადის განსაზღვრულ პერიოდში. მრავალწლიანი კულტურები გაშენებიდან რამდენიმე წელის შემდეგ

იძლევა მოსავალს. სოფლის მეურნეობის ეს თავისებურება გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაში.

აგრო რისკები ძირითადად იყოფა სოფლის მეურნეობის ორი მიმართულებად:

- ა) მემცენარეობა და მასთან დაკავშირებული რისკები;
- ბ) მეცხოველეობა და მასთან დაკავშირებული რისკები.

თითოეული ამ ქვედარგისათვის და წარმოების პირობებისათვის აუცილებელია მათთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინება.

გარდა უშუალოდ სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკებისა, აგროდაზღვევის პროდუქტების შემუშავებისას გასათვალისწინებელია ისეთი რისკებიც, რომლებიც დაკავშირებულია უბედურ შემთხვევასთან ან მესამე პირის კრიმინალურ ქმედებასთან.

სოფლის მეურნეობის დაზღვევა უზრუნველყოფს, რომ მსოფლიო ბაზრებზე ფასების რყევამ ეროვნულ ეკონომიკის და სასოფლო-სამეურნეო დარგებს, დამანგრეველი ზიანი არ მიაყენოს. სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროდუქტები შეიძლება მოიცავდნენ ერთ ან რამდენიმე რისკს, მთელ მეურნეობას, ან მის რომელიმე ნაწილს. სოფლის მეურნეობის სექტორის ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად ყველაზე მნიშვნელოვანია სისტემური ხასიათის ბუნებრივ კატაკლიზმებთან (სეტყვა, გვალვა, ღვარცოფი, წყალდიდობა) და ეპიზოდურ დაავადებებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევა.

რისკი არის ობიექტის მომავლის განუსაზღვრელობის მახასიათებელი. თუ არ არის რისკი, არ არის დაზღვევა.

როგორ შევამციროთ რისკები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში?

აუცილებელია გავიგოთ რისკების ბუნება, ხარისხი და ხასიათი, რომლებსაც ექვემდებარებიან სოფლის მეურნეობის მწარმოებლები.

არსებობს შემდეგი აგრო რისკები:

- წარმოების რისკები;
- ფასების და მარკეტინგის რისკები;
- ინსტიტუციური რისკები;
- ფინანსური რისკები;

- პროფესიული რისკი;
- პირადი რისკები (ე. წ. ადამიანის ფაქტორი);
- სისტემური რისკები

წარმოება: მაგალითად, მარცვლეულის ფასების მაღალი რყევები დამახასიათებელია მოსავლის აღების პერიოდში და კლება მოსავლის შემდგომ პერიოდში, როდესაც ჩნდება პირველი ინფორმაცია მთლიანი მოსავლის შესახებ. წლების განმავლობაში ფასების რყევა, პირველ რიგში, დაკავშირებულია ცალკეულ წლებში წარმოების მოცულობასთან. მისი მიწოდება დ მოთხოვნა როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზარზე. არასახარბიელო ამინდის პირობებში დაბალი მოსავლიანობისას, პროდუქტებზე ფასები შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს ან შემცირდეს.

ფასები: ფასების მერყეობა სოფლის მეურნეობაში რისკის სერიოზულ წყაროს წარმოადგენს. ფასების შედარებით ცვლილებას წლიდან წლამდე შეიძლება ჰქონდეს საკმაოდ მსგავსი ხასიათი, რაც აიხსნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის სეზონურობით.

ინსტიტუციური: შეიძლება წარმოიშვას ეკონომიკური პოლიტიკის, სოფლის მეურნეობის საკანონმდებლო რეგულირების, სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში. ინსტიტუციური რისკისთვის საჭიროა სტაბილური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს მიწის ურთიერთობებს, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს ბოლო ათწლეულის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საინვესტიციო მიმზიდველობაზე.

ფინანსური: დაკავშირებულია საწარმოს ფორმირების, კაპიტალის დაგროვებისა და დაფინანსების გზებთან. რისკი ამ შემთხვევაში განპირობებულია ცვლილებებით, რაც დამოკიდებულია ნასესხები კაპიტალის დაკრედიტების განაკვეთების შემთხვევიდან, სააქციო კაპიტალის ზომაზე, არასაკმარის ლიკვიდურობაზე.

პროფესიული: განსაკუთრებით გავრცელებულია მოსავლის წარმოებაში; ის ფასდება ცალკეული კულტურების მოსავლიანობის ცვალებადობის ხარისხით.

წარმოების რისკის ხარისხი ხშირად იზომება სტატისტიკური ინდიკატორის - ვარიაციის კოეფიციენტის საშუალებით.

პიროვნული: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლეხურ და ფერმერულ საწარმოებში. აქ იგულისხმება ის ვითარება, როგორცაა ავადმყოფობა, ინვალიდობა, რამაც შეიძლება სერიოზულად იმოქმედოს საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაზე.

სისტემური: რომელიც დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც ძალიან აზარალებს როგორც ფერმერს, ისე სახელმწიფოს. მაგალითად გვალვის პერიოდი, ეპიდემია ცხოველებსა და ფრინველებში. ამ სისტემურმა კომპონენტმა შეიძლება გამოიწვიოს სოფლის მეურნეობის მზღვეველების პორტფელში დიდი ზარალი.

კვლევებმა აჩვენა, რომ არის დაბალი ცნობიერების რისკი, ფერმერები, როგორც მოგეხსენებათ, კარგად აცნობიერებენ თავიანთი წარმოების რისკებს, მაგრამ მათ შეიძლება არ შეაფასონ კატასტროფული მოვლენების ალბათობა ან სიმძიმე. აქ მთავრობამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს, ხელი შეუწყოს მათ ინფორმირებულობას, უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამები.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ განცდილი რისკის სახეები და სიმძიმე განსხვავდება კლიმატური, პოლიტიკური და ინსტიტუციური პირობების მიხედვით, რომლებშიც ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს რისკების მართვა შეუძლიათ რისკების შემცირების, გადაცემის და გადანაწილების გზით.

პირველ ჯგუფში შედის რისკის მართვის ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა: წარმოების დივერსიფიკაცია, საკმარისი ლიკვიდობის შენარჩუნება, რეზერვირება, პროდუქტებისა და წარმოების მეთოდების არჩევა რისკის ყველაზე ნაკლები ზემოქმედებით და შემცირებული წარმოების ციკლებით, ეტაპობრივი ინვესტიცია, დამატებითი შემოსავლის წყაროების ძიება და ა.შ.

რისკის გადაცემის და გადანაწილების სტრატეგიებს მიეკუთვნება:

- დაზღვევა;

- ჰეჯირება ფიუჩერებისა და ოფციონების ბაზრებზე, (შეთანხმება მყიდველსა და გამყიდველს შორის რისკის გადანაწილებაზე);

რისკის გადანაწილების ინსტრუმენტია დაზღვევა. დაზღვევის ძირითადი ფუნქციაა დაზღვეულის (დაზღვეული პირების) ადეკვატური სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური რისკებით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური შედეგების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, დაზღვევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურ-ეკონომიკური დაცვის უზრუნველსაყოფად და მნიშვნელოვანია ეკონომიკური სტაბილურობის გასაუმჯობესებლად.

დაზღვევის, როგორც რისკის გადანაწილების ინსტრუმენტის პრინციპი გახლავთ, მზღვეველს დამზღვევიდან სადაზღვევო პრემიის შეგროვებით აქვს საშუალება დაფაროს ცალკეული დაზღვეულის რისკები. დაზღვევის მექანიზმია, ზიანის სიხშირისა და მასშტაბის შესახებ ინფორმაციის შეგროვებით, მზღვეველი ადგენს სადაზღვევო პრემიას იმ დონეზე, რომელიც საშუალებას აძლევს შეგროვებული თანხიდან განახორციელოს სადაზღვევო გადახდები, დაფაროს ადმინისტრაციული ხარჯები და მიიღოს მოგება.

საფრთხეები, რომლებიც წარმოშობს წარმოების რისკებს არის ისეთი სტიქიური მოვლენები როგორებიცაა; უხვი ნალექი, გვალვა, ყინვა, სეტყვა, თოვლი და ა.შ. აგრეთვე მღრღნელები, ეპიდემიები და ხანძარი.

ბუნებრივი რესურსების რისკებია:

- გამომშრალი და ეროზირებული ნიადაგი;
- გვალვის შედეგად წყლის ნაკლებობა;

აგრო დაზღვევა მოიცავს ერთწლიან, მრავალწლიან და სათბურის მოსავლის, აგრეთვე ტყეების დაზღვევას. მისი პროდუქტებია წარმოების ხარჯების და მოსავლის დაზღვევა.

მოსავლის დაზღვევის მთავარი ფუნქციებიდან შეგვიძლია გამოვყოთ:

შემოსავლის სტაბილიზაცია. დაზღვეულ ფერმერს შესაძლებლობა ექმნება, აინაზღაუროს ფინანსური დანაკარგი და გაგრძელოს საქმიანობა შემდეგ წლებში;

ფერმერის მიერ გაწეული დანახარჯების ანაზღაურება;

კრედიტის შემთხვევაში ანაზღაურდება გადაუხდელი ნაწილი;

სოფლის მეურნეობის დაზღვევა აუმჯობესებს ფერმერული რისკების მართვას.

როგორც კვლევებიდან ჩანს სოფლის მეურნეობა ეკონომიკური სექტორის კრიტიკული წყაროა და სოფლის მეურნეობის დაზღვევა სოფლის მეურნეობის მწარმოებლების ერთ-ერთი ფინანსური ინსტრუმენტია, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ უარყოფითი ბუნებრივი რისკების შესამცირებლად.

სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარება კარგად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. აგროდაზღვევა ამცირებს სტიქიური უბედურებებით გამოწვეულ ზიანს. რაც სტაბილურს ხდის ფერმერების შემოსავლებს და გრძელვადიან პროცესში შეუფერხებლად შეძლებენ შემოსავლების ზრდას. მათი სტაბილური შემოსავალი გამოიწვევს ფინანსური ინსტიტუტების ინტერესს, რაც ფერმერებს მისცემს შესაძლებლობას ისარგებლონ ფინანსური რესურსით და გაიმყარონ სამომავლო განვითარების პერსპექტივები.

1.3. სახელმწიფოს როლი აგრო დაზღვევაში

სოფლის მეურნეობის დარგი გავრცელებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, როგორც განვითარებად ისე განვითარებულ ქვეყნებში. ამ დარგის მდგრადობის და განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის დაზღვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ხელისუფლებები კერძო სექტორთან ერთად დიდ როლს თამაშობენ სოფლის მეურნეობის დაზღვევის, არახელსაყრელი კლიმატის მიერ გამოწვეული ფინანსური ზიანის ზემოქმედების მართვის და სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდის მხარდასაჭერად.

წარმოგიდგენთ სხვადასხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობის დაზღვევის მაგალითებს, რომელთა გამოცდილება გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნისთვის.

ინდოეთში მთავრობამ განახორციელა საჯარო და კერძო, სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროგრამა, სახელწოდებით ინდოეთის მოსავლის ყოვლისმომცველი დაზღვევის სქემა, სადაც სუბსიდირებული სოფლის მეურნეობის დაზღვევა მოიცავდა კრედიტის უზრუნველყოფას. ამან გაზარდა

კრედიტების ნაკადი ფერმერებისთვის. საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 19%-დან 27%-მდე.

ინდოეთის გენერალურმა სადაზღვევო კორპორაციამ (GIC) ჩამოაყალიბა შვილობილი კომპანია, აგრარული სადაზღვევო კორპორაცია (AIC), რომ უზრუნველყოს კომპანიის ინსტიტუციური ფოკუსირება ამ კლასის ბიზნესისათვის.

სამხრეთ აფრიკის რეგიონში გვალვამ 2018 წელს მილიონობით ადამიანი მშვიერი დატოვა. მზღვეველებმა და მთავრობამ ჩამოაყალიბეს გეგმა (223 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით), 10 წლიანი სახელმწიფო სუბსიდირების სქემისთვის, რომელიც მიზნად ისახავდა ბაზრის პრობლემების გამოსწორებას, მარცვლეულისა და ზეთისხილის ფერმერების 25%-იან სუბსიდირებას. მარცვლეულის, ზეთისხილის თესლის ან პირუტყვის მცირე მესაკუთრეებს სთავაზობენ ამინდის ინდექსის დაზღვევას, სადაც სახელმწიფოს თანადაფინანსება, პრემია არის 75%. ამინდის ინდექსის დაზღვევა გამოიყენება რამდენიმე ქვეყანაში, მაგა. კენია და ინდოეთი.

კენიაში 2008 - 2011 წლებში კატასტროფულ გვალვას საერთო ჯამში 12 მილიარდი დოლარის ზარალი მოჰყვა. ამის საპასუხოდ მთავრობამ მიიღო კატასტროფების რისკის დაფინანსების ეროვნული სტრატეგია. კერძო სექტორთან პარტნიორობით, დაზღვევის პროგრამა მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ფერმერების დაზღვევას. გადახდა ხდება ელექტრონული ფულის საშუალებით, რაც ზრდის დახმარების მხარდაჭერის სიჩქარეს და გამჭვირვალობას. ნახევარ მილიონზე მეტი ფერმერი არის ჩართული ამ პროგრამის ფარგლებში. პროგრამა აძლიერებს ფერმერების ფინანსურ მდგრადობას და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ღირებულების ჯაჭვებს, კლიმატური შოკების მიმართ. (Gracelin Baskaran, 2021).

როგორც კენიაში, ასევე ინდოეთში, მთავრობებმა მხარი დაუჭირეს მონაცემთა შეგროვებას სადაზღვევო პროდუქტების მრავალფეროვნებისთვის, ასევე პრემიის თანადაფინანსებას ფერმერებისთვის დანახარჯების შესამცირებლად, რაც სადაზღვევო კომპანიებს საშუალებას აძლევს გააფართოონ მუშაობა აგრო დაზღვევის მიმართულებით.

სოფლის მეურნეობის დაზღვევა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1930-იან წლებში დაიწყო. აშშ სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროგრამა აზღვევს დაახლოებით 40 მილიარდ დოლარზე მეტ წარმოების რისკს, კულტურების ფართო სპექტრს და პირუტყვს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისეთ ქვეყნებში სადაც სოფლის მეურნეობის დაზღვევის გრძელვადიანი პროგრამები არსებობს, სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტულად ითვლება აგროდაზღვევა. ზოგიერთ ქვეყნებში სასოფლო - სამეურნეო მიწების მცირე პროცენტი არის დაზღვეული, მაგალითად კანადა (55%) და მექსიკა (9%). ამერიკის შეერთებული შტატებში კი, სასოფლო - სამეურნეო მიწების 75% - ზე მეტია დაზღვეული.

კანადასა და ესპანეთში ყველა ფერმერს აქვს ვალდებულება, რომელიც ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში, მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია მზღვეველს ნათესებთან დაკავშირებით. პროგრამით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მოახდინონ ნათესების დათვალიერება და ექსპერტიზა. ამ მიდგომის პრინციპი ისაა, რომ მოხდეს ნათესების დეტალური გაანალიზება, შეფასდეს რისკი და შემდგომ მიიღოს ფერმერმა საუკეთესო სადაზღვევო პირობები.

უგანდას მთავრობამ 2016 - 2021 წლებში მცირე ფერმერებისთვის, დაახლოებით 12 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სასოფლო - სამეურნეო დაზღვევის სუბსიდირება განახორციელა. პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პრემიების 50% არის სუბსიდირებული მცირე ფერმერებისთვის.

უგანდაში ასევე შეიქმნა ციფრული ფინანსური სერვისები, რათა ფერმერებს გაადვილებოდათ აგრო დაზღვევის სერვისების მიღება. ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენება შესაძლებლობას ქმნის, ციფრული არხებით სადაზღვევო პროვაიდერებმა გამოიყენონ არსებული მობილური ქსელები, სოფლის კლიენტებთან საკომუნიკაციოდ, გაამარტივონ რეგისტრაციის პროცესები, პრემიის გადახდები და მსგავსი სერვისები. ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენების გარდა, უგანდის მთავრობამ გაანალიზა, რომ მას სჭირდებოდა სადაზღვევო აგენტი, ფერმერებთან საურთიერთობოდ. მათი მოვალეობა იყო, აეხსნათ ფერმერებისთვის თუ რა პროდუქტი იყო ზოგადად დაზღვევა და მათ შორის აგრო დაზღვევა. 650-მა სადაზღვევო აგენტმა თავისი ქსელის მეშვეობით შეძლო ქვეყნის ტერიტორიაზე 33

132 ფერმერის გაწევრიანება აგრო დაზღვევის პროგრამაში. რამაც ძალიან შეუმცირა სადაზღვევო კომპანიებს აკვიზიციის ხარჯები.

ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე გამართული აგრო დაზღვევის სისტემა მოქმედებს, **ესპანეთსა და თურქეთში**. აგრო დაზღვევის სისტემა მოქმედებს კერძო სექტორისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის პრინციპზე. პულში გაერთიანებული არიან სახელმწიფო სტრუქტურები, კერძო კომპანიები და ფერმერები.

თურქეთში მცენარეული კულტურების და მეცხოველეობის რისკების დაზღვევას ახორციელებს სპეციალურად შექმნილი მზღვეველთა გაერთიანება TARSIM, მასში გაწევრიანებულია 22 კომპანია. ეს პროგრამა 2005 წელს ჩამოყალიბდა. 2018 წლის მონაცემებით, პოლისების რაოდენობა 1 756 000 შეადგენდა, საელმწიფო დაფინანსება 212.3 მლნ აშშ დოლარს, ანაზღაურებული ზარალი კი 220.0 მლნ დოლარს. (AGRICULTURAL INSURANCE POOL, 2022).

ესპანეთის აგროდაზღვევის სისტემა ადრეული პერიოდიდან 1978 წლიდან იღებს სათავეს. ფერმერებისთვის სოფლის მეურნეობის დაზღვევა არის ნებაყოფლობითი. ესპანური აგროდაზღვევის მოდელი დაფუძნებულია სამ საკვანძო ორგანოზე. CCS რომელიც არის საჯარო ფინანსური მარეგულირებელი და უზრუნველყოფს დაზღვევის სისტემის სტაბილიზაციას. საკოორდინაციო და მხარეთა მაკავშირებელი ორგანო გახლავთ ENESA. მისი სამდივნო არის ესპანური აგრო დაზღვევის ერთ-ერთი საკვანძო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. იგი დაფინანსებას იღებს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. გაერთიანებული სადაზღვევო პულისი სახელწოდებაა AGROSEGURO, მასში გაწევრიანებულია 25 სადაზღვევო კომპანია, იგი პასუხისმგებელია სადაზღვევო კომპანიების სახელით სასოფლო სამეურნეო კულტურების დაზღვევის მართვაზე. ეს არის მენეჯმენტის სუბიექტი. 2018 წლის მონაცემებით სახელმწიფოს დაფინანსება 230 მლნ ევროს შეადგენს, პოლისების რაოდენობა 400 000, ანაზღაურებული ზარალი კი 705 მლნ ევროს. ამჟამად ესპანეთში 43 სადაზღვევო ხაზი არსებობს რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოიყენება. სუბსიდირებული აგრო დაზღვევის სარგებლობის შემთხვევაში აუცილებელი წინაპირობაა, რომ ფერმერებმა აუცილებელი წესით უნდა დააზღვიონ მათ სარგებლობაში არსებული ყველა

სასოფლო სამეურნეო სავარგული. ყველა სავარგული იზღვევა ერთი და იგივე რისკებზე.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზიანის შეფასების მეთოდები შექმნილია ესპანეთის აგროდაზღვევის ზიანის შეფასების მეთოდის მეთოდის გათვალისწინებით, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს აგროდაზღვევა ყველაზე ახლოსაა ესპანეთის აგროდაზღვევასთან.

ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სცადეს აგროდაზღვევის სავალდებულო სახით შემოღება. თუმცა არსებობს აზრი, რომ სოფლის მეურნეობის რისკების დაზღვევა უნდა იყოს დაფუძნებული ფერმერის სურვილზე, საკუთარი ცოდნით და ხედვით მართოს რისკები. მსოფლიოს მასშტაბით დღესაც მოქმედებს სავალდებულო დაზღვევა, რომელიც კონკრეტული და ვიწრო მიმართულებებით ხორციელდება. ქვეყნებში სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს, ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებიდან გამომდინარე. ინდოეთში, არგენტინაში და ბრაზილიაში ფერმერები, რომლებიც სარგებლობენ აგრო კრედიტით, მათთვის მოქმედებს სავალდებულო დაზღვევის პაკეტი.

არგენტინაში სოფლის მეურნეობის დაზღვევის ბიზნესი კონკურენტუნარიანია დაახლოებით 25 სადაზღვევო კომპანიაა ჩართული. აღსანიშნავია, რომ ძირითადად ქვეყნის მოსავლის 25% არის დაზღვეული მხოლოდ სეტყვისგან დაზიანების წინააღმდეგ. მზღვეველების დაზღვევის ინტერსშია შემდეგი სოფლის მეურნეობის კულტურები: სიმინდი, ბარდა, სოიო, ბარდა, მზესუმზირა, ვაზი და სხვადასხვა ხილის კულტურები.

კვიპროსში შეიქმნა 1977 წელს, კვიპროსის სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ორგანიზაცია, (OGA) რომ დახმარებოდნენ კლიმატური პირობებით დაზარალებულ ფერმერებს. სოფლის მეურნეობის დაზღვევა მთლიანდ სუბსიდირებულია სახელმწიფოს მიერ.

კვიპროსში იზღვევა კონკრეტული კულტურები კონკრეტულ რისკზე, მაგალითად:

მარცვლეული კულტურები - გვალვაზე, ჟანგზე, სეტყვაზე;

ფოთლოვანი კულტურები - სეტყვაზე;

ყურძენი და ციტრუსი - ყინვაზე და სეტყვაზე.

OGA მუშაობს რომ სოფლის მეურნეობის კულტურები დაიზღვეს შემდეგ რისკებზეც ქარიშხალზე. უხვ ნალექზე და გვალვაზე.

ავსტრალიის სოფლის მეურნეობის დაზღვევა ორ ფართო კატეგორიად ყალიბდება ტრადიციული და ინდექსზე დაფუძნებული დაზღვევა. ტრადიციული დაზღვევა მოიცავს დასახელებულ საფრთხეებს, მოსავლის შემოსავალს და ურთიერთდახმარების ფონდებს, ცნობილია როგორც ფერმერთა აუზი.

ინდექსზე დაფუძნებული პროდუქტებია ამინდის მოსავლიანობის ინდექსი და ფართობის მოსავლიანობის ინდექსი.

ისტორიულად, ავსტრალიაში სოფლის მეურნეობის დაზღვევა მნიშვნელოვნად ძველია, რადგან იგი დაარსდა 1918 წელს და ითვლება კარგად განვითარებულ და ძალიან კონკურენტუნარიანად ავსტრალიაში კომპანიები უზრუნველყოფენ სეტყვის, ყინვისა და ხანძრის რისკებისგან დაზღვევას ავსტრალიაში დაინერგა პროდუქტი, ინდექსზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის დაზღვევა, რომლის მიღება შეზღუდულია.

ავსტრალიის აგროდაზღვევის ინოვაციური პროდუქტი არის YieldShield. ეს არის შედარებით ახალი პროდუქტი, რომელსაც სთავაზობს სადაზღვეო კომპანია Primacy Underwriting Agency 2009 წლიდან დღემდე. Yieldshield აერთიანებს სეტყვისა და ხანძრის დაზღვევას, მოსავლიანობის ინდექსის დაზღვევით, რომელიც მოიცავს არასაკმარისი ან გადაჭარბებული ნალექით გამოწვეულ წყლის სტრესს, ხორბლისა და მარცვლეულის კულტურებისთვის. YieldShield- ის წყლის სტრესის დაზღვევა ცდილობს გადაჭრას ფერმერის მოსავლიანობის მონაცემების ნაკლებობის პრობლემა მოსავლის სიმულაციური მოდელების გამოყენებით.

კიდევ ერთი სადაზღვეო სქემა, რომელიც დაინერგა 2011 წლის აპრილში. არის საცდელი ურთიერთდაფინანსების სქემა ხორბლისა და ქერის მწარმოებლებისთვის დასავლეთ ავსტრალიაში. ეს სქემა საშუალებას აძლევს მონაწილე მწარმოებლებს დაფარონ თავიანთი წარმოების ხარჯები, თუ მათი სარგებელი დაეცა წინასწარ განსაზღვრულ დონეზე. ეს მიზნად ისახავს მწარმოებლების ზიანის დაფარვას ბუნებრივი მოვლენების წინააღმდეგ, მათ შორის გვალვის, ყინვის, სეტყვის, წყალდიდობა და ხანძრის რისკების. მწარმოებლებს

შეუძლიათ შეიმუშაონ პრემიები ინდივიდუალურ დონეზე, წარმოების ისტორიის საფუძველზე.

ავსტრიის სოფლის მეურნეობის სექტორი ქვეყნის მიწის 34 % - ს იყენებს და 40 % დაფარულია ტყით ამ ქვეყნის რელიეფური მდგომარეობიდან გამომდინარე. ფერმერთა დიდი ნაწილს სარგებლობაში აქვთ 10 ჰექტარზე ნაკლები მიწა.

ავსტრიის სადაზღვევო ინდუსტრიას ფართო და მზარდი (სუბსიდირებული) სასოფლო - სამეურნეო დაზღვევის პროგრამა აქვს.

ავსტრიაში ხელმისაწვდომია შემდეგი რისკების დაზღვევა: სეტყვა, ყინვა, ქარიშხალი, წყალდიდობა, თოვლი, გვალვა. ხანძარი. ასევე რამდენიმე წელია რაც დაინერგა ამინდის ინდექსზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის დაზღვევა.

აგრო სადაზღვევო პოლისის მფლობელები ვალდებული არიან დააზღვიონ მთლიანი წარმოება თითოეულ დაზღვეულ კულტურაზე. გვალვის დაზღვევა ხელმისაწვდომია ყველა მარცვლეული კულტურებისთვის, სიმინდისთვის, კარტოფილისთვის, გოგრისთვის, რომელიც განკუთვნილია ზეთის წარმოებისთვის, სოიოსთვის, მზესუმზირისა და ბარდისთვის, მაგრამ ის მიუწვდომელია შაქრის ჭარხალზე, ვენახებსა და ხილის ბაღებისთვის.

დაზღვევა ფარავს გვალვის ზარალს, თუ სავეგეტაციო პერიოდში ნალექი არის ბოლო 10 წლის საშუალო ნალექების 90 % - ზე ნაკლები, თუ ზედიზედ 30 დღე ნალექი 10 მმ - ზე ნაკლებია ან თუ ჰექტარზე მოსავალი რჩება განსაზღვრულ ზღვრულ მნიშვნელობაზე. გვალვა სერიოზულია რისკია ავსტრიაში და დიდ ყურადღებას აქცევენ ამ რისკის დაზღვევას.

ავსტრიაში მხოლოდ ერთი კომპანია სთავაზობს ფერმერებს სადაზღვევო პროდუქტების ფართო სპექტრს სოფლის მეურნეობის წარმოების რისკების შესამცირებლად. „ავსტრიული სეტყვის სადაზღვევო კომპანია“ (Österreichische Hagelversicherung), რომელიც არის ორმხრივი მზღვეველი და დაარსდა ავსტრიის სადაზღვევო ინდუსტრიის მიერ 1947 წელს. როგორც ურთიერთდამზღვევი, ის არ არის ორიენტირებული მოგებაზე.

ავსტრიის ეროვნული მთავრობა სუბსიდირებას უკეთებს სეტყვის დაზღვევის პრემიას ყველა მოსავლისთვის 1995 წლიდან და ყინვის დაზღვევის პრემიას ვაზის

კულტურებისთვის და 1997 წლიდან სხვადასხვა სადაზღვევო კულტურებისთვის. სუბსიდია თანაბრად ნაწილდება ფედერალურ და ლანდერის მთავრობებს შორის და შეადგენს 50 % - ს.

ევროპის ქვეყნებს შორის განსაკუთრებით მოთხოვნადი სადაზღვევო პროდუქტია მოსავლის დაზღვევა. ასევე საქართველოშიც აგრო დაზღვევის პროდუქტის პაკეტს ძირითადად მოსავლის დაზღვევა წარმოადგენს. საქართველოში ევროპის ქვეყნებთან შედარებით სადაზღვევო სუბსიდირების წილი მაღალია. 70% არის სახელმწიფოს დაფინანსება, 30% კი ფერმერის დასაფარია ყველა კულტურაზე.

საქართველოში აგროდაზღვევის დანერგვის და განვითარების ეტაპები მოკლე პერიოდს მოიცავს. საქართველოს მთავრობის ინიციატივით ამოქმედდა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რაც გამოიხატება აგრო დაზღვევის საპილოტე პროგრამის შექმნით, რომელიც 2014 წლის სექტემბრიდან ჩაეშვა და სადაზღვევო პრემიის მნიშვნელოვან ნაწილის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებას გულისხმობს.

საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მცდელობები 10 წელს მოიცავს. ეს დრო კი, ისეთი რთული სპეციფიკის მქონე დაზღვევის სახეობისთვის, როგორც არის აგროდაზღვევა ძალიან მცირეა, გამართული სისტემის მოსაწყობად. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები კი ამ კუთხით დიდ გამოცდილებას ფლობენ. არაერთი მექანიზმია დატესტილი ამ დარგის გამართულად ფუნქციონირებისათვის.

როგორც კვლევებმა აჩვენა მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე სახელმწიფოს მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აგროდაზღვევისთვის. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, სადაც აგროდაზღვევის სისტემა გამართულად ფუნქციონირებს, მოქმედებს თანადაფინანსების პროგრამები და სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული პროცესებში.

აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელების შედეგად აშკარაა სფეროს პოპულარიზაცია მოსახლეობაში.

აგროდაზღვევის პროგრამაში 2020 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, ფერმერებს მრავალწლიანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში,

შესაძლებლობა აქვთ მოსავალი დააზღვიონ სამი კალენდარული წლით. ეს მეტად ღირებულია, რადგანაც ფერმერებს და სადაზღვევო კომპანიებს გარანტია ექმნებათ სამომავლო განვითარების თვალსაზრისით.

ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის უფლება, შეუძლია აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მონაწილე გახდეს. აუცილებელია, დამზღვევი რეგისტრირებული იყოს ფერმერთა/ფერმათა რეესტრში. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ფერმერს შეუძლია დააზღვიოს, როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი კულტურები.

2024 წელს შევიდა ცვლილებები 24 აპრილის N137 მთავრობის დადგენილებით, განისაზღვრა ახალი ტარიფები, დანართი N1. (იხ ცხრილი 1). განისაზღვრა დასაზღვევი ფართობების მაქსიმალური ოდენობა, პროგრამის ფარგლებში, მაქსიმალური ზედა ზღვარი დაზღვეული მიწის ნაკვეთისა არის 20 ჰა, მარცვლეული კულტურების მაქსიმუმი შეადგენს 100 ჰა ფართობს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში, ფართობი შეუზღუდავია.

ასევე ხეხილოვან კულტურებზე ქარიშხლის რისკით მიყენებულია ზიანის ფრანშიზის ოდენობა განისაზღვრა 15%-ით.

ქარის სიჩქარე განისაზღვრა 20 მ/წმ ან მეტი.

დამზღვევის მიერ ზიანის შეტყობინების ვადა ნაცვლად 24 საათია გაიზარდა 72 საათამდე.

განისაზღვრა შეფასების ვადები, მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო რისკის მოხდენიდან 15 კალენდარულ დღეში შეადგინოს დაზიანების დათვალიერების აქტი, ციტრუსის შემთხვევაში 30 კალენდარულ დღეში უნდა შედგეს დაზიანების დათვალიერები აქტი.

(საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის დადგენილება №137 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2024)

დანართი N1

ცხრილი 1

სასოფლო სამეურნეო კულტურა	სააგენ ტოს თანამო ნაწილე ობა	დამზღვე ვის თანამონ აწილეობ ა	ტარიფ ის ქვედა ზღვარი	ტარიფ ის ზედა ზღვარი	მაქ. ნორმატი ული ფასი ლარი/ჰა	მაქ. ნორმატი ული ფასი ლარი/კვ	მაქს. ნორმატიუ ლი მოსავლიან ობა კვ/ჰა
მარცვლეული კულტურები							
ხორბალი	70%	30%	4,88%	8,13%	1500	0,5	3000
ქერი	70%	30%	4,88%	8,13%	1320	0,6	2200
სიმინდი	70%	30%	4,88%	8,13%	2250	0,5	4500
შვრია	70%	30%	4,88%	8,13%	1200	0,6	2000
წიწიბურა	70%	30%	4,88%	8,13%	2340	1,2	1950
ჭვავი	70%	30%	4,88%	8,13%	1365	0,65	2100
პარკოსანი კულტურები							
ლობიო	70%	30%	4,88%	8,13%	3400	2	1700
მზესუმზირა	70%	30%	4,88%	8,13%	2300	1	2300
სოიო	70%	30%	4,88%	8,13%	2500	1	2500
ბარდა	70%	30%	4,88%	8,13%	1080	0,6	1800
მიწის თხილი	70%	30%	4,88%	8,13%	8500	5	1700
ბოსტნეული კულტურები							
ბადრიჯანი	70%	30%	6,38%	10,63%	14000	0,5	28000
წიწაკა	70%	30%	6,38%	10,63%	14000	0,5	28000
კომბოსტო	70%	30%	6,38%	10,63%	15200	0,4	38000
პომიდორი	70%	30%	6,38%	10,63%	12000	0,4	30000
კიტრი	70%	30%	6,38%	10,63%	13500	0,5	27000
კარტოფილი	70%	30%	6,38%	10,63%	15000	0,6	25000
ხახვი	70%	30%	6,38%	10,63%	12500	0,5	25000
წიორი	70%	30%	6,38%	10,63%	14500	1,8	8000

სტაფილო	70%	30%	6,38%	10,63%	16250	0,65	25000
ჭარხალი	70%	30%	6,38%	10,63%	15000	0,5	30000
ბროკოლი	70%	30%	6%	10,63%	20000	2	10000
ყვავილოვანი კომბოსტო	70%	30%	6%	10%	15000	0,8	18750
მწვანელი არა სასათბურე	70%	30%	6%	10%	18000	3	6000
ცერეცო არასასათბურე	70%	30%	6%	10%	30000	3	10000
ბალჩეული კულტურები							
საზამთრო გარდა კახეთის რეგიონის	70%	30%	7,88%	13,13%	10000	0,25	40000
საზამთრო კახეთის რეგიონის	70%	30%	9,85%	16,41%	10000	0,25	40000
ნესვი გარდა კახეთის რეგიონის	70%	30%	7,88%	13,13%	10000	0,4	25000
ნესვი კახეთის რეგიონის	70%	30%	9,85%	16,41%	10000	0,4	25000
გოგრა	70%	30%	7,5%	12,5%	12000	0,6	20000
ვაზი გარდა კახეთის რეგიონის							
თეთრი	70%	30%	6,38%	10,63%	9000	0,9	10000
წითელი	70%	30%	6,38%	10,63%	15000	1,5	10000
ვაზი კახეთის რეგიონის							
თეთრი	70%	30%	7,97%	13,29%	9000	0,9	10000
წითელი	70%	30%	7,97%	13,29%	15000	1,5	10000
ხეხილი							

ვაშლი გარდა შიდა ქართლის რეგიონის	70%	30%	6,75%	11,25%	25000	1	25000
ვაშლი შიდა ქართლის რეგიონის	70%	30%	7,43%	12,38%	25000	1	25000
მსხალი	70%	30%	6%	10%	30000	1,5	20000
კომში	70%	30%	6%	10%	20000	1	20000
ბალი/ალუბალი	70%	30%	6%	10%	22500	1,5	15000
ატამი	70%	30%	6%	10%	13800	0,6	23000
გარგარი	70%	30%	6%	10%	22500	1,5	15000
ქლიავი	70%	30%	6%	10%	14400	0,9	16000
ბროწეული	70%	30%	6%	10%	19200	1,2	16000
ალუჩა	70%	30%	6%	10%	16000	0,8	20000
ტყემალი	70%	30%	6%	10%	9000	0,6	15000
კენკროვანი კულტურები							
მარწყვი	70%	30%	8,25%	13,75%	13500	1,5	9000
ჟოლო	70%	30%	8,25%	13,75%	14000	2,8	5000
მოცხარი	70%	30%	8,25%	13,75%	12000	2	6000
მოცვი	70%	30%	8,25%	13,75%	32000	4	8000
მაცვალი	70%	30%	8,25%	13,75%	14000	2,8	5000
კაკლოვანი კულტურები							
თხილი	70%	30%	4,5%	7,5%	6000	4,	1500
კაკალი	70%	30%	4,5%	7,5%	16000	4	4000
ნუში	70%	30%	6,94%	11,56%	15000	5	3000
სუბტროპიკული კულტურები							
კივი	70%	30%	8,03%	13,38%	18000	1	18,000
სუბ. ხურმა, კარალიოკი	70%	30%	8,03%	13,38%	10800	0,6	18,000

ფეიხია	70%	30%	8,03%	13,38%	18000	1,5	8,000
ციტრუსი							
მანდარინი	70%	30%	11,25%	18,75%	10000	0,5	20,000
ლიმონი	70%	30%	11,25%	18,75%	13600	0,85	16,000

(საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის დადგენილება №137 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2024)

ასევე არსებობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021-2024. სადაც გაანალიზებულია პროგრამის პრობლემები, განვითარების სტრატეგია.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის¹ სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში). დადგენილებით განსაზღვრულია მოსავლის ალების სავარაუდო თარიღები, დანართი N8.(იხ. ცხრილი 2).

მოსავლის ალების სავარაუდო თარიღები დანართი N8

ცხრილი 2

სასოფლო-სამეურნეო კულტურა	მოსავლის ალების სავარაუდო თარიღი	
	მთა	ბარი
მარცვლეული კულტურები		
ხორბალი	აგვისტო	ივნისი-ივლისი
ქერი	ივლისი-აგვისტო	ივნისი-ივლისი
სიმინდი	ოქტომბერი-ნოემბერი	აგვისტო-ნოემბერი
პარკოსანი კულტურები		
ლობიო	აგვისტო-ოქტომბერი	ივნისი-სექტემბერი
მზესუმზირა	სექტემბერი	აგვისტო -სექტემბერი
სოიო	ოქტომბერი-ნოემბერი	სექტემბერი-ოქტომბერი
მიწის თხილი	სექტემბერი	აგვისტო-სექტემბერი
ბოსტნეული კულტურები		
ბადრიჯანი	აგვისტო-ოქტომბერი	ივნისი-ოქტომბერი
წიწაკა	აგვისტო-ოქტომბერი	ივნისი-ოქტომბერი
კომბოსტო	სექტემბერი-ოქტომბერი	ივლისი-ოქტომბერი
პომიდორი	აგვისტო-სექტემბერი	მაისი- ოქტომბერი

კიტრი	ივლისი-სექტემბერი	ივნისი-ოქტომბერი
კარტოფილი	სექტემბერი-ოქტომბერი	ივნისი-აგვისტო
ხახვი	აგვისტო-სექტემბერი	ივლისი-აგვისტო
ნიორი	ივლისი-აგვისტო	მაისი-ივლისი
სტაფილო	ოქტომბერი-ნოემბერი	სექტემბერი-ოქტომბერი
ჭარხალი	ოქტომბერი-ნოემბერი	სექტემბერი-ოქტომბერი
ბროკოლი	ოქტომბერი-ნოემბერი	სექტემბერი-ოქტომბერი
ყვავილოვანი კომპოსტო	ოქტომბერი-ნოემბერი	სექტემბერი-ოქტომბერი
მწვანელი (არასასათბურე)	მაისი-ოქტომბერი	აპრილი-ნოემბერი
ცერცო (არასასათბურე)	მაისი-ოქტომბერი	აპრილი-ნოემბერი
ბაღრეული კულტურები		
საზამთრო	აგვისტო-სექტემბერი	ივნისი-აგვისტო
ნესვი	აგვისტო-სექტემბერი	ივნისი-სექტემბერი
გოგრა	ოქტომბერი-ნოემბერი	სექტემბერი-ოქტომბერი
	ვაზი	
თეთრი	ოქტომბერი-ნოემბერი	აგვისტო-ოქტომბერი
წითელი	ოქტომბერი-ნოემბერი	აგვისტო-ოქტომბერი
	ხეხილი	
ვაშლი	სექტემბერი-ოქტომბერი	ივლისი-ოქტომბერი
მსხალი	სექტემბერი-ოქტომბერი	აგვისტო-ოქტომბერი
კომში	სექტემბერი-ოქტომბერი	სექტემბერი-ოქტომბერი
ბალი, ალუბალი	ივნისი-ივლისი	მაისი-ივლისი
ატამი	აგვისტო	ივნისი-აგვისტო
გარგარი	ივლისი	ივნისი-აგვისტო
ქლიავი	სექტემბერი-ოქტომბერი	ივლისი-ოქტომბერი
ბროწეული	სექტემბერი-ოქტომბერი	სექტემბერი-ოქტომბერი
ალუჩა	მაისი-ივნისი	მაისი
ტყემალი	ივლისი-სექტემბერი	ივნისი-აგვისტო
კენკროვანი კულტურები		
მარწყვი	ივნისი-ივლისი	მაისი-ივნისი/მაისი-ოქტომბერი
ჟოლო	ივნისი-ოქტომბერი	მაისი-ნოემბერი
მოცხარი	აგვისტო	ივლისი-აგვისტო
მოცვი	აგვისტო	ივლისი-აგვისტო
მაყვალი	აგვისტო-სექტემბერი	ივნისი-სექტემბერი
კაკლოვანი კულტურები		
თხილი	აგვისტო-სექტემბერი	აგვისტო
კაკალი	სექტემბერი-ოქტომბერი	აგვისტო-სექტემბერი
ნუში	სექტემბერი	აგვისტო
სუბტროპიკული კულტურები		
კივი		ოქტომბერი-ნოემბერი
სუბტროპიკული ხურმა, კარალიოკი		ოქტომბერი-ნოემბერი

ფეიხია		ოქტომბერი-ნოემბერი
ციტრუსი		
მანდარინი		ოქტომბერი-დეკემბერი
ლიმონი		ოქტომბერი-დეკემბერი

აგრო ზარალების შეფასება ხორციელდება, სადაზღვევო რისკისგან დაზიანებული ფართობების ადგილზე შესწავლით აგრო ექსპერტების მიერ, რომლებიც სპეციალურ მომზადებას გადიან აგრო ზიანის შეფასების კუთხით.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის დანერგვამ საქართველოში, ცალსახად განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა სოფლის მეურნეობა. გამართული სისტემის ჩამოსაყალიბებლად გასავლელი არის კიდევ მრავალი განვითარების ბილიკი. აგროდაზღვევის პროგრამა ახალი პროდუქტია საქართველოსთვის და სჭირდება დრო, რომ მოსახლეობამ გაიაზროს, გაანალიზოს და გაითავისოს ამ პროდუქტის სიკეთეები, მნიშვნელობა და აუცილებლობა. აგრო სექტორისთვის სადაზღვევო ბაზრის განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია, იგი ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. სექტორში დასაქმებულებს აუმაღლებს კონკურენტუნარიანობას, შეუმცირებთ წარმოების რისკებს და შეუნარჩუნებთ შემოსავალს.

თავი 2. რისკების ანალიზი და აგრო ზარალის ანაზღაურების მეთოდოლოგიის სრულყოფა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში

2.1. სასოფლო - სამეურნეო რისკების ანალიზი

სოფლის მეურნეობა მუდმივი რისკის ქვეშაა, ამ რისკების ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია და წარმოადგენს სენსიტიურ საკითხს.

განვიხილავთ დაზღვევად რისკებს, რომლებიც მოსავლის შემცირებას და დაკარგვას განაპირობებენ. აქ აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს დაზღვეული კულტურების ტიპები და მათი თავისებურებები. დაზიანებული მოსავალი, რომელიც სამომავლოდ დაკარგავს სასაქონლო სახეს და განადგურებული მოსავალი, რომელიც ექვემდებარება კომპენსაციას, თუ განადგურდა სადაზღვევო რისკით.

მნიშვნელოვანია ზარალის ოდენობის დადგენის დროს, დადგინდეს ზიანი რამ გამოიწვია, დაზღვეულმა რისკმა, თუ დაუზღვევლმა. ყველა რისკი ერთგვარი როდია, რისკების სიმრავლე შეიძლება დავყოთ სამ ტიპად დამოუკიდებელი, არადამოუკიდებელი და სისტემური რისკები.

მოსავლის დაზღვევაში სექციის რისკი არის დამოუკიდებელი რისკის ნიმუში. როდესაც ერთი ფერმერი განიცდის სექციით გამოწვეულ ზარალს, ეს არ ნიშნავს, რომ მის ბედს გაიზიარებენ იმავე რეგიონში ან ქვეყანაში მცხოვრები სხვა ფერმერებიც.

ფასის რისკები სისტემურია, როდესაც ხორბლის ერთ მწარმოებელს სირთულეს უქმნის დაბალი ფასები, დიდი ალბათობით ამავე დაბალი ფასების გავლენას განიცდის ხორბლის ყველა სხვა მწარმოებელიც.

მოსავლიანობის ზარალებს უმეტესად იწვევს კლიმატური/მეტეოროლოგიური მოვლენები, როგორცაა გვალვა, ჭარბი ან არასაკმარისი ტენიანობა, დატბორვა და სხვა. ეს რისკები არც მთლიანად დამოუკიდებელია, არც მთლიანად სისტემური. მათ განვიხილავთ, როგორც არადამოუკიდებელ რისკებს. კერძო სადაზღვევო კომპანიები ჩვეულებრივ ახორციელებენ დაცვას დამოუკიდებელი რისკებისგან, ფიზიკურსული და ოფციური ბირჟები უზრუნველყოფენ სისტემური რისკების დაზღვევას (ჰეჯირებას).


სადაზღვევო პროდუქტების მეშვეობით პოლისის მფლობელი უზიარებს თავისი რისკის ნაწილს დაზღვევის მყიდველთა ერთობლიობას. ის ვინც ყიდულობს დაზღვევას, იღებს გადაწვეტილებას, იტვირთოს შედარებით მცირე მიმდინარე ზარალები (სადაზღვევო პრემიები) ნაცვლად იმისა, რომ დაუპირისპირდეს დიდ ზარალს, რომლის ალბათობაც არსებობს.

აგრარულ სექტორში დაბალი პროდუქტიულობა ფერმერული მეურნეობების მცირე ზომით, ინფრასტრუქტურული უამრავი პრობლემებით, ფერმერთა შეზღუდული ცოდნითა და რისკ მენეჯმენტის დაბალი დონითაა გამოწვეული.

უკანასკნელ წლებში სტიქიური მოვლენების გამო არაერთხელ დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. იმატა ასევე პირუტყვის დაცემის შემთხვევებმაც ისეთი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შედეგად გამოწვეულმა ზიანმა, როგორცაა გვალვა, სეტყვა, წყალდიდობა და ქარიშხალი, 1995 – 2017 წლებში 18 მილ. ლარს გადააჭარბა. 2012 -2015 წლები (ჯამში 566,8 მლნ ლარის ზარალი). სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის მიხედვით, მხოლოდ 2014 წელს სტიქიური მოვლენების შედეგად (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, გვალვა და ა.შ.) დაზარალდა მიახლოებით 108 360 მეწარმე, მიყენებულმა ზარალმა 136 236 343 ლარი.

სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალი ლარში

დიაგრამა 1



მოგეხსენებათ სხვადასხვა სახის რისკი ამა თუ იმ ზომით მთელი აგრარული სექტორისთვისაა დამახასიათებელი, გამოვყოთ ის მიმართულებები, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის ძირითად დარგებად ითვლება, გამოირჩევა როგორც ეკონომიკური მნიშვნელობით, ასევე დასაქმებულთა რიცხოვნობის მიხედვით და განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რისკების მიმართ. ასეთ დარგებს მიეკუთვნება მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეთხილეობა, მესიმინდეობა და მეხორბლეობა, ასევე მეცხოველეობა (მემროხეობა და მეცხვარეობა).

მემცენარეობის სექტორს ყველაზე დიდ საფრთხეს სტიქიური ბუნებრივი მოვლენები უქმნის, ასევე პარაზიტებისა და მავნებელ დაავადებების გავრცელება.

მეცხოველეობის სექტორში გავრცელებულ რისკებს წარმოადგენს მტაცებლის თავდასხმა, საქონლის დაკარგვა, მისი სიკვდილი ან დაკვლის აუცილებლობა უბედური შემთხვევის გამო. ცხოველის სიკვდილის მიზეზი ხშირად ხდება ეპიდემიური დაავადებები, მაგალითად მესაქონლეობის სექტორში გავრცელებულია ისეთი ინფექციური დაავადებები, როგორებიცაა: ჯილეხი, თურქული, ბრუცელოზი და ტუბერკულოზი, ემკარი, პასტერელოზი, მეცხვარეობაში ხშირია ე.წ. ნაბარევი. აგრარული სექტორის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სისტემური ხასიათის სტიქიურ მოვლენებთან (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, გვალვა) და ეპიზოოტურ დაავადებებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევას, ასეთი რისკების დაზღვევის განვითარებაში კი უმნიშვნელოვანესი როლი სახელმწიფოს ენიჭება.

საქართველოში ყველაზე მეტი დაზღვეულია ვაზის ფართობი, ხოლო მეორე ადგილი უკავია ხეხილს, მესამე ციტრუსოვან კულტურებს, შემდგომ მოყვება კაკლოვანი კულტურები, ბოსტნეული და მარცვლოვანი კულტურები. (იხ. ცხრილი 3). აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობასა ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ არა უმეტეს 20 ჰექტარი (მარცვლოვანი კულტურების მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 100 ჰა) ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. სახელმწიფო

სუბსიდირება 70%-ია. დაინერგა ზიანის შეფასების საერთო მეთოდოლოგია თხილის, ვაშლის, საზამთროს, ვაზის, ხორბლის, კარტოფილის და მანდარინისთვის, წელს ჩაეშვა ხახვის მოსავლის ზიანის შეფასების მეთოდოლოგია. თუმცა კვლევებმა აჩვენა, რომ საჭიროა ზიანის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება სიმინდის, კენკროვანი კულტურების, კიტრის და პომიდვრისათვის.

ცხრილი:3 დაზღვეული კულტურების ნაკვეთების რაოდენობა წლების მიხედვით.

ცხრილი: 3

წელი	ვაზი	მარცვლოვანი კულტურა	ციტრუსი	კაკლოვანი კულტურა	ხეხილი	ბოსტნეულის კულტურა
2014-15	8970	1096	16789	6732	3414	2003
2016	5999	1840	6451	3431	4259	3094
2017	10028	2879	2882	3169	3669	2883
2018	7159	1192	370	1266	2714	1577
2019	10165	1097	928	1594	3011	2650
2020	9894	1837	1160	1359	6161	1503
2021	12432	1467	749	1057	6388	1151
2022	13563	1180	318	652	5049	1113
2023	14995	1098	209	475	4538	1482
ჯამი	93205	10807	29856	19735	39203	17456

ბოლო პერიოდში საქართველოში ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ ფერმერთა უმრავლესობა ინფორმირებულია აგროდაზღვევის შესახებ, რასაც მათი დიდი ნაწილი აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შემოღებას უკავშირებს. სახელმწიფოს მიერ აგროდაზღვევის პროგრამის შემოღებამ დადებითად იმოქმედა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე აგროდაზღვევის კუთხით. აღსანიშნავია, რომ უკვე ფერმერთა დიდი ნაწილი სარგებლობს ამ პროდუქტით, ამის უმთავრესი მიზეზია ნდობის ფაქტორის ამაღლება.

2.2. ანდერაიტინგი აგროდაზღვევაში

ანდერაიტინგი წარმოადგენს რისკის შეფასებისა და მიღების პროცესს. ხოლო დაზღვევა ერთგვარ ერთიან პულს, სადაც ბევრ პირს შეაქვს თავისი შენატანები და საიდანაც ზარალი აუნაზღაურდება მცირე რაოდენობის პირებს. ანდერაიტერის ამოცანაა, ეს პული მართოს მაქსიმალურად ეფექტურად, რათა იგი მაქსიმალურად მომგებიანი იყოს.

ანდერაიტერის ფუნქციებია:

- შეაფასოს რისკი, რომელიც მოდის ერთიან პულში;
- გადაწყვიტოს აილოს თუ არა რისკი, ან რისკის რა ნაწილი აილოს;
- განსაზღვროს და ჩამოაყალიბოს შესათავაზებელი დაზღვევის პირობები;
- გამოთვალოს მისაღები (ეფექტური) პრემია.

რისკების ანდერაიტინგის პროცესი სხვადასხვა ნაირია, დაზღვევის სხვადასხვა სახეობებთან მიმართებაში და ასევე დამოკიდებულია მზღვეველის მიდგომაზე ამ საკითხისადმი.

მზღვეველები შეიმუშავენ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს, სადაც დადგენილია, თუ რომელი რისკების დაზღვევა არის სასურველი და რა პირობების დაცვაა საჭირო ამ რისკების დაზღვევისას.

განაცხადი სადაზღვევო დაფარვის თაობაზე გადაეცემა ანდერაიტერებს. ანდერაიტერები დეტალურად განიხილავენ განაცხადს, გულდასმით სწავლობენ საფრთხეებს, რომლებიც პოტენციურად ემუქრება სადაზღვევო ობიექტს და იმ ადამიანებს, ვინც პასუხს აგებს დაზღვევის ობიექტის მოვლა, პატრონობასა და სწორ უტილიზაციაზე. ყოველივე ეს ეხმარება ანდერაიტერებს, სწორად შეაფასონ მოცემული რისკების პოტენციური ფინანსური გავლენა. ანდერაიტერი ადგენს რისკის კლასს, განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის პირობებს და მხოლოდ ამის შემდეგ აღიარებს რისკს და იღებს გადაწყვეტილებას პოლისის გაცემაზე.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს სადაზღვევო კომპანიისთვის განაცხად-ანკეტაში არსებული ინფორმაცია. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მზღვეველი აფასებს შემოთავაზებული რისკის ბუნებას, მახასიათებლებსა და იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა პირობებით აილოს ეს რისკი. აქედან ცხადია, რომ

მზღვეველი ყველა რისკს არ იღებს თავის თავზე და რომლებსაც იღებს, ყველას ერთნაირ პრემიასა და დაზღვევის პირობებს არ სთავაზობს.

აგროდაზღვევა თავის ბუნებით სადაზღვევო ბიზნესის კომპლექსური სახეობაა, რადგან აგრარული წარმოება დამოკიდებულია მთელ რიგ ბიოლოგიურ პროცესებზე და რისკების ფართო სპექტრზე.

მეორეს მხრივ კი ინდივიდუალურ მეწარმეებს შორის ეს რისკები არა ჰომოგენურად არიან გადანაწილებული და მომატებული რისკის დონეები ხშირ შემთხვევაში განპირობებულია სწორედ ინდივიდუალურ მეწარმეთა ამა თუ იმ ქმედებებით. აღნიშნულის გათვალისწინებით ცხადად ჩანს, რომ აგროწარმოების დანაკარგებს მთელი რიგი ფაქტორები განაპირობებს და სწორედ ანდერაიტინგი არის რისკის მართვის ის ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს რისკის შერჩევას და რისკის აღების უმთავრეს კრიტერიუმებს და სწორედ ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით წარმოებს პორტფელის ფორმირება დროსი გარკვეულ მონაკვეთში მისი ქცევის პროგნოზი.

აგროდაზღვევის ანდერაიტინგის პროცესის წარმართვისას და რისკის აღების მიზანშეწონილობის განსაზღვრისას, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად შემდეგი უმთავრესი ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული:

- მოსალოდნელი ზარალი უნდა იყოს განსაზღვრადი და გაზომვადი. კრიტიკულია რომ ზარალის დადგომის პერიოდები და მოცულობა იყოს მკაფიოდ განსაზღვრადი;
- დიდი რაოდენობის ინდივიდების რისკების კონკრეტული მახასიათებლებით დაჯგუფება და მათი პულირება - ზოგადად დაზღვევის ფუნდამენტური პრინციპის შესაბამისად დაზღვევის ფუნქციონირებისათვის უმთავრეს წინაპირობას წარმოედგენს;
- დიდი რაოდენობით დამოუკიდებელი რისკების პულირება, რაც სტატისტიკურად დიდი რიცხვთა კანონის შესაბამისად, მოსალოდნელი ზარალების მაღალი სანდოობით განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა;
- მოსალოდნელი ზარალის შემთხვევითობა და მისი სიმულაციის შეუძლებლობა - მოსალოდნელი ზარალი უნდა იყოს შემთხვევითი და გამორიცხული უნდა იქნას რისკების სპეკულაციური ბუნება;

- პორტფელში შემავალი ინდივიდების ზარალების სიხშირის და სიმწვავის ალბათობის განსაზღვრა - იმისათვის რომ დაწესდეს სადაზღვევო პრემიის სამართლიანი განაკვეთი და პორტფელმა შეძლოს ჯანსაღი ფუნქციონირება. ანდერაიტინგის პროცესში შესამღებელი უნდა იყოს მაღალი სანდოობით იქნას შეფასებული ზარალის მოსალოდნელი სიხშირე და სიმწვავე;
- ცალკეულ ინდივიდთა მხრიდან განპირობებული ანტი სელექციის დონის მინიმუმამდე დაყვანა ანტი სელექციის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს არასამართლიანი სატარიფო სტრუქტურა, დაზღვევის ხელშეკრულების ტექნიკური ნაწილის რიგი ნაკლოვანებები და ინდივიდების მხრიდან რისკის შესახებ მეტი ინფორმაციის ფლობა ვიდრე მზღვეველს გააჩნია. შედეგად რისკის დაბალ, ან საშუალო დონეების მიმართ მიდრეკილი ინდივიდები დროთა განმავლობაში წყვეტენ დაზღვევით სარგებლობას და პორტფელის ფორმირება უმთავრესად ხდება რისკის მაღალი დონეების მიმართ მიდრეკილი ინდივიდებით, რაც თავის მხრივ პროდუქტის ფუნქციონირების შეწყვეტის უპირობო საფუძველია;
- კატასტროფული, სისტემური რისკების განსაზღვრა და შესაბამისი დონისძიებების შემუშავება - სისტემური რისკები მიეკუთვნებიან რთულად ან სრულად დაუზღვეველი რისკების კატეგორიას, რადგანაც მათი ხდომილების შემთხვევაში პორტფელში შემავალი ინდივიდუალური ობიექტების უდიდესი ნაწილი განიცდის მნიშვნელოვან დანაკარგებს. შესაბამისად მსგავსი რისკების დაზღვევა უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს სავალდებულო და ნახევრად სავალდებულო დაზღვევის პროდუქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკის მეტ - ნაკლებად დივერსიფიკაციას გეოგრაფიულ ჭრილში და სისტემური რისკებისაგან განპირობებული ზარალების მეტ ნაკლებად სტაბილიზაციას. (insurance“, 2024)

2.3. აგრო ზარალების შეფასების სპეციფიკა სოფლის მეურნეობის კულტურების მიხედვით

აგროდაზღვევის პროგრამაში მთავარ როლს ასრულებს სადაზღვევო რისკით დამდგარი ზიანის შეფასება, რომელიც თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ძალზედ თავისებური და მნიშვნელოვანია.

აგრო ზარალების სწორად და ობიექტურად შეფასება სოფლის მეურნეობის და აგროდაზღვევის განვითარებისთვის უალრესად მნიშვნელოვანია.

ზიანის შეფასება ხდება სადაზღვევო რისკებით დაზიანებული მცენარის დაზღვევის პირობების შესაბამისი დანაკარგის დადგენის პროცენტული მაჩვენებლების, საბოლოო რეალური პროდუქციის და მოსალოდნელი რეალური პროდუქციის განსაზღვრის გზით. ამ პროცესს ახორციელებს კვალიფიციური და პროფესიონალი აგრო ექსპერტი. მისი პროფესიონალიზმის გარეშე შეუძლებელი იქნება ზიანის სწორად და ობიექტურად შეფასება. აგრო ზარალების შეფასების ექსპერტს თავისი საქმიდან გამომდინარე, დიდი წვლილი მიუძღვის სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებაზე, ფერმერების სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლასა და კეთილდღეობაზე.

ზიანის შემფასებელი აფასებს დაზღვეული რისკის მიერ გამოწვეული დაზიანებების შედეგად მცენარის ვეგეტატიური და გენერაციული ნაწილების, ნაყოფების მდგომარეობის გადახრას საწყისი მდგომარეობიდან. ზიანის შეფასება ხდება რაოდენობრივი დანაკარგების პროცენტული მაჩვენებლის დადგენის მიზნით. ზიანის პროცენტის დადგენის მიზანია განისაზღვროს, თუ რამდენი პროცენტით მოხდა ან მოხდება დაზღვეული რისკის ხდომილებით მანამდე არსებული მოსავლის ან მცენარეების შემცირება, იმასთან შედარებით რაც იყო სადაზღვევო რისკის დადგომამდე.

ზიანის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი აუცილებელი ფაქტორები, როგორცაა: კულტურის ტიპი; მცენარის განვითარების ფაზა; დამაზიანებელი მოვლენა ან ინტენსივობა; მანამდე არსებული ზიანი; უშუალოდ დაზღვეული რისკის ხდომილებით განადგურებული მცენარეების ან ნაყოფების,

კვირტების ან ყვავილების ნასკვების, ფოთლების ვეგეტატიური ნაწილების რაოდენობა და ნაწილობრივ დაზიანებული მცენარეების/ნაყოფების რაოდენობა.

შემოწმების მომენტში ხდება დაზღვეული რისკით დაზიანებული ნიმუშების აღება, რომლებიც დაზღვეული რისკის ზემოქმედების შედეგად მიყენებული მექანიკური დაზიანებების გამო განადგურდა, დაკარგული აქვს სასაქონლო სახე და საბაზრო ღირებულება (გამოუსადეგარია ადამიანის საკვებად). ასევე დაზღვეული რისკით განადგურებული ნიმუშების რაოდენობაში შედის ისეთ დონეზე დაზიანებული ნიმუშები, რომლებსაც შემოწმების მომენტისათვის ჯერ კიდევ აქვთ შერჩენილი ცხოველქმედების უნარი, მაგრამ გარკვეული პერიოდის გავლის შემდგომ, დაზღვეული რისკით გამოწვეული დაზიანებებისგან მიყენებული ზემოქმედების გამო ვეღარ მოახერხებენ ფიზიოლოგიური პროცესების აღდგენას და განადგურდებიან. დანაკარგების დადგენის მიზნით, დაუზღვეველი რისკით დაზიანებული/განადგურებული ნიმუშების რაოდენობა უნდა ჩაითვალოს დაზღვეული რისკით დაუზიანებელ ნიმუშების რაოდენობაში.

მოსავლის დანაკარგის დადგენის მიზნით დაზღვეული რისკისაგან გაყრევინებული/გაცვენილი/დაზიანებული ნიმუშების შეფარდება უნდა მოხდეს სანიმუშო ფართობზე ან მცენარეზე არსებულ ნიმუშების მთლიან რაოდენობასთან.

წარმოგიდგენთ ფორმულას რის მიხედვითაც ითვლება დაზღვეული რისკის მიერ გამოწვეული დაზიანების პროცენტი.

$$\text{დაზიანების\%} = (D / (D + S)) \times 100$$

სადაც დაზიანების % დაზღვეული რისკის მიერ გამოწვეული დაზიანების პროცენტია.

D - დაზღვეული რისკით ძლიერად დაზიანებული ან განადგურებული ნაყოფები.

S - დაზღვეული რისკით დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ნაყოფები.

შემოწმების მომენტში ასევე ხდება იმ ნიმუშების აღება, რომელთაც დაზღვეული რისკის მიერ გამოწვეული დაზიანება არ აღენიშნება, ან დაზიანების ხარისხი იმდენად მცირეა, რომ ნიმუშს სასაქონლო სახე უმნიშვნელოდ აქვს შეცვლილი ან აქვს შენარჩუნებული, გააჩნია საბაზრო ღირებულება (ადამიანის საკვებად გამოსადეგი), დაზიანების შემდგომ ნაყოფი/მცენარე გააგრძელებს განვითარებას, ვეგეტაციას, მწიფობას, არ მოხდება მისი განადგურება მიმდინარე

დაზიანებით. აღნიშნული ნიმუშები უნდა მიეკუთვნოს დაუზიანებელ ნიმუშების რაოდენობას.

(საქართველოს მთვარობის N 236 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბილისი, 2020 წ., n.d.)

დაზღვეული რისკით გამოწვეული დანაკარგების საშუალო ხარისხის გამოთვლის მიზნებისათვის მიღებული შედეგების საშუალო გამოითვლება კლასიფიცირებული ნიმუშების შესაბამისად მთელ დაზღვეულ ტერიტორიაზე და მოხდება უშუალოდ დაზღვეული რისკით განადგურებული ან განადგურებას დაქვემდებარებული ნიმუშების პროცენტული მაჩვენებლის დადგენა.

იმ შემთხვევაში, თუ ნაკვეთის შემოწმების მომენტში გამოიკვეთება მოცემულობა, რომ ნაკვეთზე არსებული რეალური მისაღები მოსავალი არ შეესაბამება დაზღვევის განაცხადში გაცხადებულ მოსავლის ოდენობას, ექსპერტი ამოწმებს რეალურ მისაღებ მოსავალს დაზღვევის განაცხადში განცხადებული მოსავლის ოდენობასთან და თუ აღმოჩნდა, რომ დაზღვევის განაცხადში მითითებული მოსავლის ოდენობა უფრო მეტია ვიდრე ზიანის დღისთვის არსებული მოსავალი, ამ შემთხვევაში დაზიანების პროცენტი განისაზღვრება რეალური მისაღები მოსავლიდან.

როდესაც ზიანი დგება მოსავლის ალების პერიოდში და დაზღვეულ ნაკვეთზე რისკის ხდომილებამდე დაწყებულია მოსავლის ალება, დამზღვევის პირველადი ინფორმაციის და ნაკვეთის დათვალიერების შედეგებზე დაყრდნობით დგინდება რისკის დადგომამდე ალებული მოსავლის ოდენობა. მოსავალ ალებული ფართობი ასევე შესაძლებელია მიეთითოს ჰექტრებში ან აქტში ჩაიწეროს დაკრეფილი ხეების რაოდენობა (მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აქტში ასევე დაფიქსირდება დაზღვეულ ნაკვეთზე არსებული ხეების მთლიანი რაოდენობა), რომელიც მიეკუთვნება დაზიანებას გადარჩენილ რაოდენობას. დანაკარგის პროცენტის დადგენა ხდება დარჩენილ მოსავალთან მიმართებაში.

სადაზღვევო რისკით გამოწვეული ზიანის დადგენის შემდგომ დგება დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის დათვალიერების აქტი.

დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ნაკვეთის დაზიანების თარიღი;
- ნაკვეთის შემოწმების თარიღი;
- სადაზღვევო რისკი;
- სადაზღვევო პოლისის შტრიხკოდი;
- ნაკვეთის კოდი;
- დამზღვევი - სახელი/დასახელება, გვარი, პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი;
- ნაკვეთის მისამართი - რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი/სოფელი;
- ნაკვეთის კოორდინატები - განედი, გრძედი, საკადასტრო კოდი;
- დაზღვევის ობიექტი - კულტურა, ქვეკულტურა, ჯიში;
- მცენარის განვითარების სტადია;
- დაზღვეული ნაკვეთის ფართობი (ჰა);
- ნაკვეთის დაზიანებული ფართობი (ჰა);
- სანიმუშო ერთეულზე სადაზღვევო რისკების შედეგად დაზიანებული ნაყოფების რაოდენობა;
- დაზიანების პროცენტული ოდენობა;
- მოსალოდნელი მისაღები მოსავლის სავარაუდო რაოდენობა დაზღვეულ ნაკვეთზე (კგ);
- რეალურად მისაღები მოსავლის რაოდენობა დაზღვეულ ნაკვეთზე (კგ);
- სანიმუშო ერთეულზე მიღებული ნაყოფების წონა (კგ);
- სანიმუშო ერთეულებზე მიღებული ნაყოფების საშუალო წონა (კგ);
- სანიმუშო ერთეულების რაოდენობა;
- მოსავლის შემცირების მიზეზი;
- საბოლოო დასკვნა დაკარგული მოსავლის შესახებ;
- შენიშვნა;
- დამზღვევის/მოსარგებლის ხელმოწერა;
- მზღვეველის ხელმოწერა.

ველები № 15, 16, 17, 18; 19, 20 ივსება იმ შემთხვევაში თუ ექსპერტის მიერ ხორციელდება რეალურად მისაღები მოსავლის დადგენა და მოსალოდნელი მისაღები მოსავლის კორექტირება.

აგრო ზიანის შეფასების სტანდარტები და ზიანის შემფასებლის ქმედებები დამზღვევის მიერ გაცხადებულ დაზიანებულ ნაკვეთში მისვლისას:

- დაზიანებული ნაკვეთის ექსპერტიზის ვადები;
- ნაკვეთის იდენტიფიცირება;
- სადაზღვევო განაცხადში და პოლისში გაცხადებული ინფორმაციის შესაბამისობის დადგენა დაზიანებული ნაკვეთის ფაქტობრივ მდგომარეობასთან მიმართებაში;
- ნაკვეთის ვიზუალური დათვალიერება, დაზიანებული ფართობის გადამოწმება;
- დამზღვევის მიერ გაცხადებული სადაზღვევო შემთხვევის (სადაზღვევო რისკის, მისი ხდომილების თარიღის, დაზიანებული ნაკვეთის) იდენტიფიცირება;
- ნაკვეთის ფოტოგრაფირების პროცედურა;
- ნაკვეთზე GPS კოორდინატების აღების პროცედურა;
- გარკვეულ შემთხვევებში დაზიანებული ფართობის დადგენა;
- სანიმუშო ფართობის და ნიმუშების აღების მოთხოვნები;
- სანიმუშო ფართობზე აღებული/აღრიცხული სანიმუშო ნაყოფების კლასიფიცირება აგროდაზღვევის პირობების გათვალისწინებით;
- საბოლოო რეალური პროდუქციის განსაზღვრა (სრპ);
- დაზიანების ინტენსივობა ადრეულ ფაზებში;
- მოსალოდნელი რეალური პროდუქციის განსაზღვრა (მრპ);
- კულტურის განვითარების ადრეულ ფაზებში მომხდარ სადაზღვევო შემთხვევებზე ზიანის შეფასების სტანდარტი გადათესვის/გადარგვის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

საქართველოს მთვარობის დადგენილებაში „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, (თბილისი, 2020 წ. დანართი #6) მოცემულია საზამთროს, თხილის, ვაშლის, ვაზის, ხორბლის, კარტოფილის, მანდარინის, საქართველოს მთავრობის 2023 4 აპრილის N136 დადგენილების მიხედვით ხახვის, კულტურების მოსავლის დანაკარგის შეფასების მეთოდოლოგია წელს დაიბეჭდა ზიანის

შეფასების გაიდლაინში. რომლის პრაქტიკულ განხორციელებაში ამ ნაშრომის ავტორს თავისი წვლილი მიუძღვის. (თბილისი, 2024)

ამ კულტურის ზიანის შეფასების მეთოდის დანერგვა თავისთავად ხელს შეუწყობს ზიანის დარეგულირების პროცესს და აამაღლებს ზიანის შეფასების ხარისხს, ასევე ფერმერებს შეუმცირებს ეკონომიკურ დანაკარგებს.

მაგალითად აღებულია განვითარებული ქვეყნების ხახვის ზიანის შეფასების მეთოდიკა რომელიც გამყარებულია პრაქტიკული კვლევებით და ჩვენი ქვეყნის პირობებს შესაბამეა.

ხახვის კულტურის ზიანის შეფასებისას შემდეგი მაჩვენებლებია გათვალისწინებული:

- დაზიანებული ნაკვეთის შესაბამისობის დადგენა დაზღვეულ ნაკვეთთან მიმართებაში, კულტურის ჯიში, მცენარეთა ოდენობა 1 – 2 მეტრზე;
- ზიანისას მცენარის ვეგეტატიური ფაზა;
- დაზღვეული რისკის მიერ მცენარის ფოთლის მასის (მოცულობის) შემცირების კალკულაცია და სხვა ტიპის დაზიანებების (ბოლქვზე მიყენებული ნაჭდევეები) იდენტიფიცირება, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს მოსავლიანობაზე;
- მოსავლის აღების თარიღის დადგენა.

სანიმუშო მონაკვეთად ითვლება ოთხი გვერდიგვერდ მდებარე მწკრივი, თითოეული სიგრძით სამი მეტრი, არა კიდებში.

ხახვს ახასიათებს განვითარების სხვადასხვა ფაზები და სწორედ განვითარების ფაზა წარმოადენს ზიანის შეფასების უმთავრეს ფაქტორს, რადგან განსხვავებულ ფაზაში დამდგარი ზიანი მოსავლის რაოდენობრივი შემცირების განსხვავებულ სურათს იძლევა. მოსავლის რაოდენობრივი ზიანი ნიშნავს ზიანს, რომელიც დაზღვეული რისკის მიერ მიყენებული აქვს მცენარის ვეგეტატიურ ორგანოებს, რის შედეგადაც ხდება მცენარის ფოთლოვანი მასის შემცირება.

როდესაც ზარალი დგება ბოლქვის ფორმირების ფაზამდე, მოსავლის რაოდენობრივი ზარალი გამოიხატება ფოთლების დახვევა/მოცილებაში. შესაბამისად შემცირებული ფოთლის პანერქიმა იწვევს ფოტოსინთეზის აქტივობის დაქვეითებას, შედეგად მცირდება ბოლქვის მასა. ბოლქვის ფორმირების შემდეგ

შესაძლებელია დაზიანდეს როგორც ფოთლოვანი მასა ასევე უშუალოდ ბოლქვი. შესაბამისად ამ ფაზებში ხდება როგორც ფოთლოვანი მასის გამო განპირობებული მოსავლიანობის შემცირების დადგენა, ასევე უშუალოდ ბოლქვის დაზიანების გამო გამოწვეული მოსავლიანობის შემცირება. ზიანის სიმწვავე დამოკიდებულია მცენარის განვითარების ფაზასა და ფოთლოვანი მასის განადგურების ხარისხზე.

სეტყვისაგან გამოწვეული მოსავლის რაოდენობრივი განსაზღვრის მიზნებისათვის გამოიყენება ცხრილი 4. ზიანის %-ული მაჩვენებელი მიიღება ზიანის მოხდენის მომენტისათვის მცენარის განვითარების ფაზის და ფოთლოვანი მასის შემცირების გათვალისწინებით.

ცხრილი 4 - ის გამოყენებისას მცენარის განვითარების შემდეგი ფენოფაზები უნდა იქნას გათვალისწინებული:

1. I ნამდვილი ფოთლის განვითარება;
2. II ნამდვილი ფოთლი უკვე განვითარებულია და მკვეთრად ჩანს მესამე ფოთლი;
3. IV-V ფოთლის განვითარება;
4. VI-VII ფოთლი განვითარებული და მკვეთრად გარჩევადია;
5. ბოლქვს ჯერ არ დაუწყია განვითარება და მისი დიამეტრი 30 მმ-ზე ნაკლებია;
6. ბოლქვის ფორმირების დასაწყისი. ბოლქვის საშუალო დიამეტრი მერყეობს 30 მმ დან 50 მმ-მდე. ფოთლების კიდევ უფრო განვითარება და ზრდა;
7. ხახვის ფორმირება, ბოლქვების საშუალო დიამეტრი 50 მმ ზე მეტია. ფოთლების ზრდა შეჩერებულია და იწყება ფოთლის ზედა 1/3 ის ჩამოცვენა.
8. სიმწიფის დასაწყისი. ფოთლები გაუფერულებულია და განრთხმულია ნიადაგზე;
9. ბოლქვის მომწიფება.

ცხრილი 5 ფოთლოვანი მასის დაზიანების გათვალისწინებით ხახვის მოსავლის რაოდენობრივი დანაკარგების შეფასება.

წინამდებარე ზიანის შეფასების მეთოდოლოგია დაფუძნებულია სხვადასხვა კვლევითი ცენტრების მრავალწლიანი კვლევების და ექსპერიმენტების შედეგებზე, რაც განაპირობებს ფოთლოვანი მასის დაზიანებასა და მოსავლის შემცირებას შორის მაქსიმალურ მჭიდრო კორელაციებს.

ფოტოლოგანი მასის დანაკარგი

ცხრილი 4

განვითარების ფაზა	ფოტოლოგანი მასის დანაკარგი							
	დაზიანების % სტანდარტული ხარისხის ხახვისთვის, რომელიც განკუთვნილია, როგორც ნედლად მოხმარებისთვის ასევე ინდუსტრიული დანიშნულებისათვის				დაზიანების % მაღალი ხარისხის ხახვისთვის, რომელიც განკუთვნილია, მხოლოდ ნედლად მოხმარებისთვის			
	25%	50%	75%	100%	25%	50%	75%	100%
1	0%	0%	0%	10%	0%	0%	0%	10%
2	0%	0%	5%	10%	0%	0%	5%	10%
3	8%	17%	24%	32%	8%	17%	24%	32%
4	12%	24%	36%	48%	12%	24%	36%	48%
5	23%	47%	69%	99%	27%	54%	80%	100%
6	20%	38%	56%	75%	23%	44%	65%	87%
7	6%	15%	23%	24%	6%	15%	23%	24%
8	0%	6%	11%	11%	0%	6%	11%	11%

უშუალოდ ბოლქვზე მიყენებული ზიანის განსაზღვრა დაზიანების სიმპტომების გათვალისწინებით

ცხრილი 5

ჯგუფი	სიმპტომატიკა	დაზიანების %, პროდუქციის დანიშნულების მიხედვით	
		სტანდარტული ხარისხი, რომელიც განკუთვნილია, როგორც ნედლად მოხმარების, ასევე ინდუსტრიული დანიშნულებისათვის	მაღალი ხარისხი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ნედლად მოხმარებისათვის
I	დაუზიანებელი ბოლქვები, ან ბოლქვები დაზიანებით და დაზიანებულობით, რომლებიც აღინიშნება მხოლოდ ბოლქვის გარსზე	0%	0%
II	ბოლქვის მეორე-მესამე შრეზე არსებული ნახეთქები და ნაჭდევები	100%	100%
III	ბოლქვის მესამე შრეზე არსებული ნახეთქები და ნაჭდევები რომელიც უფრო ღრმად პროგრესირებს	100%	100%

(საქართველოს მთავრობის დადგენილება N137 2024 წლის 16 აპრილი თბილისი, დანართი #6, n.d.)

ვაზის ზიანის შეფასების პროცესში აუცილებელი წესით გასათვალისწინებელია ვაზის მავნებელ დაავადებები და მათი გამიჯვნა სადაზღვევო რისკისგან. მავნებელ დაავადებათა დაზიანებული ნაყოფების იდენტიფიცირება, საკმაოდ კარგ აგრონომიულ ცოდნას მოითხოვს, კვლევებმა აჩვენა, რომ სადაზღვევო ზიანის შეფასების მსვლელობაში, აუცილებელია გაიმიჯნოს დაავადებული და მექანიკურად დაზიანებული მტევნები.

კვლევებმა აჩვენა, რომ ძალზედ კრიტიკული საკითხია ვაზის მოსავლის დანაკარგის შეფასებისას სოკოვანი და არა სოკოვანი დაავადებების გამიჯვნა. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ფართოდ გავრცელებულ სოკოვან დაავადებაზე, რომელიც ერთი შეხედვით ძალზედ გავს სეტყვისგან თუ ქარიშხლისგან გამოწვეულ ზიანს.

როგორც მოგეხსენებათ სოკოვანი დაავადებები სერიოზულ ზიანს აყენებს ვაზს, ხელს უშლის მის სრულფასოვან ზრდას და განვითარებას.

განვიხილოთ **ჭრაქი**: იგი აზიანებს მცენარის მიწისზედა ორგანოებს. ნორჩ ფოთლებს ჯერ ქლოროზული, შემდეგ კი ზეთოვანი ლაქები უჩნდებათ, ლაქები ერწყმიან ერთმანეთს და ფოთლოვანი მასის დიდ ნაწილს ფარავენ. ფოთლის ქვედა მხარეს ლაქებზე ჩნდება თეთრი ნაფიფქი, რომელიც დაავადების გამომწვევ უნაყოფო სპორო მატარებელს წარმოადგენს. ხშირად ნაფიფქი თავს იჩენს ლაქების წარმოქმნამდე და პირიქით. მშრალ ამინდში ნაფიფქი შესაძლებელია ადრეც წარმოიქმნას. დაზიანებული ფოთლები ხმება და ცვივა. ავადმყოფობის განვითარების დროს ავადდებიან ფოთლები, მწვანე ყლორტები, ულვაშები, მტევნები, დაავადებული მარცვლები მუქდება, ხოლო ყუნწის ირგვლივ იისფერი არშია წარმოიქმნება.

ეს რაც შეეხება დაავადების მწირ მიმოხილვას. ჭრაქისგან დაზიანებული მარცვლები ძალიან გავს სეტყვისგან დაზიანებულ მარცვლებს, რომლის იდენტიფიცირება მეტად აუცილებელია სეტყვისგან მიყენებული ზიანის შეფასების დროს.

სურათი 1

ჭრაქისგან დაზიანებული მარცვლები.



სურათი 2

სეტყვისგან დაზიანებული მარცვლები.



ასეთ ვითარებაში გამიჯვნა საკმაოდ რთულია, დიდი მსგავსებაა როგორც სურათებიდან ჩანს სეტყვისგან დაზიანებულ და ჭრაქის მიერ დაზიანებულ მარცვლებს შორის. როგორც ზემოთ დავასაბუთეთ, აუცილებელია მოხდეს ფოთლებზე დაკვირვება ქვედა მხრიდან, ხომ არაა თეთრი ნაფიფქი. ხომ არ ხმება ფოთლები. რა მდგომარეობაშია ყლორტი და ამის გათვალისწინებით შეგვიძლია მარტივად მოვახდინოთ იდენტიფიცირება. თუმცა შესაძლებელია ყოველივე ეს პროცესი გამოვტოვოთ და დავაკვირდეთ სეტყვისგან მიყენებულ მექანიკურ დაზიანებას ფოთლებზე, სეტყვა აზიანებს ფოთოლს მექანიკურად, ანუ არღვევს მის მთლიანობას და ხევს, ასევე არღვევს ყლორტის კანის მთლიანობას.

ვაზის ნაცარი ვითარდება მცენარის ვეგეტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში და აზიანებს მწვანე ორგანოებს. ფოთლის ზედა მხრიდან წარმოიქმნება მონაცრისფრო ნაფიფქი, რომელიც ქვედა მხარეზე, ყუნწზე და მტევანზე გადაედება. გარკვეული პერიოდის შემდეგ ფოთლებზე მკვდარი ქსოვილის მუქი უბნები წარმოიქმნება, მარცვლებზე ვითარდება მკვრივი ნაცრისფერი ნაფიფქი. დაავადების ადრეულ ფაზაში მტევნის მარცვლები წყვეტენ ზრდას და ხმებიან, მაგრამ არ ცვივა. გვიანდელი გამოვლინების დროს მარცვლები სკდება, რის გამოც მათზე სხვადასხვა სახის მიკროორგანიზმები სახლდებიან.

მარცვალი ავადდება ყველა ფაზაში, გამონასკვიდან შეთვალემამდე. დაავადებისას ხდება მარცვლის კანის გახვევა, კანის უჯრედები აღარ იზრდებიან, უჯრედების ზრდის შედეგად ხდება წვენი კანზე მიწოლა, ამის შედეგადაც მარცვლები სკდება.

მარცვლების გასკდომა ხშირად იმდენად დიდია, მის გულში არსებული წიპწა ჩანს და ძალიან გავს ნასეტყვს, ამ დროს ყურძნის მარცვალში ხდება წვენი

ამოშრობა, ჭკნება და ცვივა. შესაძლებელია დამსკდარი მარცვლები შერჩეს ვაზს და დამწიფდეს კიდეც. ნესტიან ამინდში დამსკდარ ყურძნის მარცვალში ხვდება სიდამპლის გამომწვევი ბაქტერიები და ამ დროს სიდამპლე საღ მარცვალზე გადადის.

სურათი 3

სეტყვისგან დაზიანებული მარცვლები



სურათი 4

ნაცრისგან დაზიანებული მარცვლები



დიდი მსგავსებაა როგორც სურათებიდან ჩანს სეტყვისგან და ნაცრის მიერ დაზიანებულ მარცვლებს შორის. ამ შემთხვევაში აუცილებელია ფოთლების და მარცვლების დაკვირვება, ხომ არაა ნაცრისფერი ნაფიფქი, ან შემხმარი მარცვლები. ასევე აუცილებელია დავაკვირდეთ სეტყვისგან მიყენებულ მექანიკურ დაზიანებას ფოთლებზე, როგორც მოგეხსენებათ სეტყვა აზიანებს ფოთოლს და არღვევს მის მთლიანობას ხეცს ფოთოლს.

ვაზის ანთრაქნოზი. ანთრაქნოზით მიწისზედა ნაწილში არსებული ყველა ორგანო ავადდება. ფოთლებზე ჩნდება სხვადასხვა ზომის და ფორმის ნაცრისფერი ლაქები. დაზიანებული ქსოვილები იშლება და ცვივა, ფოთლები განიცდიან დაფაცხავებას. ლაქები ფორმირდება ფოთლის ძარღვებზეც, რომელიც არღვევს გამტარი სისტემის მოქმედებას, ფოთოლი ხმება და იწყებს ცვენას. ყვავილების დაზიანების შემთხვევაში მომრგვალო შავი ლაქები წარმოიქმნება, ყვავილები და ნასკვები მუქდება და ცვივა. მარცვლებზე იისფერი მრგვალი ნაჭდევისებრი ლაქები ჩნდება, რის შემდგომ მარცვლები დეფორმირდება, ხმება, მაგრამ მტევნიდან არ ცვივა. ყლორტებზე ლაქები გრძივია, ჩაზნექილი, შავი ფერის წყლულის მაგვარი. ყლორტების წვეროები ხმება და ნახშირდება.

სურათი 5

სეტყვისგან დაზიანებული მარცვლები:



სურათი 6

ანთრაქნოზით დაავადებული მარცვლები:



ყველა ზემოთ მოცემული დაავადების მახასიათებლები უნდა გავითვალისწინოთ, რომ სეტყვისგან მიყენებული მექანიკური დაზიანებები გავმიჯნოთ .

წინამდებარე ტექსტში გავამახვილეთ ყურადღება იმ სოკოვან დაავადებებზე, რომელთა გამიჯვნაც აუცილებელია სეტყვისგან მიყენებული ზიანის გასამიჯნად.

მავნებელი მწერების მიერ დაზიანებული ვაზის კვირტები.

კერძოდ: ბუკნა ანუ კვირტის ჭია მასობრივად არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, უფრო ნაკლებად აღმოსავლეთში, თუმცა ბოლო წლებში აღნიშნულ რეგიონშიც საკმაო რაოდენობით გავრცელდა. ის ვაზს აზიანებს, იკვებება მისი კვირტებით და ფოთლებით. კვირტს გარედან აზიანებს, შემდეგ კი შიგ შედის, ასეთ კვირტს გარედან წითელი ხვრელი ემჩნევა. მთლიანად გამოღრღნის კვირტებს ერთი მეორეს მიყოლებით. მისი მასობრივი გამრავლებისას ვენახში 30%-მდე კვირტი ზიანდება.

კვირტის ჭიისგან დაზიანებული კვირტები:

სურათი 7.



სანიმუშო სურათში კარგად ჩანს გაცდენილი კვირტები, რომელიც შესაძლებელია შეფასების დროს, თუ არ დავაკვირდით კვირტის დაზიანებას შეიძლება გაცდენილი ადგილები მივაკუთვნოთ ქარიშხლის მიერ მოტეხილ ტოტებს, ასევე აუცილებელია დათვალიერდეს ტერიტორია, რომ გამოირიცხოს სტიქიური მოვლენის მიერ მიყენებული ზიანის კვალი. (საქართველოში“, თ. გ.)[126]

ასევე კვლევებმა აჩვენა, რომ საჭიროა ჭარხლის, სტაფილოს, პომიდვრის მოსავლის ზიანის შეფასების მეთოდის შემუშავება, რადგან ძირითადად ღია გრუნტში ხდება ამ კულტურების წარმოება და სამწუხაროდ ბუნებრივი სტიქიური მოვლენები საგრძნობლად აზიანებს.

სიმინდის კულტურა საქართველოს ყველა რეგიონში მოყავთ და შესაბამისად ბუნებრივი სტიქია სეტყვა, ქარიშხალი და წყალდიდობა საკმაოდ აზიანებს. აუცილებელია ამ კულტურის ზიანის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც საგრძნობლად გაამარტივებს და გამჭვირვალეს გახდის ზიანის დარეგულირების პროცესს.

საჭიროა შემუშავდეს კენკროვანი კულტურების ჟოლოს, მაცვლის, მოცვის ზიანის შეფასების მეთოდოლოგია, რადგან ბოლო წლებში ინტენსიურად მიმდინარეობს ამ კულტურების წარმოება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

თავი 3. აგროდაზღვევის განვითარების პრობლემები და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

3.1. აგროდაზღვევის ბაზრის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები

ევროპის ქვეყნებს შორის განსაკუთრებით მოთხოვნადი სადაზღვევო პროდუქტია მოსავლის დაზღვევა. ასევე საქართველოშიც აგროდაზღვევის პროდუქტის პაკეტს ძირითადად მოსავლის დაზღვევა წარმოადგენს. საქართველოში ევროპის ქვეყნებთან შედარებით სადაზღვევო სუბსიდირების წილი მაღალია. 70% არის სახელმწიფოს დაფინანსება, 30% კი ფერმერის დასაფარია ყველა კულტურაზე.

საქართველოში აგროდაზღვევის დანერგვის და განვითარების ეტაპები მოკლე პერიოდს მოიცავს. საქართველოს მთავრობის ინიციატივით ამოქმედდა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რაც გამოიხატება აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამის შექმნით, რომელიც 2014 წლის სექტემბრიდან ჩაეშვა და სადაზღვევო პრემიის მნიშვნელოვან ნაწილის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებას გულისხმობს.

სადაზღვევო პრემიები და სახელმწიფო თანადაფინანსება წლების მიხედვით

ცხრილი 6

წელი	ჯამური სადაზღვევო პრემია (ლარი)	ფერმერთა მიერ გადახდილი პრემიის წილი (ლარი)	სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილი (ლარი)	სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილი ჯამურ პრემიაში (%)
2014	12 586 739	779 693	11 800 629	94
2015	3 444 300	1 442 672	1 948 980	57
2016	11 981 874	3 677 059	8 223 721	69
2017	11 649 283	4 238 293	7 406 244	64
2018	7 135 833	2 657 198	4 474 889	63
2019	9 583 048	3 730 594	5 846 204	61
2020	13 432 374	5 010 480	8 421 407	63
2021	15 462 581	5 962 257	9 500 324	65
2022	14 268 473	5 777 673	8 490 800	63

2023	16 399 660	4 956 234	11 443 426	64
სულ	69 813 452	21 535 989	48 112 074	69

საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მცდელობები 10 წელს მოიცავს. ეს დრო, ისეთი რთული სპეციფიკის მქონე დაზღვევის სახეობისთვის, როგორც არის აგროდაზღვევა ძალიან მცირეა გამართული სისტემის მოსაწყობად. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები კი ამ კუთხით დიდ გამოცდილებას ფლობენ. არაერთი მექანიზმია გამოცდილი ამ დარგის გამართულად ფუნქციონირებისათვის.

მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე სახელმწიფოს მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აგროდაზღვევისთვის. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, სადაც აგროდაზღვევის სისტემა გამართულად ფუნქციონირებს, მოქმედებს თანადაფინანსების პროგრამები და სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული პროცესებში.

კვლევებმა აჩვენა, რომ აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელების შედეგად აშკარაა სფეროს პოპულარიზაცია მოსახლეობაში.

დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა, მოზიდული პრემია ლარში, დაზღვეული ფართობი

ცხრილი 7

წელი	დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა	მოზიდული პრემია (ლარი)	დაზღვეული ფართობი (ჰექტარი)
2014-2015	40 013	16 031 039	23 666. 56
2016	26 537	11 981 874	15 471. 64
2017	27 886	11 649 283	20 718
2018	15 371	7 135 833	11 557
2019	20 426	9 583 048	13 852
2020	23 097	13 432 374	18 178
2021	24 985	15 462 581	19 124.78
2022	22 755	14 268 473	16 465.04

2023	23 428	16 399 660	16 560.14
სულ	224 498	115 944 165	155 593.16

აგროდაზღვევის პროგრამაში 2020 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, ფერმერებს მრავალწლიანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ მოსავალი დააზღვიონ სამი კალენდარული წლით. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა რადგანაც, ფერმერებს და სადაზღვევო კომპანიებს გარანტია ექმნებათ სამომავლო განვითარების თვალსაზრისით.

ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის უფლება, შეუძლია აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მონაწილე გახდეს. აუცილებელია, დამზღვევი რეგისტრირებული იყოს ფერმერთა ან ფერმათა რეესტრში. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ფერმერებს შეუძლიათ დააზღვიონ, როგორც ერთწლიანი ისე მრავალწლიანი კულტურები.

პროგრამის ფარგლებში, მაქსიმალური ზედა ზღვარი დაზღვეული მიწის ნაკვეთისა არის 20 ჰექტარი, მარცვლეული კულტურების მაქსიმუმი შეადგენს 100 ჰექტარ ფართობს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში, ფართობი შეუზღუდავია.

კვლევებმა აჩვენა, რომ აგროდაზღვევის განვითარების და გაფართოების მიზნით მნიშვნელოვანია **კოოპერაციული აგროდაზღვევის** მექანიზმის შემოღება, რაც თავის მხრივ მეტად განავითარებს სოფლის მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ დარგებს. აგრეთვე დადებითად იმოქმედებს ფერმერთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

კოოპერაციული აგროდაზღვევის დანერგვით გაიზრდება დაზღვეულ ფერმერთა, აგრეთვე დარეგისტრირებული და დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა (რადგან თუ ნაკვეთი დარეგისტრირებული არ არის და საკადასტრო კოდი არ გააჩნია ფერმერი ვერ სარგებლობს აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით). მოსავლის მოვლის, მოყვანის და რეალიზაციის ხარჯებს დააფინანსებს კოოპერატივი, რაც ერთი ფერმერისთვის დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

სადაზღვევო რისკის დადგომის შემთხვევაში, ზიანის დადგენის პროცესში მზღვეველთან ერთად ჩართული იქნება კოოპერატივის კომპეტენტური წარმომადგენელი, რომელიც სრულ მონიტორინგს გაუწევს ზიანის შეფასების პროცესს.

ზიანის შეფასების პროცესის ხარჯები შემცირდება. თუ კერძო პირის ზიანის შეფასების შემთხვევაში მზღვეველს ურთიერთობა აქვს თითოეულ დამზღვევთან ინდივიდუალურად, კოოპერატივის შემთხვევაში მხოლოდ მის წარმომადგენელთან მოუწევს ურთიერთობა. მაგ: თუ დღეში ექსპერტ მენეჯერი ნახულობს 8 - 10 ფერმერს, რომელთა ნაკვეთების რაოდენობა არის 15 – 17 და უწევს ყოველ დამზღვევთან ინდივიდუალური კავშირი მისი გადაყვანა სახლიდან ნაკვეთამდე და ნაკვეთიდან სახლამდე, რაც ზრდის სატრანსპორტო საშუალების საწვავის და ცვეთის ხარჯებს. ასევე შესაძლებელია ვერ მოხერხდეს რომელიმე დამზღვევთან დაკავშირება იმ დღეს და შეფასების პროცესმა გადაიწიოს კიდევ ერთი დღით, რაც კიდევ უფრო ზრდის ხარჯებს თითოეულ ნამუშევარ დღეზე. დღიურად ექსპერტ-მენეჯერის მომსახურეობა ჯდება დაახლოებით 500 ლარი. თუ დავუმატებთ მეორე დღის ანაზღაურებას 500 ლარს და დაემატება კიდევ სასტუმროს ხარჯი 200 ლარი ორ პერსონაზე ერთი ღამით, ამას დამატებული საწვავის ხარჯი თითოეული დამზღვევის გადაადგილებისათვის დაახლოებით 100 ლარი, ასევე სატრანსპორტო საშუალების ცვეთა და 8-10 ფერმერის მომსახურეობა, რაც 2 დღეში დაახლოებით 2000 ლარი ჯდება.

კოოპერატივის შემთხვევაში ამ ფერმერთა ნაკვეთების შეფასება ერთ დღეში მოხდება, რადგანაც ურთიერთობა იქნება ექსპერტ-მენეჯერს მხოლოდ კოოპერატივის კომპეტენტურ წარმომადგენელთან. ეკონომია ამ კონკრეტულ შემთხვევაში იქნება დაახლოებით 1000 ლარი.

კვლევის მიზნით ავიღეთ 2023 წლის სტატისტიკური მონაცემები საქართველოს რამდენიმე სოფელში დაზღვეული სამეურნეო კულტურების ნაკვეთების რაოდენობა. იმის გათვალისწინებით, რომ კოოპერატივის შემთხვევაში 15 ნაკვეთის ნაცვლად ვნახავთ 1 ნაკვეთს. წარმოგიდგინებ ცხრილს #8 - ს

**კოოპერაციული დაზღვევით დაზღვეული ნაკვეთების, სადაზღვევო რისკით
დაზიანებული ნაკვეთების შეფასების სამუშაო დღეები**

ცხრილი 8

2023 წ. დაზღვეული სოფლები	სამეურნეო კულტურა	დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა	სამუშაო დღეების რაოდენობა/კოოპერატივის შემთხვევაში დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა	კოოპერატივის შემთხვევაში სამუშაო დღეები
თელავი	ვაზი	3205	214	15
ყვარელი	ვაზი	5086	339	23
გურჯაანი	ატამი	950	64	5
ახმეტა	ვაზი	691	46	4
ახალქალაქი	კარტოფილი	708	47	4
ზუგდიდი	თხილი	134	9	1
ხელაჩაური	ციტრუსი	113	8	1
გორი	ვაშლი	1699	113	8

კვლევის შედეგად მიღებული დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა კოოპერატივის შემთხვევაში აშკარად ამტკიცებს ფაქტს, რომ ძალზედ ეფექტური იქნება დროის მართვის მიზნით, ფინანსური კუთხით და ზარალების შეფასების მიზნით.

ზიანის დადგენის შემდეგ, საკომპენსაციო თანხის კომპენსაცია მოხდება კოოპერატივის ანუ დამზღვევის ანგარიშზე. საკომპენსაციო თანხას კოოპერატივი ჩაურიცხავს იმ მეპაიებს, რომელთაც დაუდგათ სადაზღვევო რისკი. ასევე შიდა განაწესით კოოპერატივის მეპაიეები მიიღებენ სუბსიდირებას კოოპერატივის სარეზერვო ან სხვა შიდა ფონდიდან, ისეთი მიმართულებებისათვის რასაც ცალკე ფერმერი ვერ აფინანსებს. მაგალითად სეტყვის საწინააღმდეგო ზომების შექმნა - დამონტაჟებისათვის, რაც შეამცირებს ზიანის ოდენობას.

მზღვეველს შეეძლება არა სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე დამზღვევეს (კოოპერატივს) გაუწიოს შეღავათები და გაუკეთოს ფასდაკლება იმის გათვალისწინებით, რომ შეუმცირდება ადმინისტრაციული და აკვიზიციური ხარჯები.

კოოპერატივის შემთხვევაში ყველა ორგანიზაციულ საკითხს, მათ შორის დაზღვევის საკითხებსაც მოაგვარებს კოოპერატივის გამგეობა. კოოპერატივის სამართლებრივი გაძლიერების კუთხით და ფერმერის სოციალურ-ეკონომიკური დაცულობის კუთხით ხელშეკრულების მხარე არის კოოპერატივი ანუ დამზღვევი. კოოპერატივს ყავს თავისი კვალიფიციური კადრები. მაგალითად იურიდიული კუთხით, რომლებიც იქნებიან კოოპერატივის წევრების წარმომადგენლები სამართლებრივი დავების დროს.

აგროდაზღვევის კუთხით ეფექტიანი იქნება კოოპერატივის შექმნა ლოკაციურ-დარგობრივი ნიშნით. მაგალითად გურჯაანის რაიონში ატმის მწარმოებელთა კოოპერატივი, დედოფლისწყაროს რაიონში ხორბლის მწარმოებელთა კოოპერატივი, ლაგოდეხის რაიონში სიმინდის მწარმოებელთა და თხილის მწარმოებელთა კოოპერატივი, ზუგდიდში თხილის მწარმოებელთა კოოპერატივი, აჭარის რაიონში ციტრუსის მწარმოებელთა კოოპერატივი, ყვარელში, თელავში, ახმეტაში ყურძნის მწარმოებელთა კოოპერატივი და ჯავახეთის რაიონში კარტოფილის მწარმოებელთა კოოპერატივი და ა. შ.

ცხრილ 9-ში მოცემულია რეგიონების მიხედვით დაზღვეული მიწის ნაკვეთების ოდენობა, რაც ამყარებს ამ მოსაზრებას, რომ ეფექტური იქნება ლოკაციურ-დარგობრივი ნიშნით კოოპერაციული დაზღვევის შექმნა.

წლების მიხედვით რეგიონებში დაზღვეული მიწის ნაკვეთების რაოდენობა

ცხრილი 9

წელი	კახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	აჭარა	იმერეთი
2014-15	12540	584	1741	1371	2416	13029	115
2016	8880	280	3630	2997	3122	6209	494
2017	13677	620	2768	2758	2272	3480	1489
2018	7573	695	2317	817	1089	538	2117
2019	10998	960	2656	912	1520	932	2002
2020	12775	872	5825	960	967	1352	192
2021	16151	615	5540	978	761	780	45

2022	16444	532	3980	902	350	386	40
2023	17772	496	3194	1434	158	281	12
ჯამი	116810	5654	31651	13129	12655	35377	6506

აგროდაზღვევის განვითარებისთვის და ფერმერთა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისთვის, საჭიროა **სავალდებულო აგროდაზღვევის შემოღება სპეციალიზებულ ზონებში მაპროფირებელი კულტურებისთვის.** რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებულ დარგების განვითარებას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ის კულტურები რომელთა სავალდებულო დაზღვევა იქნება შემოღებული, უფრო მეტად განვითარდება რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს. კერძოდ კახეთის მხარეში ვაზის; შიდა ქართლის მხარეს ვაშლის; ქვემო ქართლის მხარეს ხახვის მოსავლის სავალდებულო დაზღვევა; სამცხე ჯავახეთის მხარეს კარტოფილის; სამეგრელოს მხარეს თხილის და სიმინდის მოსავლის სავალდებულო დაზღვევა; აჭარაში ციტრუსის სავალდებულო დაზღვევა; და ა/შ.

ასევე ეფექტური იქნება სახელმწიფოს მიმართებაში ეკონომიკური თვალსაზრისით, სადაზღვევო რისკის დადგომის შემდგომ არ მოუწევს კომპენსაციის გადახდა დაზარალებულ ფერმერებისთვის კონკრეტულ კულტურებზე, ზარალს დაფარავს სადაზღვევო კომპანია. ყურადღება გასამახვილებელია იმ ფაქტზე, რომ სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში სახელმწიფო სუბსიდირება არსებულთან შედარებით მაღალი უნდა იყოს, რომ მოსახლეობის ინტერესის დონე აგროდაზღვევასთან მიმართებაში მაღალი იყოს.

**კულტურების მიხედვით წლების ჭრილში დაზღვეული ნაკვეთების
რაოდენობა რეგიონში**

ცხრილი: 10

წელი	ვაზი/კახეთში	ატამი /კახე თში	თხილ ი/სამრ ელოში	მანდარინ ი/აჭარაში	ვამლი/ში და ქართლში	კარტოფი ლი/სამცხე ჯავახეთში	ხორბალი /კახეთში
2014-15	8733	1884	2328	12485	1035	1102	216
2016	5833	1028	2899	5805	2653	2200	196
2017	8740	1563	1971	2751	1473	1481	192
2018	5515	585	890	351	1564	497	78
2019	8 307	762	1115	743	1381	615	151
2020	9 497	929	937	1121	3 485	621	291
2021	12 114	1113	713	734	3207	639	379
2022	13 317	1148	294	291	2341	587	275
2023	14714	1277	141	209	1828	1142	354
ჯამი	86 770	10 289	11 288	24 490	18 967	8884	2132

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის № 236 დადგენილებით „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“. ასევე არსებობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021 – 2024, სადაც გაანალიზებულია პროგრამის პრობლემები და განვითარების სტრატეგია. ამ პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში). აგროზარალების შეფასება ხორციელდება სადაზღვევო რისკისგან დაზიანებული ფართობების ადგილზე შესწავლით აგრო ექსპერტების მიერ.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის დანერგვამ საქართველოში, ცალსახად განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა სოფლის მეურნეობა. გამართული სისტემის ჩამოსაყალიბებლად გასავლელია განვითარების ეტაპები. აგროდაზღვევის პროგრამა ახალი პროდუქტია საქართველოსთვის და სჭირდება

დრო, რომ მოსახლეობამ კარგად გაიაზროს და გაანალიზოს პროდუქტის სიკეთეები და მნიშვნელობა.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა პრაქტიკულმა კვლევებმა აჩვენა რომ არ გვაქვს სადაზღვეო რისკისგან დაზიანებული სიმინდის მოსავლის ზიანის შეფასების მეთოდოლოგია. წარმოდგენილია სეტყვისგან გამოწვეული მწვანე მასის განადგურების შედეგად სიმინდის მოსავლიანობის პროცენტული შემცირების შეფასების ცხრილი, რომელიც წამყვან სხვადასხვა სახელმწიფო ქვეყნების სიმინდის მოსავლის შემცირების შეფასების მეთოდოლოგიასთან ძალიან ახლოსაა, ეს ცხრილი ჯერ ისევ კვლევის ქვეშაა. მიმდინარეობს ინტენსიური პრაქტიკული კვლევა, რომ ადაპტირებული გახდეს საქართველოს კლიმატურ პირობებთან და შეესაბამოს ჩვენს ადგილობრივ ჯიშებს. ამ ცხრილში მოცემული ზიანის პროცენტები პირობითია, თუმცა მიახლოებულია ზიანის ხარისხთან შესაბამის ფაზაში. მნიშვნელოვანი მოცემულ ფაზებში ზუსტად განისაზღვროს სეტყვისგან მიყენებული დაზიანების პროცენტი. (ცხრილი 11)

სეტყვისგან გამოწვეული მწვანე მასის განადგურების შედეგად სიმინდის მოსავლის პროცენტულად შემცირების ცხრილი

ცხრილი 11

სიმინდის განვითარების ფენო ფაზები	10	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	65	70	75	80	85	90	95	100
7-ფოთლის ფაზა									1	2	3	4	5	6	7	8	9	9	10
8-ფოთლის ფაზა								1	2	3	3	4	5	6	7	8	9	10	11
9-ფოთლის ფაზა				1	2	3	4	5	6	7	7	8	8	9	9	10	11	12	13
10-ფოთლის ფაზა					1	2	2	3	3	5	6	7	8	9	10	11	12	13	15
11-ოთლის ფაზა				2	3	4	5	6	7	8	9	10	11	14	15	16	15	20	26

12-ფოთლის ფაზა				1	2	5	6	8	8	11	11	13	17	19	20	21	23	27	29
13-ფოთლის ფაზა			1	3	4	5	6	8	10	12	14	16	18	20	22	24	26	30	34
14-ფოთლის ფაზა		1	2	4	6	7	9	11	13	17	19	20	23	29	34	37	39	40	44
15-ფოთლის ფაზა	1	5	7	9	11	13	15	17	21	23	27	30	32	38	40	42	46	48	52
17-ფოთლის ფაზა	5	8	9	11	14	17	21	27	30	31	37	40	47	49	51	53	55	60	62
18-ფოთლის ფაზა	10	13	15	18	23	27	28	32	36	38	40	52	60	65	67	70	72	78	80
19-21 ფოთლის ფაზა	12	14	18	22	27	31	38	42	44	48	56	58	62	68	72	78	84	88	90
საგველას ამოტანის ფაზა	12	15	21	24	35	38	41	43	47	50	58	61	62	70	74	80	86	91	100
ულვაშის გამოტანა	12	17	21	23	28	33	37	41	43	47	56	59	63	66	70	78	82	86	90
ულვაშის გაყავისფრება	7	11	13	17	22	27	35	37	41	42	53	58	62	68	71	73	78	80	82
მარცვლის განვითარება	2	4	8	12	15	20	24	30	38	40	46	50	55	60	64	68	72	75	78
მარცვლის შეესება	0	2	4	8	10	15	20	24	28	34	38	42	46	50	55	58	62	65	68
ადრეული რძისებრი სიმწიფე		0	3	5	8	11	17	19	25	28	31	38	41	43	47	51	52	55	60
რძისებრი სიმწიფე			0	2	4	8	10	12	15	18	22	26	30	36	41	42	44	48	52
გვიანი რძისებრი სიმწიფე				0	2	4	8	10	13	15	18	20	24	27	30	32	36	40	46

ცვილისებრი სიმწივის დასაწყისი						1	3	5	7	11	15	18	23	27	29	30	31	35	42
ცვილისებრი სიმწიფე						0	2	4	6	8	10	13	15	18	20	22	26	28	34
გვიანი ცვილისებრი სიმწიფე							0	2	3	5	6	8	10	12	14	15	18	20	28
სიმწივის დასაწყისი								1	2	3	4	4	5	5	6	6	7	9	10

აგრო ზარალების სწორად და ობიექტურად შეფასება კვალიფიციური ექსპერტის მიერ სოფლის მეურნეობის და აგროდაზღვევის განვითარებას შეუწყობს ხელს, რაც დადებითად იმოქმედებს ფერმერის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ზიანის შეფასების ამ მეთოდის დანერგვა გაამარტივებს ურთიერთობას დამზღვევსა და მზღვეველს შორის, აღმოიფხვრება უთანხმოება ზიანის შეფასების პროცესში და შემცირდება დავების რაოდენობა.

წლების მიხედვით სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობა და ანაზღაურებული ზარალები

ცხრილი 12

სადაზღვევო შემთხვევის წელი	სადაზღვევო შემთხვევის რაოდენობა	ანაზღაურებული ზარალის ოდენობა (ლარი)
2014-2015	19 176	14 200 901
2016	10 580	6 211 368
2017	12 237	9 284 934
2018	5 014	5 645 178
2019	3 844	8 820 626
2020	5 796	11 743 650
2021	5 517	10 210 168
2022	1 344	1 631 051
2023	3 312	5 979 154
სულ	66 820	73 727 030

გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ 2022 წელი აგრო სადაზღვევო შემთხვევები სხვა წლებთან შედარებით 60 - 70 პროცენტით არის შემცირებული, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. შესაბამისად დადებითად აისახა სოფლის მეურნეობის სფეროს ყველა წარმომადგენლის ეკონომიკურ მაჩვენებელზე, რასაც ვერ ვიტყვით 2023 წელს მომხდარ სტიქიურ მოვლენებზე. ამრიგად აგრო სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობს სასოფლო - სამეურნეო წარმოების განვითარებას, ამ სექტორში დასაქმებულებს შეუმცირებს რისკებს და შეუნარჩუნებთ შემოსავალს.

3.2. სახელმწიფოს მონაწილეობის შეფასება აგროდაზღვევაში

ფერმერული საქმიანობის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ხელშეწყობაზე, სახელმწიფოს ჩართულობა ძალზედ კრიტიკულია. იგი უნდა ზრუნავდეს სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისათვის შემოსავლების შენარჩუნებასა და რისკების შემცირებაზე. ეს შესაძლებელია აგროდაზღვევის გაძლიერებით და რისკების მართვის თანამედროვე მეთოდებით.

სახელმწიფოს უმთავრეს სტრატეგიად უნდა ქონდეს არჩეული:

1. დაზღვეული სასოფლო სამეურნეო ფართობის გაზრდა;
 - 1.1. მოსავლს მოვლის ხარჯების ანაზღაურების მიხედვით აგრო სადაზღვევო პროგრამის განხორციელება, თუ ეს შესაძლებელია, ამის შესახებ, ფერმერთა ინფორმირებულობა და პროდუქტის პოპულარიზება;
 - 1.2. სადაზღვევო პროგრამის განხორციელება;
2. აგროდაზღვევის განვითარება და გაძლიერება:
 - 2.1. სახელმწიფო პროგრამებში გამოუცდელი სადაზღვევო კომპანიების ჩართვის შესაძლებლობა;
 - 2.2. ზარალების შეფასების ახალი სისტემის შემუშავება. აგრო ზარალების შეფასების ახალ მეთოდების შექმნა;
3. დაზღვევის ალტერნატიული რისკის, მოდელების შემუშავება:
 - 3.1. პირუტყვის დაზღვევის დარგში არსებული გამოწვევების შესწავლა. სათანადო სადაზღვევო პროდუქტების შექმნა;

3.2. ამინდის და მოსავლიანობის ინდექსზე დაფუძნებული სადაზღვევო ანაზღაურების სისტემის შექმნის შესაძლებლობის გაანალიზება;

3.3. რისკების, საგაზაფხულო ყინვა, გვალვა, ხანძარი დაზღვევის პროდუქტის შექმნის შესაძლებლობის გაანალიზება;

3.4. სავალდებულო დაზღვევის აუცილებლობა და შესაძლებლობის კვლევა;

აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელება დამოკიდებულია ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და ქვემოთ მოყვანილ რისკ ფაქტორებზე.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაბალი დონე, მისი ეკონომიკური არასტაბილურობა. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში შესაძლო კრიზისი, დაბალ პროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო სექტორი. სოფლად დაბალი სამეწარმეო უნარჩვევები.

სოფლად მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

სოფლის მეურნეობის სექტორი დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე. ასევე შესაძლებელია მომავალში სხვადასხვა მავნებლების და დაავადებების გავრცელების რისკი. სხვადასხვა შესაძლო ბუნებრივი კატასტროფები საფრთხის შემცველია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. გარემოს დაცვით საკითხებზე არასათანადო ცოდნამ მოსახლეობაში, სოფლის ტერიტორიების გარემოზე შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს.

აგრო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს სოფლის განვითარების სააგენტო, რომელიც შესაბამის ანგარიშებს წარუდგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ჩატარებულ კვლევებში გამოიკვეთა ზოგადი პრობლემები რაც იწვევს არსებული სახელმწიფო პროგრამის აგროდაზღვევის სადაზღვევო პოლისების სადაზღვევო პრემიების და დაზღვეული ფართობების პარამეტრების შემცირებას, კერძოდ:

1. თაღლითობა, „სქემური დაზღვევა“ ანუ ფიქტიური სადაზღვევო ხელშეკრულების დადება, რომლის მიზანია სახელმწიფო სუბსიდირების

მოპოვება. სამწუხაროდ მასში მონაწილეობს ორივე მხარე. ამ ტიპის დანაშაულისგან დაცვის საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს,

2. რისკის შეფასების კრიტერიუმების და პრინციპების მონაცემთა ბაზის შემუშავების არასრულყოფილება.
3. სოფლის მეურნეობის დაზღვევაში არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტერიტორიული სპეციფიკის გათვალისწინების გეგმა, კერძოდ აუცილებელია ზონალური ტარიფები,
4. სოფლის მეურნეობის დაზღვევის სფეროში საკანონმდებლო საწყისის არასაკმარისი შემუშავება. ზარალის ანაზღაურების რთული პროცედურა, საჭიროებს გაუმჯობესებას,
5. სადაზღვევო ორგანიზაციების და სახელმწიფოს ინტერესების შეუთავსებლობა;
6. ფერმერების მხრიდან სადაზღვევო ბაზრის მიმართ არასაკმარისი ნდობა.

პრობლემების გაანალიზებისა და სისუსტეების გამოვლენის შემდეგ შესაძლებელია ამ პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება. ამისთვის შემუშავებული იქნა აგროდაზღვევის SWOT- ანალიზი. (იხ. ცხრილი 10)

SWOT-ანალიზი

ცხრილი 13

<p>Strengths-ძლიერი მხარეები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მუდმივად მზარდი ინტერესი სოფლის მეურნეობის რისკების მიმართ 2. კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე 3. პერსპექტიული როგორც საინვესტიციოდ მომზადებული სფერო. 4. სოფლის მეურნეობის დაზღვევის მაღალი წილი, მსოფლიო ბაზრის 31/4% 5. სოფლის მეურნეობის დაზღვევის ბაზრის სეგმენტის დინამიურობა. 	<p>Weaknesses-სუსტი მხარეები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. არ არის დაზღვევის პროდუქტის მკაფიო კლასიფიკაცია შემუშავებული. 2. ხარვეზები მონაცემთა ბაზის შემუშავებაში რისკის შეფასების კრიტერიუმებსა და პრინციპებში. 3. არ არსებობს ტერიტორიული სპეციფიკის აღრიცხვის სისტემა. 4. საკანონმდებლო ბაზის არასაკმარისი შემუშავება. 5. ნდობის ნაკლებობა სადაზღვევო ბაზრის მიმართ.
<p>Opportunities-შესაძლებლობა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მზარდი ინტერესი სადაზღვევო ინდუსტრიის მიმართ საზღვარგარეთიდან, კერძოდ აგრარული პოლიტიკის მკაფიო მხარდაჭერა საზღვარგარეთიდან. 2. კომერციული დაზღვევის მიმართ ინტერესის გაზრდა. 3. რეფორმა სადაზღვევო საქმიანობის სფეროში 4. ინდივიდის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა 	<p>Threats-საფრთხეები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ზარალის მაღალი კოეფიციენტი რისკების სიხშირის გამო 2. არასტაბილურობა მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე. 3. თაღლითობა 4. სადაზღვევო კომპანიების ინტერესების შეუთავსებლობა სახელმწიფო ინტერესებთან.

(საქართველოში, 2022)

როგორც SWOT- ანალიზიდან ჩანს აგროდაზღვევის მთავარი ნაკლი არის მისი განუვითარებლობა და არასრულყოფილება, რაც ნიშნავს რომ აუცილებელია სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მზღვევლთა ერთობლივი აქტიური მონაწილეობით ცნობადობის ამაღლება. სოფლის მეურნეობის დაზღვევა გარდაუვალი პროცესია, ვინაიდან აგრობიზნესი მოთხოვნადი და მიმზიდველი საინვესტიციო მიმართულებაა.

დაგეგმილია არსებული მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო და ელექტრონული ანგარიშგების სისტემების განახლება. რომელმაც უნდა უზრუნველყოს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნის, ამოცანებისა და შედეგების განხორციელებაზე მეთვალყურეობა, შეფასება. არსებული გამოწვევების და შეფერხებების დროული გამოვლენა სწორი, დროული და მიზანმიმართული გადაწყვეტილებების მისაღებად. ჩარჩოს გამოყენებით უნდა მოხდეს შეფასება, თუ რამდენად განაპირობა სამოქმედო გეგმაში გაწერილმა საქმიანობებმა მიზნების და ამოცანების მოსალოდნელი შედეგების მიღწევა და რამდენად სწორად იყო, თუ არა შერჩეული ღონისძიებები, სასურველი შედეგის და ცვლილების დადგომისთვის. მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შეფასების მეთოდოლოგიასთან.

3.3 აგროდაზღვევის პოპულარიზაცია და აკვიზიციის პროცესი

აგროდაზღვევაში

სასოფლო-სამეურნეო წარმოება საქართველოში განვითარების ფაზაში მყოფი ინსტიტუტია, რომელიც დღითიდღე იზრდება და ვითარდება. არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უამრავი ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები, სადაც ბიზნეს სუბიექტს შეუძლია სახელმწიფოსგან თანადაფინანსებით შეიძინოს მძიმე ტექნიკა, სახნავ-სათესი საშუალებები, სარწყავი სისტემები, ან ისარგებლოს დაბალ პროცენტითანი საშელავათო აგრო სესხის პროგრამით.

ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანა მაღალ ხარჯებთან და რისკებთან არის დაკავშირებული, მნიშვნელოვანია ფერმერმა გამოიყენოს

ფინანსური ზიანის არიდების სწორი გზა, რაც აგროდაზღვევას გულისხმობს. სახელმწიფო აქაც დიდი ფინანსურ რესურს დებს იმისათვის, რომ ფერმერებმა შეძლონ საკუთარი მეურნეობების დაზღვევა და არ იყვნენ ბუნების კეთილ განწყობაზე დამოკიდებული. სახელმწიფო აგროდაზღვევაზე თითოეულ ფერმერს გადასახდელი პრემიის 70 %-ს უსუბსიდირებს და მხოლოდ 30 % - ი რჩება ფერმერს გადასახდელი.

2014 წლიდან აგროდაზღვევის წარმატებული მუშაობის მიუხედავად, არსებობს აგროდაზღვევის შესახებ ცნობიერების ნაკლებობა, რაც ხელს უშლის მეტი ბენეფიციარისთვის აგროდაზღვევის ხელმისაწვდომობას.

კვლევებმა აჩვენა, რომ ჯერ კიდევ არის უნდობლობა მზღვეველსა და დამზღვევეს შორის. ამის მიზეზი ნაკლები პოპულარიზაცია გახლავთ. არასაკმარისად ხორციელდება ინფორმაციის მიწოდება დამზღვევეზე, არ ხდება საინფორმაციო მასობრივი საშუალებებით ინფორმაციის მიწოდება აგროდაზღვევის სიკეთეების დასანახად, არ მიმდინარეობს აგიტაცია ადგილობრივ სოფლის გამგეობებში აგროდაზღვევის მნიშვნელობაზე.

კვლევებმა აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროცესში არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლის მიმართ უნდობლობასაც მკვეთრად გამოხატავენ დამზღვევეები, ეს გახლათ ფრანშიზა, არა ანაზღაურებადი მინიმუმი.

ფრანშიზა დაზღვევაში მეტად საინტერესო პარამეტრია. დაზღვევა, როგორც ვიცით რისკის მართვის მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც ხშირად გამოიყენება სხვა ინსტრუმენტებთან ერთად.

ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტია რისკის ნაწილის საკუთარ თავზე დატოვება. სადაზღვევო კომპანიები ყოველთვის მზად არიან კლიენტს დაუთმოთ რისკის ნაწილი, რადგანაც თვლიან, რომ ის კლიენტი, რომელიც ატარებს რისკის გარკვეულ ნაწილს, ცდილობს მაქსიმალურად აიცილოს თავიდან ზარალი, ან მაქსიმალურად შეამციროს მისი სიდიდე.

ის ფაქტი რომ დამზღვევი ნაწილობრივ თავის თავზე იტოვებს რისკს, სადაზღვევო ხელშეკრულებაში (პოლისში) აისახება თანაგადახდის და ფრანშიზის მეშვეობით.

თანაგადახდა ნიშნავს, რომ კლიენტი თავად ფარავს ყოველი ზარალის გარკვეულ წინასწარ შეთანხმებულ ნაწილს (რომელიც პროცენტებშია გამოსახული). ანუ თანამონაწილეა თავისივე ზარალში.

საქართველოს კანონში აგროდაზღვევის შესახებ დადგენილია 10%-ნი ფრანშიზა ყველა კულტურაზე გარდა ციტრუსისა ხოლო ციტრუსზე 15%. ეს არის ის არა ანაზღაურებადი მინიმუმი, რომელიც არის დადგენილი სახელმწიფოს მიერ და რომელიც ითვალისწინებს დამზღვევის თანამონაწილეობას მისავე ზარალში.

ბევრ ქვეყანაში „ფრანშიზა“ ეს ტერმინი აღარ გამოიყენება, მის ნაცვლად იყენებენ დაქვითვას-(Deductible), თანადაზღვევა-(Coinsurance), თრიგერი, სასხლეტი (Trigger), ფიქსირებულ ზარალზე მაღლა (Excess of Loss), ქვე ლიმიტები (Sub limits).

ქვეყნების და სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით განსხვავებული მიდგომებია. ფრანშიზა შეიძლება იყოს პირობითი და უპირობო. საქართველოში უპირობო გახლავთ. ასევე შეიძლება პოლისს ქონდეს ფრანშიზა, თანდაზღვევა და თრიგერიც.

აგროდაზღვევაში ფრანშიზა ესადაგება არა კონკრეტულ ნაკვეთს, არამედ ფერმერის ყველა ნაკვეთს. მაგ. ესპანეთში გამოიყენება (Deductible)-დაქვითვა, რომელიც ყველა ნაკვეთიდან იქვითება მიუხედავად იმისა ყველა ნაკვეთზე დაუდგა ზარალი, თუ რამდენიმეზე.


ასეთი არის დოროთი და რისკზე მიბმული ფრანშიზები, რომელიც კონკრეტული დროის შუალედში დამდგარი ზარალების ანაზღაურებას არეგულირებს, ან კონკრეტულ შემთხვევაზე, კონკრეტულ დაქვითვას არეგულირებს. მაგ. აშშ-ში უფრო გამოიყენება 30%-40% თრიგერი, მოსავლიანობა უნდა დაეცეს კონკრეტულ ნიშნულზე დაბლა რის შემდეგაც დაიწყება კომპენსაციის გაცემა. ასევე ხშირად ჩადებულია თანადაზღვევა, რაც ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა თრიგერი, თუ გადალახა დამდგარ ზარალის ნაწილში ფერმერს გარკვეული დამატებითი მონაწილეობა აქვს. ზოგადად ფრანშიზები ქვეყნების მიხედვით 5% დან 50% მდე მერყეობს.

აღნიშნული საკითხის უკეთესად შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ განხორციელებულ იქნა გარკვეული კვლევა, საიდანაც გამოირკვა, რომ ახლად

დაზღვეულების უმეტესი ნაწილი საერთოდ არ კითხულობს ხელშეკრულებას, რომელიც იდება მზღვეველსა და დაზღვეულს შორის და არც გაყიდვის აგენტი უხსნის კონკრეტულ პარამეტრს, რაც საკმაოდ დიდ დისკომფორტს ქმნის ურთიერთობებში და ხშირ შემთხვევაში დავის საგანიც კი ხდება.

ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოდგენილია დიაგრამით;

ფერმერთა გაუთვითცნობიერებლობის ხვედრითი წილი აგროდაზღვევაში
დიაგრამა 2



გამოვკითხეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აგროდაზღვევით მოსარგებლე ფერმერები. 150 ფერმერი, რომელნიც პირველად დაეზღვნენ.

აღმოჩნდა რომ: 58%-საერთოდ არ კითხულობს ხელშეკრულებას. 23%-კითხულობს ხელმოწერილ შეთანხმებას თუმცა არ იცის ფრანშიზის მნიშვნელობა და არც არავინ უხსნის. 10%-კითხულობს და გარკვეული წარმოდგენა აქვს. 9%-არის ინფორმირებული, თუმცა უკმაყოფილოა ფრანშიზის პროცენტულ მაჩვენებელზე.

მოცემული ფაქტები მნიშვნელოვნად იჩენს თავს საკონპესაციო თანხის გაცემისას. სისტემატიურად იწყებენ ასეთი კლიენტები გარკვევას, რა არის ეს ფრანშიზა, თუ რატომ ჩამოეჭრა თანხა, რატომ არ მოხდა საკომპენსაციო თანხის სრულად გადახდა, ასევე, მნიშვნელოვნად ზრდის უკმაყოფილო კლიენტების

რიცხვს, რომლებიც მომავალ წელს შეიძლება აღარ დაეზღვნენ, რაც ძალზედ ცუდად იმოქმედებს სოფლის მეურნეობის რისკების მართვაზე.


კვლევიდან ჩანს რომ საქართველოში ჯერ კიდევ, არ არის განვითარებული აგროდაზღვევის აგენტების სამსახური, რომლებიც მუდმივად გაუწევენ ფერმერებს კონსულტაციას აგროდაზღვევის საჭიროებაზე და მის სიკეთეებზე.

საჭიროა ისეთი ინსტიტუტის არსებობა, რომლებიც მუდმივ ურთიერთობაში იქნებიან ფერმერებთან. ისინი აუხსნიან ფერმერებს, თუ რა პროდუქტია აგროდაზღვევა და რა შესაძლებლობების ქმნის ის. ასე მივიღებთ შუამავალ „სოფლის აგენტებს“.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ფერმერების უდიდესი ნაწილისთვის სოფლის აგენტის ინსტიტუტის შემოღება დადებითად იმოქმედებს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. გამოიკითხა საქართველოს სხვადასხვა სოფლის ფერმერი. გამოიკითხულ ფერმერთა 61% დადებითად მიიჩნევს ამ სიახლეს. 28% თვლის რომ სოფლის აგენტი, თუ იქნება აგრონომიული ცოდნით კიდევ უფრო მიესაღმება ამ სიახლეს. 7% თვლის რომ სულ ერთია იქნება თუ არა სოფლის აგენტი. 4% - ს საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხი. **დიაგრამა 3.**

სოფლის აგენტი

დიაგრამა 3



ასეთი ინსტიტუტის შემოღება დადებით შედეგს მოგვცემს აგროდაზღვევის პოპულარიზაციის პროცესში. აგროსადაზღვევო სოფლის აგენტებს ექნებათ მუდმივი კომუნიკაცია ფერმერებთან, მიაწვდიან სწორ და ამომწურავ ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაზე, მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე. აქედან გამომდინარე ხელს შეუწყობენ აკვიზიციის და პოპულარიზაციის პროცესს.

საჭიროა შეიქმნას ციფრული ფინანსური სერვისები, რათა ფერმერებს გაუადვილდეთ აგროდაზღვევის სერვისების მიღება. ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენება შესაძლებლობას ქმნის, ციფრული არხებით სადაზღვევო პროვაიდერებმა გამოიყენონ არსებული მობილური ქსელები სოფლის კლიენტებთან საკომუნიკაციოდ, გაამარტივონ რეგისტრაციის პროცესები, სადაზღვევო პრემიის გადახდები და მსგავსი სერვისები.

დაზღვევის განვითარებაში დიდ როლს თამაშობენ საფინანსო ინსტიტუტები, რადგან ისინი სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის ნატურალური სასოფლო მეურნეობიდან საბაზროზე გადასვლისას ბუნებრივი შუამავლები არიან. მათ გააჩნიათ დეცენტრალიზებული ფილიალების დიდი ქსელი და სოფლის მეურნეობის ფინანსური ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვთ.

სოფლის მეურნეობის დაზღვევაზე მომუშავე კომპანიების ბანკებთან თანამშრომლობენ. მაგრამ, ამ დროს, გასათვალისწინებელია, რომ ბანკების ინტერესები განსხვავებულია მზღვეველთა ინტერესებისაგან. ბანკისათვის დაზღვევა კრედიტის უზრუნველყოფაა, რომლის დროსაც რისკის დიდი ნაწილი ბანკიდან სადაზღვევო კომპანიაზე გადადის. ამ დროს, მნიშვნელოვანია დასაზღვევი ობიექტების შერჩევა და რისკის კონტროლი, დანაკარგების რეგულირების ჩათვლით დაექვემდებაროს მზღვეველის პასუხისმგებლობასა და ინიციატივას.

ბანკებთან ურთიერთობის პროცესში კვლევებმა აჩვენა, რომ სწრაფად ვერ ხდება კლიენტზე სესხის დამტკიცება და სადაზღვევო პოლისის გაცემა, ამის შედეგად ხშირად ზარალდება ფერმერი, სტიქიის მოსვლის დროს რჩება დაზღვევის გარეშე და ფაქტიურად ვერ იღებს ზიანის კომპენსაციას, ყოველივე ამის გამო, საერთოდ მოსავლის გარეშეც შეიძლება დარჩეს, არა თუ კომპენსაციის გარეშე.

იმისათვის რომ აგროდაზღვევა უფრო ცნობადი, ხელმისაწვდომი და მოთხოვნადი იყოს მნიშვნელოვანია გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- რეგიონებში ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა, სადაზღვევო ინდუსტრიის წარმომადგენლებთან ერთად უნდა ჩატარონ სპეციალური ტრენინგები აგროდაზღვევაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- რეგიონალურ და მთავარ რეიტინგულ სატელევიზიო არხებში უნდა გადიოდეს აგროდაზღვევის შესახებ გადაცემები და იმართებოდეს დისკუსიები გამოცდილი ფერმერების და სადაზღვევო ინდუსტრიის წარმომადგენლების ჩართულობით;
- ქვეყნის მასშტაბით აუცილებელია მოხდეს საზოგადოების ინფორმირებულობა, თუ რა ბენეფიტები და რისკების შემცირების გზები შეიძლება არსებობდეს;
- სადაზღვევო კომპანიებმა უნდა აწარმოონ რეგულარული პიარ კამპანია, გადაიღონ კლიპები და გააზიარონ კმაყოფილი მომხმარებლის ინფორმაცია, რომ საკითხი მუდმივად აქტუალური იყოს;
- სოციალური ქსელებით და ტელევიზიით უნდა გაშუქდეს მოკლე მონახაზი აგროდაზღვევის და პოლისების გამოწერის ეტაპების შესახებ. მაგ: რა მოთხოვნები აქვს მზღვეველს, რა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს, სად იხდის თანხას, როგორ შეუძლია მიიღოს სადაზღვევო პრემიის გადახდის საბანკო მომსახურება და ა. შ.
- საბანკო არხების გამოყენების შესაძლებლობებზე მნიშვნელოვანია ბანკმა და სადაზღვევო კომპანიებმა გააკეთონ აქცენტები;
- მიზანშეწონილია შეიქმნას სპეციალიზებული აგრო საკრედიტო ბანკები რომლებიც სახელმწიფოს თანადგომით გასცემენ იაფ სესხს მინიმალურ პროცენტში;
- გაყიდვების ტემპის გასაზრდელად მნიშვნელოვანია ადგილობრივი, რეგიონალური სადაზღვევო წარმომადგენლების რესურსების გაძლიერება და მათი გადამზადება;

- იმ შემთხვევაში თუ რეგიონებში იქნება წარმომადგენლობითი ოფისები გახსნილი და „სოფლის აგენტების“ ინსტიტუტი ამოქმედდება, მნიშვნელოვნად გაიზრდება მოთხოვნა დაზღვევაზე.
- აუცილებელია ბიუროკრატიული სერვისების შემცირება, რადგან უმეტეს შემთხვევაში ფერმერებს უჭირთ ზოგადად დოკუმენტებთან ურთიერთობა.

დასკვნა

სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია და მომავლის გამოწვევებიდან გამომდინარე უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს. ამ დარგს ახლავს მნიშვნელოვანი რისკები, რომლის მინიმიზაცია არის საჭირო. აგროდაზღვევა არბილებს მოსავლის ზარალით გამოწვეულ დანაკარგს.

აგროდაზღვევის განვითარება დადებითად აისახება მსოფლიო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. აგროდაზღვევა სტაბილურს ხდის ფერმერების შემოსავლებს გრძელვადიან პერიოდში. სტაბილური შემოსავალი იწვევს ფინანსური ინსტიტუტების ინტერესს, რაც ფერმერებს მისცემს შესაძლებლობას ისარგებლონ ფინანსური რესურსით და გაიმყარონ სამომავლო განვითარების პერსპექტივები.

ნაშრომში განხორციელებული კვლევების შედეგად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

1. საქართველოში აგროდაზღვევის განვითარებისათვის საჭიროა მსოფლიო გამოცდილების გაზიარება ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;
2. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
3. აგროდაზღვევის განვითარებისათვის საჭიროა ფერმერთა მეტი ინფორმირებულობა და მათი ცნობიერების ამაღლება;
4. საჭიროა დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობების რაოდენობის გაზრდა, რაც მოიცავს სწრაფ და ეფექტურ მიწის კადასტრს სახელმწიფოს მხრიდან;
5. საჭიროა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის სრულყოფა რისკის სწორად შეფასების, სადაზღვევო პრემიის ადეკვატურად განსაზღვრის და ფერმერთა ფინანსური ზარალის სრულფასოვნად ანაზღაურებისათვის;
6. მნიშვნელოვანია ზარალების შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფა სხვადასხვა კულტურებისათვის;
7. საჭიროა დაინერგოს სიმინდის, კენკროვანი კულტურების მოსავლის დანაკარგის შეფასების მეთოდოლოგია;
8. აუცილებელია აგროზარალების შეფასების სფეროში სერტიფიცირებული სპეციალისტების მომზადება;

9. განხორცილებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ მნიშვნელოვანია კოოპერაციული აგროდაზღვევის შემოღება, რომლის დანერგვის შემდეგ გაიზრდება დაზღვეულ ფერმერთა, აგრეთვე დარეგისტრირებული და დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა. მოსავლის წარმოების ხარჯები დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ, რაც ერთი ფერმერისთვის დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ზიანის დადგენის პროცესში მზღვეველთან ერთად ჩართული იქნება კოოპერატივის კომპეტენტური წარმომადგენელი. ზიანის შეფასების პროცესის ხარჯები შემცირდება. თუ კერძო პირის ზიანის შეფასების შემთხვევაში მზღვეველს ურთიერთობა აქვს თითოეულ დამზღვევეთან ინდივიდუალურად, კოოპერატივის შემთხვევაში მხოლოდ მის წარმომადგენელთან მოუწევს ურთიერთობა.

საკომპენსაციო თანხა ჩაირიცხება კოოპერატივის ანგარიშზე, რომელიც ამ თანხას ჩაურიცხავს დაზარალებულ მეპაიეებს. ასევე შიდა განაწესით კოოპერატივის მეპაიეებმა შეიძლება მიიღონ სუბსიდირება კოოპერატივის სარეზერვო ან სხვა შიდა ფონდიდან, ისეთი მიმართულებებისათვის რასაც ცალკე ფერმერი ვერ აფინანსებს.

ადმინისტრაციული და აკვიზიციური ხარჯების შემცირების ხარჯზე მზღვეველს შეეძლება არა სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე დამზღვევეს (კოოპერატივის) გაუწიოს შეღავათები და გაუკეთოს ფასდაკლება. ყველა ორგანიზაციულ საკითხს მოაგვარებს კოოპერატივის გამგეობა;

10. ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჭიროა შეიქმნას აგროდაზღვევის „სოფლის აგენტის“ ინსტიტუტი, რომლის შემოღება დადებით შედეგს მოგვცემს აკვიზიციის და პოპულარიზაციის პროცესში. აგროსადაზღვევო აგენტებს ექნებათ მუდმივი კომუნიკაცია ფერმერებთან, მიაწვდიან სწორ, საჭირო და ამომწურავ ინფორმაციას აგროდაზღვევაზე, მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე;

11. ქვეყნის რეგიონებში მუნიციპალიტეტების მიერ, სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობით უნდა ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები ფერმერთა ცნობიერების ამაღლების მიზნით;

12. რეგიონალურ და მთავარ რეიტინგულ სატელევიზიო არხებში უნდა გადიოდეს აგროდაზღვევის შესახებ გადაცემები და იმართებოდეს დისკუსიები გამოცდილი ფერმერების და სადაზღვევო ინდუსტრიის წარმომადგენლების მონაწილეობით;

13. სადაზღვევო კომპანიებმა უნდა აწარმოონ რეგულარული პიარ კამპანია, გადაიღონ კლიპები და გააზიარონ კმაყოფილი მომხმარებლის ინფორმაცია აგროდაზღვევის მნიშვნელობაზე და განხორციელების პროცედურებზე;

14. საჭიროა სავალდებულო აგროდაზღვევის შემოღება სპეცილიზებულ ზონებში მაპროფილებელი კულტურებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებულ დარგების განვითარებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ის კულტურები რომელთა სავალდებულო დაზღვევა იქნება შემოღებული, უფრო მეტად განვითარდება, რაც მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს. კერძოდ, კახეთში ვაზის; შიდა ქართლში ვაშლის; ქვემო ქართლში ხახვის; სამცხე ჯავახეთში კარტოფილის; სამეგრელოში თხილის და სიმინდის და აჭარაში ციტრუსის მოსავლის სავალდებულო დაზღვევა და ა.შ.

ამრიგად აგრო სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობს სასოფლო - სამეურნეო წარმოების განვითარებას, ამ სექტორში დასაქმებულებს შეუმცირებს რისკებს და შეუნარჩუნებთ შემოსავალს. აგროზარალების სწორად და ობიექტურად შეფასება სოფლის მეურნეობის და აგროდაზღვევის ინსტიტუტის განვითარებას შეუწყობს ხელს, რაც დადებითად იმოქმედებს ფერმერის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ზიანის შეფასების ახალი მეთოდის დანერგვა გაამარტივებს ურთიერთობას დამზღვევსა და მზღვეველს შორის, აღმოიფხვრება უთანხმოება ზიანის შეფასების პროცესში და შემცირდება დავების რაოდენობა.

ციტირებულ წყაროთა ნუსხა

1. კოლუაშვილი პ. „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზი“ (თანაავტორი ო. ქეშელაშვილი). „საარი“, თბილისი. 2017 წ.
2. კოლუაშვილი პ., თეთრაძე გ. „აგრარული რისკები, აგრო დაზღვევისა და აგრო დაკრედიტების პრობლემები“, ჟურნალი „ეკონომიკა“, № 1, თბილისი, 2017 წ. <https://economics.bpengi.com/home/2017/01> გვ 153-160.
3. კოლუაშვილი პ. „ძლიერი სოფელი ქვეყნის საძირკველი“, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, №5, თბილისი, 2010 წ.
4. კოლუაშვილი პ., ცოფურიშვილი გ. (2020). „სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ალტერნატიული ხედვა და სტრატეგია“. ახალი აგრარული საქართველო(N 6).
5. კოლუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. „აგრარული სექტორი და კოოპერირება“, ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა N5, 2010, 49-52 გვ. <https://b-k.ge/arqivi/biznesi-da-kanonmdebloba-08-n1-2019-2-6-5-6-6-2-2-5/>
6. კოლუაშვილი პ. (2018). „კოოპერატიული აგრო საკრედიტო სისტემის შექმნა გადაუდებელი აუცილებლობაა“. ახალი აგრარული საქართველო, 85(N5), 8-10.
7. კოლუაშვილი პ., არჩვაძე ი. (2020). „საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე“. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“(N 3), გვ.43.
8. კოლუაშვილი პ., მამუკელაშვილი დ. (2020). „კოოპერაციული აგრო საკრედიტო სისტემის განვითარება საქართველოში“. გლობალიზაცია და ბიზნესი (N 10).
9. ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ. „სადაზღვევო საქმე“ თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2016 წ. <https://opac.sciencelib.ge/cgi-bin/koha/opac-detail.pl?biblionumber=62400>
10. ცერცვაძე ა., ლაშხია შ. „აგროდაზღვევის მნიშვნელობა სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის“ სამეცნიერო შრომების კრებული N3, 2021 წ. გვ. 106; <https://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2023/02/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1>

%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D-
%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%
E1%83%98-N3.pdf

11. ლაფაჩი ა. „აგრო დაზღვევის საფუძვლები“ თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2021 წ.
12. ვერულავა თ., ოზგაიძე ნ. (2018). აგროდაზღვევის პრობლემები საქართველოში. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია N1, 1.
13. ნიკოლაიშვილი ა. „ვაზის სოკოვანი და არა სოკოვანი დაავადებების გამიჯვნა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისგან“ აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ფაკულტეტი; ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი; მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი; იტერ ვიტის საქართველო; მევენახეობა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. (სტუ) მონოგრაფიების სერიიდან. „მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობა: ისტორია, თანამედროვეობა და მდგრადი განვითარების პერსპექტივები.“ თბილისი 2022.
<https://doi.org/10.36073/978-9941-28-946-0>; გვ. 160;
14. ნიკოლაიშვილი ა. „სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაში ფერმერთა გაუთვითცნობიერებლობის პრობლემები საქართველოში“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი. მონოგრაფიების სერიიდან. „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. <https://doi.org/10.36073/978-9941-28-893-7> გვ. 126;
15. ლაფაჩი ა., ნიკოლაიშვილი ა. „ აგრო დაზღვევის განვითარების SWOT-ანალიზი საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომიკა“ ტომი 105,3. 2022. გვ. 165. DOI:10.36962/ECS105/3/2022;
16. ნიკოლაიშვილი ა., ცერცვაძე ა. „აგრო ზარალების შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები“, ჟურნალი „ეკონომიკა“ ტომი 105, 3-4. 2023. გვ. 134. DOI:10.36962/ECS105/3-4/2023.
file:///F:/სტატია%20კონფერენცია/EKONOMIKA%20-%203-4-2023%20A5%20axali.pdf
17. ნიკოლაიშვილი ა., კოლუაშვილი პ., ცერცვაძე ა. „აგრო დაზღვევის თავისებურებები ავსტრიასა და საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომიკა“

ტომი 106, 1-2. 2024. გვ. 80. DOI:10.36962/ECS106/1-2/2024

file:///F:/სტატია%20კონფერენცია/EKONOMIKA%20-%201-2-2024.pdf;

18. საქართველოს კონსტიტუცია 24/08/1995 წ.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>;
19. საქართველოს კანონი N 786 „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 26/06/1997 წ.
20. საქართველოს მთავრობის N 236 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბილისი, 2020 წ.
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4849352?publication=0>;
21. საქართველოს მთავრობის N 136 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბილისი, 2023 წ.
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5772544?publication=0>;
22. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021-2024, თბილისი, 2021;
23. საქართველოს მთავრობის დადგენილება N 137 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თბილისი, 2024 წ. 16 აპრილი.
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6157820?publication=0>;
24. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში, თბილისი, 2021 წ.
25. საქართველოს კანონი N 836 „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ 12/07/2013 წ.
26. „საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ“ N 690 02/05/1997 წ.
27. საქართველოს მთავრობა. (2018 წლის 3 ივლისი). დადგენილება №350 ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის დამტკიცების შესახებ. თბილისი, საქართველო: <https://www.matsne.gov.ge>.
28. ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი. (2018, 08 08). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (ს. ს. სამინისტრო, Ed.) Retrieved from <https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/17>;

29. სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2022). მოდულების კატეგორია მთლიანი შიდა პროდუქტი. მოპოვებული.
<https://www.geostat.ge>;
30. Nikoliashvili A. „Underwriting in agro insurance“. №127/2024 Norwegian Journal of development of the International Science ISSN 3453-9875 <mailto:publish@nor-ijournal.com> pp. 11;
31. Shonia N., Nozadze M., Mushkudiani Z Insurance Market of Georgia: Challenges and Development Prospects. <https://www.buecher.de/artikel/buch/insurance-market-of-georgia-challenges-and-development-prospects/62993550/>;
32. Shonia N., Nozadze M., Mushkudiani Z AGRICULTURAL INSURANCE AND PROSPECTS FOR ITS DEVELOPMENT IN GEORGIA. Journal - European Science Review. №5-6, 2021, ISSN 2310-5577. http://ppublishing.org/upload/iblock/c21/ESR_5-6_2021.pdf;
33. Gracelin Baskaran B. M. (2021, May 26). Agricultural insurance: The antidote to many economic illnesses;
34. Peter Nash. (2018, may 29). 4 Best Practices to Make Agriculture Insurance More Available and Affordable;
35. R.E.J. Roberts “Insurance of crops in developing countries.” FAO AGRICULTURAL SERVICES BULLETIN 159 2005; <https://www.fao.org/4/y5996e/y5996e00.htm>
36. Iturrioz R. “Agricultural Insurance” PRIMER SERIES ON INSURANCE ISSUE 12, NOVEMBER 2009;
<https://documents1.worldbank.org/curated/en/985551468150558970/pdf/625120NW.P0Agri00Box0361486B0PUBLIC0.pdf>
37. Mahul O., Charles J. Stutley “Government Support to Agricultural Insurance Challenges and Options for Developing Countries” 2010;
<https://openknowledge.worldbank.org/server/api/core/bitstreams/7822bef4-1a81-5aaa-a5b4-37ab333614b3/content>;
38. Hazell P. Independent Researcher Rachel Sberro-Kessler & Panos Varangis Finance & Markets Global Practice World Bank Group. “When And How Should Agricultural Insurance Be Subsidized? Issues And Good Practices” 2021;

<https://documents1.worldbank.org/curated/en/330501498850168402/pdf/When-and-How-Should-Agricultural-Insurance-be-Subsidized-Issues-and-Good-Practices.pdf>;

39. Erik J. O’Donoghue “The Effects of Premium Subsidies on Demand for Crop Insurance”, United States Department of Agriculture. Economic Research Report Number 169 July 2014;
https://www.ers.usda.gov/webdocs/publications/45227/48298_err169_summary.pdf?v=41827
40. Ankrah A. D., Kwapong A. N., Eghan D., Adarkwah F., Boateng-Gyambiby D. “Agricultural insurance access and acceptability: examining the case of smallholder farmers in Ghana”, Ankrah et al. *Agric & Food Secur* (2021)
<https://doi.org/10.1186/s40066-021-00292-y>;
41. ADAS. (2016). *Agricultural Strategy*. NY: ADAS;
42. AGRICULTURAL INSURANCE POOL. (2022). *TARSIM*. Retrieved from Insurance of Agriculture: <https://www.tarsim.gov.tr>;
43. Multicultural Analytical Center. (2019). *FARM EUROPE*. Retrieved from December: <https://www.farm-europe.eu/travaux/shaping-eu-agriculture-rural-areas-and-wealth-for-the-next-decades/>;
44. Peter Nash. (2018, may 29). 4 Best Practices to Make Agriculture Insurance More Available and Affordable;
45. Weber, J.G., Key, N., O’Donoghue, E., 2016. Does federal crop insurance make environmental externalities from agriculture worse? *J. Assoc. Environ. Resour. Econ.* 3, 707–742. <https://doi.org/10.1086/687549>. European agriculture: experience of mutuals in the Netherlands”, *EuroChoices*, Vol. 12 No. 3, pp. 10 - 16;
46. Zheng, H., Mu, H., Zhao, X., 2018. Evaluating the demand for aquaculture insurance: An investigation of fish farmers’ willingness to pay in central coastal areas in China. *Marine Policy* 96, 152–162. <https://doi.org/10.1016/j.marpol.2018.08.021>;
47. Asrat, P., Simane, B., 2018. Farmers’ perception of climate change and adaptation strategies in the Dabus watershed, North-West Ethiopia. *Ecol. Processes* 7 (1), 1–13. <https://doi.org/10.1186/s13717-018-0118-8>;

48. Duong, T.T., 2019. A global review of farmers' perceptions of agricultural risks and risk management strategies. *Agriculture* 9 (1), 1–16. <https://doi.org/10.3390/agriculture9010010>;
49. Fahad, S., Wang, J., Hu, G., Wang, H., Yang, X., Shah, A.A., Huong, N.T.L., Bilal, A., 2018. Empirical analysis of factors influencing farmers crop insurance decisions in Pakistan: evidence from Khyber Pakhtunkhwa province. *Land Use Policy* 75, 459–467. <https://doi.org/10.1016/j.landusepol.2018.04.016>;
50. Chavas, J.P., Di Falco, S., Adinolfi, F., Capitanio, F., 2019. Weather effects and their long-term impact on the distribution of agricultural yields: Evidence from Italy. *Eur. Rev. Agric. Econ.* 46 (1), 29–51. <https://doi.org/10.1093/erae/jby019>;
51. Farzaneh, M., Allahyari, M.S., Damalas, C.A., Seidavi, A., 2017. Retracted: crop insurance as a risk management tool in agriculture: the case of silk farmers in northern Iran. *Land Use Policy* 64, 225–232. <https://doi.org/10.1016/j.landusepol.2017.02.018>;
52. Hudson, P., 2018. A comparison of definitions of affordability for flood risk adaption measures: a case study of current and future risk-based flood insurance premiums in Europe. *Mitig. Adapt. Strat. Glob. Change* 23, 1019–1038. <https://doi.org/10.1007/s11027-017-9769-5>;
53. Jensen, N., Barrett, C., 2017. Agricultural index insurance for development. *Appl. Econ. Perspect. Policy* 39, 199–219. <https://doi.org/10.1093/aep/39/2/199>;
54. Lyubchich, V., Newlands, N.K., Ghahari, A., Mahdi, T., Gel, Y.R., 2019. Insurance risk assessment in the face of climate change: Integrating data science and statistics. *Wiley Interdiscip. Rev. Comput. Stat.* 11, 1462. <https://doi.org/10.1002/wics.1462>;
55. Pagano, A.J., Feofilovs, M., Romagnoli, F., 2018. The relationship between insurance companies and natural disaster risk reduction: overview of the key characteristics and mechanisms dealing with climate change. *Energy Procedia* 147, 566–572. <https://doi.org/10.1016/j.egypro.2018.07.072>;
56. Raschky, P., Chantarat, S., 2020. Natural Disaster Risk Financing and Transfer in ASEAN Countries. In: *Oxford Research Encyclopedia of Natural Hazard Science*. <https://doi.org/10.1093/acrefore/9780199389407.013.198>;

57. Sharma, U., 2020. How do farmers perceive climate change? A systematic review. *Clim. Change* 1–20. <https://doi.org/10.1007/s10584-020-02814-2>;
58. Meuwissen, M.P.M., Assefa, T. and Van Asseldonk, M.A.P.M. (2013), “Supporting insurance in European agriculture: experience of mutuals in the Netherlands”, *EuroChoices*, Vol. 12 No. 3, pp. 10-16;
59. Krychevska, Liudmyla/ Shynkarenko, Ian/ Shynkarenko, Roman (2017), *Agriculture Insurance in China. History, Development and Success Factors*, URL: <https://agroinsurance.com/wp-content/uploads/2017/04/Agricultural-insurance-in-China-Agroinsurance-International.pdf> Kiev, Ukraine;
60. European Commission (2017a), “Risk management schemes in EU agriculture; dealing with risk and volatility”, available at: https://ec.europa.eu/agriculture/sites/agriculture/files/markets-andprices/market-briefs/pdf/12_en.pdf;
61. Bosch, J., Rodríguez, A., Iglesias, I., Muñoz, M.J., Jurado, C., Sánchez-Vizcaíno, J.M. and de la Torre, A. (2017), “Update on the risk of introduction of African swine fever by wild boar into disease-free European Union countries”, *Transboundary Emerging Diseases*, Vol. 64, pp. 1424-1432;
62. Hohl, Roman (2019), *Agriculture Risk Transfer*, 1. Aufl., Chichester, West Sussex, United Kingdom https://www.europarl.europa.eu/ftu/pdf/de/FTU_3.2.7.pdf;
63. Zaruk, N.F. The role of financial-credit mechanism in the conditions of import-replacement / N.F. Zaruk, O.A. Tagirova // *Niva Povolzhya*. – 2015. – № 1(34). – P. 105-111;
64. John Bosco. „Exploring Perceptions of the Potential of Agricultural Insurance for Crop Risks Management Among Smallholder Farmers in Northern Ghana“ 2018. https://aura.antioch.edu/etds/425?utm_source=aura.antioch.edu%2Fetds%2F425&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages;
65. Kabir, M.I.; Rahman, M.B.; Smith, W.; Lusha, M.A.; Azim, S.; Milton, A.H. Knowledge and perception about climate change and human health: Findings from a baseline survey among vulnerable communities in Bangladesh. *BMC Public Health*

2016, 16, 266. [Google Scholar] [CrossRef] [PubMed].

<https://bmcpublichealth.biomedcentral.com/articles/10.1186/s12889-016-2930-3>;

66. В.Г. Коростелев, М.Е. Кадомцева “Агрострахование как элемент климатически оптимизированного сельского хозяйства» МЕЖДУНАРОДНЫЙ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ № 5 (365) / 2018. DOI: 10.24411/2587-6740-2018-15074;
67. Ефимов О., Тупиков О. “ИНТЕРЕСЫ СТРАХОВОГО БИЗНЕСА И СЕЛЬХОЗТОВАРОПРОИЗВОДИТЕЛЯ: МЕТАМОРФОЗЫ АГРОСТРАХОВАНИЯ С ГОСУДАРСТВЕННОЙ ПОДДЕРЖКОЙ” Вестн. Волгогр. гос. ун-та. Сер. 3, Экон. Экол. 2015. № 4(33). DOI: <http://dx.doi.org/10.15688/jvolsu3.2015.4.25>;
68. Казакевич И. А., Шабуня Л. В. “МЕХАНИЗМ СТРАХОВАНИЯ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ КАК ФИНАНСОВЫЙ ИНСТРУМЕНТ ОБЕСПЕЧЕНИЯ ЕГО УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ”, Весці Нацыянальнай акадэміі навук Беларусі. Серыя аграрных навук. 2018. Т. 56. № 2. С. 151–163. DOI: 10.29 235/1817-7204-2018-56-2-151-163;
69. М.Е. Кадомцева, В.Г. Коростелев “ИНСТИТУЦИОНАЛЬНЫЕ ФАКТОРЫ СТРАХОВАНИЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ РИСКОВ В СТРАНАХ ЕАЭС “Международный сельскохозяйственный журнал, 2020, том 63, № 6 (378), с. 26-30. DOI: 10.24411/2587-6740-2020-16108;
70. Кумпилов Н. Т., Назаретян К. А., Улыбина Л. К. “СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОЕ СТРАХОВАНИЕ КАК ЭФФЕКТИВНЫЙ ИНСТРУМЕНТ ПОВЫШЕНИЯ ФИНАНСОВОЙ УСТОЙЧИВОСТИ АГРОПРОМЫШЛЕННОГО КОМПЛЕКСА” Вестник Академии знаний №37 (2), 2020. DOI: 10.24411/2304-6139-2020-10211;
71. Шарифьянова З. Ф., Александрова О. Р. “SWOT-АНАЛИЗ РАЗВИТИЯ АГРОСТРАХОВАНИЯ В РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ”, МЕЖДУНАРОДНЫЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ «ИННОВАЦИОННАЯ НАУКА» №4/2016 ISSN 2410-6070;

72. www.rda.gov.ge/articles/news/459246-agrodazghvevis-programis-pharglebshidasazghvevi-sasophlo-sameurneo-mitsis-phartobi-gaizarda;
73. www.insurance.gov.ge/ka/Statistics;
74. www.geostat.ge/ka/modules/categories/550/Strategic-Plan-agriculture;
75. www.theactuary.com/features/2015/03/2015/02/27/new-frontiers-agricultural-insurance.